

# ԵՐԵՎԱՆ



1

1980

1980



ସୁଲକ୍ଷ୍ମୀ ପାତ୍ର ୧୩ '୮୦

# କୃତ୍ତବ୍ୟାଳ

ଲୋକରଜାତଶରୀର-ମନ୍ଦିରଶରୀର ଏବଂ  
ଶାଖଗାନ୍ଧୀବନ୍ଦିତ-କମଳିତିକରଣ  
ଶୁଣେଣ୍ଠିବା

ସାହାରତପାଇଁରୁ ସାହାରତା  
ବିହାରପାଇଁ କାତକରିବା ଏବଂ  
ଅକାରିବା ବାନ୍ଧିବାରିରୁ  
ପରିବାର

୩୧ ମାର୍ଚ୍ଚ ୨୦୧୬ ୨୨-୧ ଟ ୧ ଟ ୦

୧

ହା ବିହାରପାଇଁ ଶିଳ୍ପ ଗ୍ରାମୀଙ୍କ, ଏକାର୍ଥ,  
ହା ବିହାରପାଇଁ, ମୁଦ୍ରାକାରୀ ମନ୍ଦିର...  
ଦ୍ୱାରା ଦ୍ୱାରା—ହିନ୍ଦୁ ଦ୍ୱାରା ଯାନ୍ତର  
ଆମିନେବାଲ୍‌ପାତାତ ରା ରାଜାବାଲ୍‌ପାତାତ.

1980

ବିହାର  
ବିହାରପାଇଁ



୩୧ ମାର୍ଚ୍ଚ ୨୦୧୬

ବିହାରପାଇଁ ଶୁଣେଣ୍ଠିବା ବିହାରପାଇଁ ବିହାରପାଇଁ

କ- ମାନ୍ଦ୍ରାଜିନୀ ବେଦ, ଲୋଜ, ମାନ୍ଦ୍ରାଜି  
ବିହାରପାଇଁ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ  
ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ

## ნოარქი დაგაცმილია:

ბულატ ოკუჯავა	3	მრავალუამიერ!
ვაგუა ამირაჯიბი	6	საახალწლო მოლოცვები
ზოთა ზოიბე	8	ვწერ ისტორიულ რომანს (ლექსი. თარგმნა ოთარ ჭილაძე)
რევაზ ინანიშვილი	9	ქველთობა (ახალი წიგნის ფრაგ- მენტი)
დავით თელორამე	32	ლექსები
ცუგზარ გერიბე	36	ძველებური ელეგია (მოთხრობა)
გვერდითა ჩუთათელაპე	42	ლექსები
სერგეი ესენინი	44	პირველი ლაურეატი აჭარადან
მისეილ მუვილობაპე	47	დურსენ კომანიძის ოქროს ვარ- სკვლავი (ნარკვევი)
რევაზ თბარაძე	52	ლექსები (თარგმნა გიორგი სალუ- ქვაძემ)
ცუგზარ ჯაფარიბე	56	„შუამთობა“, „ქოლხობა“, „ტბე- ლობა“...
იური სინარულიბე	62	კრიტიკული მონოლოგი ციტატე- ბითურთ
ნისტორ გალაზინი	68	„დამითმე წუთი სალაპარაკოდ“...
ნისტორ გალაზინი	75	ჭოროხი
გიგი გამრეველი	78	საახალწლოდ ნათქვამი
ლევან ჩავჭარაძე	79	მოჭაღრაკე იღიმება
	88	ბათუმის „დინამი“: პრობლემები, ამოცანები
	91	გასულ ორ თვეში

კარეკანის მე-2 გვერდზე — „საახალწლო“. ლადო გულიაშვილის ნახატი.  
კარეკანის მე-3 გვერდზე — „მზის უცილები“. დიმიტრი ერისთავის ნახატი.

### მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

#### სარედაქციო კოლეგია:

აზიზ აკვლედიანი, გიორგი გარებილაძე, ზურაბ გორგილაძე, გამია  
ვარშავიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზოთა ზოიბე, დავით თელორამე,  
იოსებ ლომავაძე, გიორგი სალუქაძე, ვაჟალ კათაგაძე,  
ალექსანდრე ჩხაიძე, ვრიზონ ხალვაში, დავით სახუთავალი,  
ჯავალ ჯაფარი.



# ქართული კომიკი!

გადავშალეთ კალენდრის უკანასკნელი გვერდი.

ახალი — 1980 წელი მობრძანდა, წელი ახალი იმედებისა, ახალი წინსვლისა და გამარჯვებებისა.

კეთილი იყოს შენი დადგომა, წელი ახალო!

როდესაც შენს სტუმრობას ვლოცავთ, არც ძველი წლის სიკეთეს

ვივიწყებთ, იმ სიხარულსა და წარმატებებს ვიხსენებთ, რაც 1979 წელში მოუტანა ჩვენს დიდ სამშობლოს, საბჭოთა ხალხს.

გასული წლის ნოემბერში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენური, რომელზეც ვრცელი და მყაფიო სიტუაცია წარმოქვება ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარებლ. ი. ბრეუნევმა.

როგორც პლენურზე ამხ. ლ. ი. ბრეუნევმა აღნიშნა, სკკპ XXV კოლონდის გადაწყვეტილებათა განხორციელების მეოქებით ჩვენ მნიშვნელოვნად დაწინაურდით სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმაცლობის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზაზე.

ეს დაწინაურება, ეს დიდი წარმატებები კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე.

აჭარის მშრომელთა გამარჯვების დადასტურება იყო ავტონომიური რესპუბლიკის დაჯილდოება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც გადმოგცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

იმ დღეებში ამხ. ე. შევარდნაძემ კიდევ ერთი საპატიო ჯილდო გადასცა აჭარის მშრომელებს — მაღალი საწარმოო მიღწევებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური დაჯილდოვდა ხალხთა მევობრობის ორდენით.

გასულ წელს თავდადებული პატრიოტული შრომის მაგალითი გვიჩვენა აჭარის მუშათა კლასმა.

კვლავ ისახელეს თავი ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, განსაკუთრებით კი მეჩაიებმა და მეციტრუსეებმა. მათ გასულ წელს არნახული მოსავალი მოიყვანეს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეუნევმა მაღალი შეუცასება მისცა საქართველოს მიწათმოქმედთა თავდადებულ შრომას.

ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობის ნათელი დადასტურება იყო ამხანაგ ლ. ი. ბრეუნევის ინიციატივით მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტრობი-

კული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის  
შემდგომი დაქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ზარშან სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისათვის,  
ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისა-  
თვის საქართველოს კომისარი დაჭილდოვდა ლენინის ორდენით.


ბევრი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა 1979 წელი ჩვენი მხარის  
კულტურულ ცხოვრებაში. ეს იყო ახალი წიგნები, ახალი სპექტაკლები,  
საერთაშორისო, საკავშირო ოუ რესპუბლიკური სიმპოზიუმები, რომლე-  
ბიც აჭარაში ჩატარდა.

ზარშან ოჩხამურელ მეჩაიე-მექანიზატორს კუჭა სებისკვერაძეს,  
ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკიდან პირველს, მიენიჭა სსრ კავშირის  
სახელმწიფო პრემია, ხოლო პოეტი ფრიდონ ხალვაში ასევე პირველად  
დაჭილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით.

1979 წელი, გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორ-  
თქიფანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო ერთი კარგი წელიწადი ჩვენი  
ქვეყნის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ წარმატებებთან ერთად არ  
შეიძლება თვალი დავხუჭოთ ცალკეულ ნაკლოვნებებზე, იმ პრობლე-  
მებზე, რომელთა გადაჭრა უახლოეს მომავალში, კერძოდ, წელს მოგვი-  
წვეს.

1980 წელს — სუთწლედის დამამთავრებელ წელს — სრულდება  
ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი. გადავაქციოთ 1980 წელი დამ-  
კვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად — ასე მოგვიწოდებს  
დღეს პარტია, ამხანაგი ლ. ი. ბრეუნევი, ასეთია საბჭოთა ადამიანების  
გადაწყვეტილება.

დიდი საქმეების, დიდი მოლოდინის მშვიდობიანი წელი დამდგარა.  
მრავალუამიერ, საყვარელო სამშობლო!  
მრავალუამიერ, ხალხო მშობელო!



# საქართველოს მთალოცვები

აჭარის მშრომელებისათვის გასული წელი სასახელო წარმატებების წელი იყო. ბევრი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა ამ მხარის კულტურულ ცხოვრებაში. ერთი მათგანია საბჭოთა კავშირ-ამერიკის მწერალთა რიგით მესამე შეხვედრა (ადრე მოსკოვსა და ნიუ-იორქში მოეწყო). ყოველ-მხრივ მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ფაქტია, რომ ეს მესამე შეხვედრა სწორედ მზიური აჭარის დედაქალაქში გაიმართა. ჩვენი სტუმრები გონიძლული დარჩენენ არა მარტო აჭარის ბუნების განუმეორებელი სილამაზით, არამედ აჭარის მშრომელთა გულთბილობითა და სტუმარ-მასპინძლობით.

ახალ 1980 წელს საქართველოს მარგალიტს — აჭარას ვუსურვებ ახალ წარმატებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საქეთილდღეოდ.

**გრიგოლ აგაშიძე,**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის  
თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.



1979 წელმა დიდი სიხარული მომიტანა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიშეს.

მეამაყება, რომ ჩემი ცხოვრების ეს ბედნიერი დღე აჭარის მიწა-წყალზე ჩემს ყოფნას დაემთხვა. ეს მზიური, მართლაც რომ ზღაპრული მხარე მე განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს. ბათუმთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი დაუკიტყარი წუთი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩემთვის ესოდენ ძვირფასი კოტე მარჯანის შვილის სახელობის თეატრი, რომლის 50 წლის იუბილე დეკემბერში ვიდლესასწაულეთ, ადრე ქუთაის-ბათუმის თეატრად იწოდებოდა და სწორედ აქ, ბათუმში, აიდგა ფეხი „ყვარყვარე თუთაბერმა“.

უსაზღვრო მაღლობა თქვენ გულითაღობისა და სიკეთისათვის.  
გისურვებთ დიდ წარმატებებს.

**ვერიპო ანჯაზარიძე,**

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი.

მიყვარს აჭარა, მისი ზღვა და ცადაზიდული მთები, მისი სულით მდინარეობის დარი ადამიანები. ამ სიყვარულს სათავე ჯერ კიდევ 1919 წელს დაედო, როცა პარიზში ბათუმიდან გავემგზავრე. მას შემდეგ აჭარის ხშირი სტუმარი ვარ. დღემდე ვფიქრობ, ვალში არ დავრჩე ბათუმის ცასა და მთა-ბართან, მის ზღვასთან, რომელიც ჩვენი ისტორიის უტყვია შოწმეა.

თითქმის ყოველ წელს ჩამოვდივარ ხან ბათუმში, ხან ერბულეთში. შესაშურია აჭარის ინტელიგენციის ყურადღება და მზრუნველობა ჩემს შიმართ.

მე კი აჭარისადმი უაღრესად დიდი სიყვარული სიტყვით თუ საქმით ჩრავალვერ გამიცხადებია.

დაე, ამ სიყვარულის კიდევ ერთი დასტური იყოს ჩემი ბოლო ნამუშევარი, რომელსაც საახალწლოდ ვთავაზობ უურნალ „ჭოროხის“ მკითხველებს.

**ლალო გუდიაშვილი,**  
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი,  
სოციალისტური შრომის გმირი.



დიდად მახარებს აჭარის მშრომელთა სასახელო საქმეები. მინდა ყოველ მათგანს ვუსურვო ახალი გამარჯვებები და ბეღნიერება პირად ცხოვრებაში.

აჭარა საქართველოს ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხეა. ამას წინათ ვიზეიმეთ მისი განთავისუფლების მეასე წლისთავი. ასი წელი მთელი ეპოქაა. აღორძინდა და გაითურჩქნა ერთ დროს ისტორიული ბედუ-კულმართობით ბორკილდადებული ქართული კულტურა. ჩემთვის, ხანდა-ზმული მეცნიერისათვის, მეტად სასიხარულოა, რომ აჭარაში დიდად განვითაროს მედიცინა.

კიდევ ერთხელ დავძენ, რომ განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებს აჭარასთან. ასე მგონია, მზე აქ უფრო თბილია, ცა აქ უფრო ლამაზია, სიცოცხლე აქ უფრო ტკბილია. ამიტომ თავისუფალ დროს გული ყოველთვის ოქვენსკენ მომიწევს.

**ავლია გურაბაშვილი,**  
აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული  
მოღვაწე.



# გერეზ მკეჯავა

## ვჭერ ისტორიულ რომანს

ნემს წინ ახალი სივრცე ჩნდებოდა —  
ჩემვან, ჩემს მიერ გამონაგონი  
და ჩემი ფიქრიც მას მიჰყებოდა,  
როგორც ორთქლმავალს მისდევს ვაგონი.  
მეც ჩემს გმირებთან ერთად ვბორგავდი,  
გზებს გავცემროდი მათი თვალებით  
და პროლოგიდან ეპილოგამდე  
მივბორბიკობდი წვალებ-წვალებით.  
მეც იმ გადამდგარ პორუჩიკს ვგავდი  
ხან გარეგნობით, ხან ხასიათით...  
ლუდის ბოთლში კი წითელი ვარდი  
ყვაოდა მშვიდად, ვით განთიადი.  
გამონაგონი არ ნიშნავს ტყუილს,  
არც ჩანაფიქრი არ ნიშნავს წერტილს.  
მეც არაფერზე ვამბობდი უარს,  
როგორც ვსუნთქავდი, ისევე ვწერდი.  
და ვიდრე პითლში ის ვარდი ფეთქავს,  
ვიდრე სინათლეს თვალებს უნაბავს,  
მეც მათქმევინეთ, რაც უნდა ბეთქვა,  
დამაცლევინეთ სულის ყულაბა.  
ყველა თავისი სიკვდილით კვდება, —  
ასეთი გახლავთ ბუნების ნება.  
კაცს — რისი ცოდნაც სურს — იმას არკვევს  
და რისი პოვნაც სურს — იმას ეძებს.  
რატომ?

არ არის ეს ჩვენი საქმე.  
რისტვის?

დე, სხვებმა განსაჯონ ესეც.

ქობულეთი, ნოემბერი, 1979  
თარგმნა მოთარ ჭილაძემ.

# କୁରୁକ୍ଷେତ୍ରାଜିତା

ମୋହନୀ  
ବିପରୀତା

ଶ୍ରୀଲଙ୍କା ଚିଠିବିଦୀ  
ଓରାଧିକାରୀ

କୁରୁକ୍ଷେତ୍ରାଜିତା





არა მგონია, რომ ნაწყვეტმა რთამზე წარმოდგენა შეუძლის  
ბითსეფლის ასაღი რომანის აღნაგონია შინაგანის და პრო-  
ბლემაცივაბზე. იგზე ლოკალური დანიშნულებისად, მიზათადად  
დონის შეწმინა ემსახურება, და თუ მკითხველია სასამათო  
ბეჭრების პროცესს მაინც შენიშვნას, მიგანა მიღწეულად ჩავთვლი.

მუმაცაყება, რომ პირველად სახელმომზ „ჭროსში“ ჯადვე-  
ცინგ ასაღი წიგნის ნაწყვეტს — მათები ჩემი ღილებულია.

ათას ორას სამი წლის ქველობის\* მიწურულს, ღრუბლიან დილით, იონათამი თავისი  
სავაჭრო სახლის წინ მერხზე ჯდა და ლარველ ანანია გარევანის ქე ელოდა. იონათამი  
გარეჯის მონასტრის ბერი იყო. უკეთ ვთქვათ, ამ მონასტრის ბერ-მონაზონთა დასს ეკუთვ-  
ნოდა, მაგრამ იქაურობას მოუცლელობის გამო და უფრო კი მეტად თავისებური მიზეზის  
წყალობით, წელიწადში ერთხელ თუ მონაზულებდა ხოლმე, თორემ დანარჩენ დროს  
ტფილისში ცხოვრობდა. სამოცდახუთის იყო მიტენებული, ერთთავად ბერის სამღარდნელი  
ემოსა — საყმალ გაცრეცილ-გახუნებული. თავზე ასეთივე კანული ედო, წარაარა  
პირველის იწერდა, სასულიერო წიგნების სიბრძნეც მოსწრებულად მოპქონდა, მაგრამ ბე-  
რად მაინც არავინ სთვლილა, მამა-იონათამით არავინ ისხენიებდა, მხოლოდ სახელით  
მიმართვას სკერდებოდნენ და არც თავად იონათამი ამუღავნებდა ამის გამო უკმაყოფი-  
ლებას.

სავაჭრო სახლი გარეჯის მონასტერს ეკუთვნოდა და არა იონათამს. იონათამი მხოლოდ  
განმეო გახლდათ. ბერმრავალ გარეჯში ორმოცი, ორმოცდათი კალიგრაფი შეიმობდა.  
იქ, მიუხედავად მართლმადიდებლური დოგმის უმკაცრესი აღსრულებისა, საქრისტიანოს  
ენგზე დაწერილ წიგნებს გარდა, რა დასამალავია, და ისეთი სპარსული და არაბული  
კაზმულისტყვიერების გადაწერა-გარმავლებაც ხორციელდებოდა, რომელთა დედაბირი  
ქრისტიანულ სარწმუნოებას ახდილად და სამკვდროდ არ ებრძოდა. იმუამაღ საგალამწე-  
როს საქმიანობას კიდევ ათი, თხოთმეტი მინასტერი და გელათისა და იუალთის აკადე-  
მიებიც ეწეოდნენ. ამოდენ საქმეს ეტრატ-ქალალი და სხვა მასალა-ხელსაწყოც დიდი  
რაოდენობით ესაჭიროებოდა, ყოველივე ამის მთავარი მნე და სოფლაგარი იონათამი გახ-  
ლდათ. ალბათ ნათელია, თუ რას წარმოადგენდა ტფილის დიდ ბაზარში იონათამი თა-  
ვისი ვრცელი, სართულებიან-სარდაცვებიან-საწყობებიანი სავაჭრო სახლითური გარეჯის  
კარის უბაში და როგორი შემოსავალი ექნებოდა ამ საქმიდან გარეჯის სავანეს.

იონათამი სახახლესთან დაახლოებულ კაცადაც ითვლებოდა. მისი აღებ-მიცემობა ბაჟისა  
და გადასახადისგან თავისუფალი იყო, მაგრამ იონათამს ამის სანაცვლოდ კარის წიგნთა-  
ცავისთვის უსასუიღლოდ უნდა მიერთმია უცელა მნიშვნელოვანი თხსულების თითო პირი  
და ზწიგნებართ-უხუცესისთვის მოეხსენებინა კიდეც მისი შინაარსი, თუ, რა თქმა უნდა,  
ასეთი საჭიროება იჩინდა თავს. ყურაღლების დირსია, რომ მთელი დუნიის სოვდაგრები  
ტფილისში, თუკი წიგნ-ტრატინ ჰქონდათ საქმე, იონათამის სავაჭრო სახლს გვერდს კერ  
აუჭილებლენ. ამათთან საურთიერთოდ იონათამს სამსავე სართულებ კარგად მოწყობილ-  
მოხერხებული ითახები ჰქონდა — გაჩნია, რა ხასიათისა უნდა უოფილიყო სტუმართან  
მუსაიფი.

სავაჭრო სახლს თავისი სასოფლაგრო სკოლა ჰქონდა. ამიტომ იონათამს ბარე ოცი  
სელქვეთი ჰყავდა. რადა თქმა უნდა, ყველანი ბერები იყვნენ. აქაურობას ორი მონაზო-  
ნიც ამშვენებდა — დედა სიღონია, რომელიც სასოფლაგრო სასწავლებლის დიასახლისო-  
ბას ეწერდა და რცი, ოდეა ედროთი წლის კათოლიკე მხევალი, იჩინე, ერობაში—რეგინა,

\* ქველქართულად — ავისტო

კვარალ მინტელოფი—ამან ლათინური იცოდა, შეგირდებს ასწავლიდა. სხვა ხელქვეით-  
თაგან ზოგი დახლოს კაცი იყო, ზოგი—მეცუჭნავე, ზოგი პირელ სართულშე სავაჭრო დაიმოწინდებოდა. ჩულილისის დიდა ბაზრის  
ჩაბაზის გვერდის თოახში იჯდა—ესენი კამბებს აწრიპინებდნენ, ტფილისის დიდა ბაზრის  
გარიგებებსა და სყიდვა-გაყიდვის სხვა საბუთებს ამრავლებდნენ და ესაც მონასტრის  
საგრძნობი შემოსავალი გახლდათ. ბერიაცი, იონათამის გარდა, მხოლოდ მოურავი იყო.  
სხვები — რა ხნისა და ზოგი რა ხნის. ბარებ აქვე ვთქვათ უოველ მათგანს და თავის  
დროშე თვითი იონათამისაც, ამ სავაჭრო სახლის სასოფლაგროდ წოდებული ხეოლა ჰქონდა  
დამთავრებული. სკოლაში ხეთი, ექვსი ფრიად დახელოვნებული მოძღვარი ბავშვებს  
სამრთო სკოლს, უცხო ენგძებს, კალიგრაფიასა და ვაჭრობის სიბრძნეს ასწავლიდა. ამიტომ,  
იონათამივით თორმეტი არა, მაგრამ ორი-სამი ენა ცველა ხელქვეითთაგანმა იცოდა, და  
სადაური მუშტარიც უნდა შემოსულიყო, აյ არაფრი გაუჭირდებოდა. სახოვდაგროს  
დამთავრებას რვა წელიწადი უნდებოდა. შემდეგ იონათამი და მისი ხელქვეითები განხ-  
წივლულთაგან საუკეთესოებს არჩევდნენ, სის დასამტკიცებლად მწიგონბართ-უხუცესს  
უდგრძნენ და რჩეულთა დახელოვნება კიდევ სამ წელიწადს გრძელებოდა. ეს სახწავ-  
ლებელი თავის დროშე დავით აღმაშენებელმა დაარსა, ტიპიკონიც თავადვე შეუთხა და  
დაწესა. შემდგომ ხანებში სკოლა გარეჯის მონასტერს მიაკუთვნეს და ეხლა, როგორც  
უკვე ვთქვათ, იონათამის განმგებლობაში იყო.

აი, ეს იონათამი სავაჭრო სახლის წინ მერხზე იჯდა, ლარგველ ანანია გარსევანის ძეს  
ელოდა და ლელავდა, რადგან ლარგველი ანანია რატომლაც იგვიანებდა. იონათამი ცალ  
ლურდულზე იჯდა. მეორე არა ჰქონდა. იციოდე წლას წინ კონსტანტინოპოლში, ანდრო-  
ნიერ კომნიანისის ბასილევსობაში ბერძენმა ქონდაქებმა მოპკვეთეს მარჯვენა დუნდული  
იონათამს — შეთქმულებაში მონაწილეობას აბრალებდნენ. იონათამი მაშინ მეცერებოდ-  
და — უულს ახურდავებდა, ან ერთი ქვეყნისას მეორე ქვეყნისაზე სცვლიდა იმდღობით  
ახებული მაზანდის მიხედვით და იმპერატორების სკემეებში რას ჩაერეოდა, თუ ასეთი  
რამ ტფილისიდან არ ექნებოდა ნაბრძანები. ეს სწორედ ის შემთხვევა გახლდათ, როცა  
იონათამს ნაბრძანები არაფრი ჰქონდა გარდა იმისა, რომ ზემდგომთათვის წვრილად და  
დროშე ეცნობებინა ხოლმე კონსტანტინოპოლის კარის ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბები. ასე რომ, რაშიც ბრალსა სდებდნენ, იმისა, იქნებ, ბევრიც იცოდა, მაგრამ თანამონაწილე  
არაურისა ყოფილა, ცათამდე მართალი იყო და წამებასაც ადვილად გაუძლო — თუ  
ბრალი არ მიგიძლვის, ქვაზე მაგარი ხარ, ეს დელი კეშარიტებაა. სამართალმა პური  
უნდა ჭამოს, ამიტომ ცალკე სათქმელია, რომ ჩამოკვეთილი ადგილი იონათამს გავარვა-  
რებული შანთითაც მოუწევს. ამან ჭრილობის შეხორცება დააჩქარა, იარა დიდად არ გა-  
მიზებულა, ძვალმა სიცრიიფანა ტყავი გადაიკრა და ეგ იყო, მას მერე იქაურობას არა  
მიმატებია რა. იონათამს ჭდომა აღარ შეეძლო. შეკერმეობა კი ისეთი ხელობაა, კაცი  
ერთავად უნდა იჯდეს, ესაც ნუ იქნება, ერთხელ ეჭვმიტანილ კაცს საკანი თუ დილეგო  
მუდამ ხახადალებული ელის... იონათამმა მთელი ანატოლია და ტფილისამდე საქართველო  
ქვეითად გამოიარა და სატახტოში ისე მოვიდა, რომ მის ქორს პატრიონის სიმიმისა არა  
შეუტყვია რა — მოხუცი მას მერე უნაგირს ცედარა ჰელუობდა. ამ მიზეზითაც იყო, რომ  
იონათამი გარეჯის მონასტრის წინამდგარს ანგარიშების ჩასაბარებლად მხოლოდ წელი-  
წალში ერთხელ უნდა ჰქლებოდა.

ლელავდა-მეტე! იონათამი ქერ კიდევ დემეტრე პირველის დროიდან მოყვლებული,  
გოორგი მესამეს მეფობის მანძილზე განუწყვიტლივ და დიდა თამარის მეფობის მესამე  
ინდიქტიონამდე ერთავად სალმე მსტორობდა, წუთისოფელი საშიშ საქმეებში შემო-  
ხარჯა და ეხლა რომ ლელავდა — შიშისა არ იყო, ერთი სული ჰქონდა, იმ ლათინური  
ასებით დაწერილ ეტრატებში ჩაეხდა, ანანია გარსევანის ძემ ტრაპიზონიდან რომ  
მოიტანა.

მლელვარება ისეთი რამ არის, ძველი დამარცხებების ჭავრსაც წამოგზდებს, მით

უმეტეს, თუ ერთი მათგანის შედეგი მუდამ შენს თვალთა წინ არის: იონათამის საფაშრო სახლის მოპირდაპირე მსარეს სახედართა და სხვა მისთან პირუტყვის ბაზარი იყო მის მიერთა რიციდან აქეთ ტფილისის მსაჭულთ-უფროსის განჩინებით გადმოიტანეს. ამისთვის რამდენიმე მიზეზია მოყიდა თავი. პ. რევლი ისა, რომ ზაუტა თარუზანის ძის საგბოლის-სამოსმუროს, რომელიც სწორედ იონათამის სავაჭრო სახლის პირდაპირ იღდა, წინ მცირე რამ მოდეანი, ვ. ნა ბაქანი ჰქონდა. ბაქანზე ზაუტას მაგიდები ეღდა. მოელი ქალაქის შუოთისთავები და მემკვრალები თავს აქ იყრიდნენ. განდატურებსა თუ მსაჭულებს არცთ იშვიათად უცდებოდათ აქაურ საქმეებში ჩარევა და აღარ იცოდნენ ეს ხანგლის ტრიალის ბუდე როგორ მოეშალათ. ახლა მეორე მიზეზს: ათას ას ოთხმოცდა თევესმეტ წელს, შვიდთავე სამეცოს დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით, გმრთივ-ძლევა-მოსილ მეფეთ-მეფე თამარს ამბერდისა და გელაქენის ალება მოესურდა. აიღეს. ლაშეარი ის უკო დაბრუნდა, რომ კვალში იყონის სულტნის საერთო მოძყვა. თამარი მოუცლელად ბრძანდებოდა, საელჩის ბარე სამი მსგეფსის მანძილზე უწია ლოდინმა. ერთხელაც უკო, ელჩებმა აბანი მოისურვილეს — მესტუმრებმა წამოიყვანეს. თარუზანის ძის სამოს-მუროს ბაქანზე ლაშერობიდან დაბრუნებული ათასთავები ისხდნენ, თავაწყვეტითა ღრეობდნენ. ერთ-ერთმა ჩალმიანი კაცები დაინახა, — ჰკა მაგათ, ურჯულებოსო — დაიღრა-ლა, ვითომ ტფილისში ჩალმიანი თუ უჩალმო მაპმადანი ძვირი სანხავი ყოფილყოს, და ისეთი დაკა-დაკა ატყდა, რომ ერთხანს ცხენოსანი ასახებიც კი ვერაცერს გახდნენ. მერე, როგორც უკო და როგორც არა, დაზიანებული ელჩებს მარუშიანთა აბანში შეა-პარეს, ათისთავებს საჭროველი აქარეს, სავყრობილები წაასხეს. ამილახვარმა გაიგო, საკურობილები მიიჭრა, ათისთავები თავდებით გააშვებინა, მაგრამ საქმე ელჩებს ეხებო-დათ და ის ამბავი აღვილად რომ არ ჩაიდარცხებოდა, ესაც ცხალია. მეორე დღეს ტვა-ლისის მანდატურთ-უფროსმა ზაუტა თარუზანის ძ. ს. სამოსმუროს დაბრუნვა ბრძანა. ზაუ-ტამ — არც მეტი, არც ნაკლები — მეფეთ-მეფე გიორგი მესაბის ნაჩეურობისა და უც-ვალობის გუგარი გერ დიდი ბაზრის მელაქს ააფარა თვალებზე და მერე ქალაქის შეა-გულთ-უფროს წაულო.

ეგრე არ არის, თავათ!

მართლაც არ უკო ეგრე და ეს უკვე მესამე მიზეზია იონათამის დამარცხებისა. საქმე ის არის, რომ გიორგი მესამის მეფობაში თარუზან ზაუტას ძე, ესე იგი, სამოსმუროს პატრონის მამა, ცნობილი ტფილისელი მესარჩევ და კანონ-სამართლის იმდენად ღრმა ცოლენე გახლდათ, რომ ერთი-ორჯერ თვით სამეცო კარსაც კი გაუწია ფასდაუღებელი სამასურა. ერთ-ერთი ახეთი სამსახურის შედეგი ის უკო, რომ ვაირგვინოსანთა თარუზან ზაუტას ძეს გასამრჩელოს თუ პატივისმიგების სახით, განგის კარის უბანში გ. წის ნაცერი უბოძა. მაშინდელ ტფ-ლისში, გაღავანა შავნით, სასაძირკვლე მიწას ცეცხლის ფასი პეინდა, გოგებით იყიდებოდა. მეფეთ-მეფე გიორგიმ, საგანგებო მაღლიერების აღსან-მნა-ვად, თვით მესარჩევ თარუზანის მიერ შედგინილ გუგარის შოწერა ხელ ...

როგორი ეშმაკობითა და ცბიერებით იქნებოდა შედგენილი ის გუგარი!

სწორედ აბატომ უკო, რომ საგბოლის-სამოსმუროს პატრონს, როგორც იტყვან, უცრებზე ხახი ვერავინ დაკარა — ზაუტა შეუვალი აღმოჩნდა, საქმე გაჭიანურდა. ქა-ლაქის მოურავსა და დიდი ბაზრის მელიქს იქნებ ხელიც ჩაექნიათ, მაგრამ კარს საელ-ჩის შეურაცხეფის გამო მოხდელი მოდიშები არ ავიწყებოდა და ისიც ვისთან — იკო-ნის ურჯულო სულტნის წინაშე! ამ საქმემ კარგა ხანს იწვნა და იქაფა. იონათამი ვითა-რებას ანიდანვე აღვენებდა თვალს და ისეთი ცნობასმოყვარე კაცი იყო, რომ პატედებ უსათუოდ ჩაჲყვებოდა, მაგრამ ის ჰაე სხვაგან და სხვარიგად ითქვა. ტფილისის მსაჭულთ-უფროსს თარუზანის ძის სამოსმუროს გარშემო არსებული საბუთები პ. რადად გადაუ-ვალიერებია და შეუნიშნავს, რომ შეუვალობა მხოლოდ იმ მიწის ნაცერზე ვრცელდებო-და, რაზეც საგბოლის-სამოსმურო იღდა და არა მისი ბაქნის მიმართაც!... ორიოდ დღის



შემდეგ დიდი ბაზრის მელიქი ზაუტა თარუზანის ძეს ბოქაულის თანხლებით მიწვერდა მსაჭულთ-უფროსის განჩინება ჩააბარა, დააში გამარჯვება მშულოცა. მერე თან მოყვანილ ხელოსნების მიუბრუნდა და ბაქანზე საქონლის დასაბმელი კადონების დადგმა უბრძანა. სანამ ხელოსნები კადონებს აგებდნენ და ზაუტა თარუზანის ძე იქაურობას პირდაღელი შესცემოდა, ასასებმა, რაკეში თუ რამ გასასყიდი ჭორ-სახელარი იპოვებოდა, პატრონებიანად მორეკეს, პირუტყვი კადონებზე დაბმევინეს და ამიერიდან ბაზარი აქაბრძანება.

იონათამი უოველავე ამით ერთობ კმაყოფილი და განარებული იყო — იმ გალეშილი მამაკაცების დღედაღმა ლანძღვა-გინებასა და აყალ-მყალს მოარჩინა მამა-ზეციერმა... ეგ არის, მზისა ქვეშე ცველაცერა წარმავალია და არც იონათამის სიხარულს ეწერა დღეგრძელობა. კადონებზე ბარე ასი პირუტყვი ება და იონათამი სახელის პარველი შეძახილისთვავე მიხვდა, რომ დღეის ამას იქით მის სავაჭრო სახლსაც და სასოვალაგრო სასწავლებელსაც ნიადაგ მრავალშმოვანი ყროვინით თანხლებული მომავალი ჰქონდა. იონათამის ჭმუნვა კიდევ უფრო იმ აღმიჩნენამ გამახვილა, რომ ესოდენ ლირსეული დაწერებულების წინ ვირის ბაზარი უნდა მდგარიყო და როცა ვერსად ვედარაცერს გახდა, პირადად მწიგონაბართ-უხუცესს ეაჭა, — გასპირიდან და სირცხვილისგან გ. ხსენიო! ვაზირთა ყოველთა უპირველესმა ყურადღებით მოუსმინა, სხვა საიონათამო საქმებზეც ესაუბრა, მერე საქართველოს ტახტისთვის დუნდულმოვეთილ მამულიშვილს მხარზე ხელი დაადო და უთხრა, — იონათამ, დაფიქრდი, იქნებ, სწორედ აგრე სკოდებს საქმითვისამ! ბერიკიცი მიხვდა, უნდა დანებებულიყო.

მას შემდეგ შვიდმა წელმა განვლო, იონათამი ყველაფერს შეურავდა — იმ ჭოჭეთხაც კი მიერვია, რომელიც აქ, ძლევამოხილი ლაშქრობების შემდეგ გახასყიდად მორეკილ ათასობით სახედარს მოძევინდა ხოლმე; იმასაც, რომ თარუზანს ძემ სამომატუროს აბრაზე დიდი ყანებით დასაპალნებული კარაული დაახატვინა და თავის დაწერებულებას ახალი ეშიში შესძინა, მაგრამ ეს უოველივე რომ სახელდობრ მ. სი სავაჭრო სახლის წინ ხდებოდა, იონათამს სიცოცხლის მანძილზე განცდილ დამარცხებათა შორის უდიდესად მიაჩნდა და თავისთვის ვერაფრით ეპატიებინა... აი, ამ დამარცხების ჭარი წამოუგრია იონათამს ლარგველ ანანია გარევანის ძის დაგვიანებამ და, რა თქმა უნდა, იმანაც, რომ ძელი კრილობა კარგა ხანია ზეზე აღგომას სთხოვდა.

ადგა კიდეც, — გავისეარნებ, დამიამდებაო. ეს იყო და — მცხეთელი გრამატიკოსის გაბრიელის ძე საბრი მოვიდა, მოხუცს თავი ოდნავ ჩაუქნია — ახეთი სალაში იცოდა საბრია. იონათამს ზედმეტის გადახდა საერთოდ არაფრეში სჩვევოდა — აბანში ქისის წირიდან დაწერებული, ანჩისხატში პარაკლისით გათავებული, და დიდად არც ამ შემთხვევაში გარჩილა — თავადაც ოდნავ მოხარა კისერა. საბრია, რატომდაც, ჭერ მიიხედ-მოიხედა, იქაურობა მოათვალიერა და სავაჭროში მერელა შევიდა — იონათამმა თავისთვის ალნიშნა, — ეს კაცი კიდევ ცოტაზე რომ გაიბროს, იქნებ, გაფრანგეს კიდევაცაო, და მიტრიალდა, განჯის კარის მიმართულებით ათი თუ თხოთმეტი ნაბიჭი გაიარა. მერე შემობრუნდა, წამოვრა და ნახა, რომ სავაჭრო სახლის წინ, მერხშე კალარა დერვიში იჭდა — ესე იგი, იმ ბეტჩე, საიდანაც თავად იონათამი ეხლახან ადგა.

ჭერი ის გაიფერა, — სულის მოსათქმელად თუ ჩამოგდაო, მაგრამ იონათამისან სხვანაირად ვერ იქნებოდა, ისიც მოაგონდა, რომ ლარგველ ანანიას ეტრატების ამბავი, შემთხვევის წყალობით, ერთმა სოლუნელმა დიდვაჭარმაც იცოდა და მცირე რამ ეჭვი შეუჩნდა.

დარბაზის ზღურბლთან შედგა, ზაგ შეიხდა. ვიღაც ახალგაზრდა კეთილშობილი მანდილოსანი სავარეცელში იქდა. იქვე საჭურისი ატუშულიყო — მისი მხლობელი. ქალბატონს მავიღაზე დიდი წიკნი გადაეშალა, ფურცლავდა და შიო-ნოქარს ხანგამშებით-რაღაცებს ეკითხებოდა. ბაზრის ურიამული წამით შენელდა, იონათამი დარწმუნდა, მუშ-

ტარი ეროვნულით ბერძნენი იყო — შოთ-ნოქარს ბერძნულად ესაუბრებოდა პლატონის დახმარებელი.

— დასწულებულს ზეცა-ზოალმა, ესენი მოფრინდნენ, თუ როგორა! — გაიღიქა მან. — არა, ამ ჭალბატონს ეს სულთად კონსტანტინოპოლის ბერძნული ვილამ მიაქვავა, ჲა? — ახლა მანდილოსნის წან გადაშლილ წიგნს შეავლო მზერა და იცნო — , სინდბადის წიგნის „თარგმანი იყო სირიულიდან, მიხეილ ანდრეოპულოსის მიერ გადმობერძნულებული და რა/კომბლაც „სინტიად“ წილდებული.

იონიათაში განსწავლის უამსვე ჩაგონეს, რომ მომავალში ეჭვი და ნაირნაირი თავსატეხის ამოხსნა უნდა ყოფილიყო მისი შოვალეობაცა და ციხა ქვეშე უპირველესი დანაზულებაც. როცა მრავალი წლის მანძილზე, ნებით თუ უნებლიერ, ასეთ ჭაპანს ეწევი, მაშინ მოვალეობამ მოთხოვნილებად გადაქცევა იცის და ამ მხრივ არც იონათამი იყო გამოწაკლისი. გამოწაკლისი კი არა და, მისი თვალსაზრისით, ცხოვრება, ურთიერთობები და სამსახური ჩაეყტილი კოლოფებით მოფრინალ სამყაროს წარმოადგენდა ისევე, როგორც კა — ვარსკვლავებით მოტედილ უკიდეგანო გუმბათს, ხოლო თვით იონათამი იყო კაცი, ვისაც ხელთ გასალებების დიდი ასხმულა უნდა სკეროდა და დღენიადაგ იმაზე ეფიქრა, თუ რომელი კოლოფის რომელ ჭუჭრუტანს რომელი გასალებით მისდგომოდა. ყაველავე ამან მრავალნაცად მსტორარს სიბერეში ერთი გატაცება მოუტანა — ან იქნებ უფრო ზუსტი სიტყვა „ვნება“ იყოს — მაქმანებს აგრივებდა! სადაური და როგორი მაქმანი არა ჰქონდა ჩაკრული ამისთვის საგანგებოდ აკინძულ დავთორებში!.. გაქმეყილს გატეხილი სკობს და, იონათაში მხოლოდდა ნაყშის სილამაზე და მშვენიერება როდი იტაცებდა. მისთვის ძალის ხლართის, ქსოვილის აღნაგობის დადგენა იყო გასართობიცა და გონებისა თუ სულის ვარჩევისც. ბაზრიდან სადლაც ცხრა მთას იქითა ქვეყანაში მოქსოვილი მაქმანის ნაცერს თავის მონაცენურ სენატი მიიტანდა, წამოწვებოდა და დაუწევებდა ჩინბავა — გასალებების მირგებას. თუ კლიტე ჭაპანს მალე გაიღებდა და ადგილად დანებდებოდა, იონათამი იმ დღეს ცუდ გუნებაზე გატელდათ, ასე გასინჯეთ, მაღაც მიუსუსტდებოდა ხლოშე. თუ მაქმანის წყობა როული აღმოჩნდებოდა, ჭუჭრუტანაში გასალები ბარე ათანირი შედიოდა და გაღებით კი ვერც რომელი აღებდა — მაშინ იონათაში ჭერ ხორცი აუწერიალდებოდა, მერმეთ სული და ეს აქოთქოთებული, მშეოთვარე განწყობილება ბერიკაციისთვის უმაღლესი განცხრომაც იყო და ნამდვილი საცოცხლის უტკბესი განცდაც. ასეთ დროს იონათამის არსებას მშვილდის ლარივით დაჭიმული შეუპოვრობა და სწორი გზის არჩევის, საიდუმლოებაში შეღწევის მახვილი წყურვილი იპყრობდა, ისეთი ძალით, ისე სავებით იპყრობდა, რომ სულის სილრმეებში სხვა რამ გრძნობებისა თუ განცდებისთვის ადგილი აღარაუერი ჩებებოდა — სილრმეებიდან უკელავერი გარეთ გამოიდევნებოდა, გამოიყონებოდა ხოლმე, და ეს გამონაცური მის გარებობას ოფლივით მოსდიოდა. მოსდიოდა და იონათამის დახრილ მხრებს სათხოება მთვარის შუჟივით ეფინებოდა, სახეს ცოტა ეშმაკური, ცოტა მორჩილი ლიმილი შეუდგებოდა და თვალებში სევდიანი, უკელაფრისა და უკელას წინაშე უმდაბლესი მოკრძალების გამომეტყველება აუციმცამდებოდა ხოლმე.

იონათამი ახლაც სწორედ ამგვარ სულიერ ვითარებას განიცდიდა და ამ რატომ:

— მე მხოლოდ იმდენი ხნით შევაქციე ზურგი სავაჭრო სახლს, რამდენიც ათი ან თხუთმეტი ნაბიჯის გადასადგმელად მჭირდებოდა, ანუ მხოლოდდა წუთით, — ფიქრობდა იგი. — ამასთან, სანამ მივტრიალდებოდი, აქაურობა გულდასმით გეონდა მოთვალეურებული და, სულ ცოტა ორმოცდათი ნაბიჯის მანძილზე, არც ეს გამოპრანებული დიაცი შემინიშნავს სამზე, არც მაგისი საჭურისი და არც დერვიში. შემოვბრუნდა თუ არა, ჩემს მერჩე შემოსკუპებულ დერვიში იმავ წამს დავინახე. გამოდის, რომ იგი ან მუზაფარ რაგაბის სახლიდან გამობრძანდა და დაკდა, ან აგრე იმ კუთხეს მიუარებული მდარა ჩაჭობდა და ზურგი ვაქცა თუ არა, მაშინვე მერხისევნ გამოსწია. ამისთვის დერვიში

შეფლი წუთი ჰქონდა, თამამად მოასწრებდა, მაგრამ არც მუშაფარ რაჭაბი არის კავშირის ლისა და არც კუთხეს ამოფარებული მოთვალოვალე — გინდ დერვიში იყოს და გინდ ბაღდაძის ხალიფა. ეს დედაკაცი? ამისი ბოლოდანა ვთქვათ. ის დრო, რაც შემოტრიალების შემდეგ ამ ზღურბლამდე მოსცლას მოვანდომე, წუთზე მეტი იყო: შევდექი, დერვიშს გამოვყურებდი და აძრომ გამოვიდა წუთზე მეტი. დიაცი სავაჭროში უკვე შესული ბრძანდებოდა და ამ ხანში „სინტიპის“ მოკითხვასაც მოასწრებდა, გადაშლასაცა და ზომ-სთან მასლათის გამასაც, მაგრამ შესვლა როგორდა მოასწრო? სად უნდა მდგარიყო, რომ დინგად, უჩქარებლივ, კეთილშობილი მანდილოსნისთვის შესაფერი სიარულით ევლო და სულ რაღაც ერთ წუთში სავაჭროში შენარჩებაც მოეხერხებინა? ეგ ქალი დერ-ვიშიგით კუთხეს ამოფარებული ვერ აიტუშებოდა. მაში, სად იყო? სად იყო და, უუ, დას-წყევლოს ღმერთია, ეტლში იგდა თავის საჭრიისანად! ჩანს, ეტლებისთვის არც ბოლ-თამდე მიმიცრია გულისყრი და ბოლთის დროს სავაჭრო სახლთან რისამე გაჩერებაც ვერ მიგრძნია. დაბერდი, იონათამ, გამოთავავანდა, მაგრამ იმდენი ჭყალ ხომ მანც შეგ-რჩა, რომ ეს დიაცი ამაღამ შენთან დასაჩრენად არ მობრძანდებულა... ფუი ეშმაქს, ეს რა წმომიცდა, შემინდე, ღმერთო... — ბერგა სასწრაფოდ, სხაპასხუპით გადაისახა პირვარი, — ...და მაშინ ეტლიც აქ საჯეო უნდა უცდიდეს. ხად? — იონათამშა თავისი სევდიანი, კველაფრისა და ყველას წინაშე მოკრძალებით აციმციმებული თვალები იქაურობას გულ-დასხით მოვლო, დარწმუნდა, რომ კეთილშობილი მანდილოსნისთვის საკადრის მანძილზე ერთი არაფერი იღვა, მერე დერვიშს დახედა და ხელი უნდებლიერ ბიჭანტიონელი ქონდა-ქრების მიერ მოკვეთილ აღვილზე მიიღო.

ეს ელდისა იყო.

ვინ იცის, რამდენი წელიწადი ებრძოდა იონათამი საკუთარი მარჯვენა ხელის ამ თავ-ნება საკიცილს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ელდა და ჩაქონდაქრალზე ხელის მიღება — ერთი იყო. აა, ეხლაც — არც დაბნეულა, არც სახესა თუ იერში რაიმე შესცვლა — მხოლოდ საღლაც სიღრმეებში დაუარა ელდა და მაშინვე ხელი მოივლო... იმიტომ, რომ დერვიშის ნაკეთები წევრულვაში დაუჩანა!

— იერუსალამურია, კვარისნებს მიაყვენენ მავის ოსტატები, — დააღვინა იონათამშა, ჭურა გადასჭრა და ზაუტამ საებოლიაში შევიდა.

საებოლისში, თოქმის, არავინ იყო. ნაბაზრალი გლეხები ისხლენ — ალბათ, ცოლ-ქმარი — და ლობის უექცევოდნენ. იქთო კუთხეში ვიღაც ხეიბარი საუზმობდა. საეჭ-ვო არაფერი ჩანდა. იონათამი ჭურისევნ მიტრიალდა. გაიხედა და სარაჭების ჭურაბანდში, ხწორედ იქ, საიდანაც მიის აზრით, კუთხეს მიფარებულ დერვიშს უნდა ეთვალთვალა, დასურული ეტლი ასიანა.

იონათამია ხელის ბიჭის უხმო. ბიჭი მოვიდა.

— სანდროს დამიძანე... აქედან არ მიხვიდე, სარაჭების მხრიდან დაკაუჭნე, — იონა-თამი სანდროს ეძახის-თქო. დინგად იარე, არ ირბინო... თვალები არ აცეცო აქეთ-იქითა! ბიჭმა თავი ჩაიქნა და წავდეა.

— ეხლა, ე მაგ დერვიშის საქმე, აა, როგორ არის... — ჩინდვა განაგრძო იონათამშა. — თავისი გარეგნობის დამალვა სწადა, ამისთვის უკეთია ეგეები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩემი და სავაჭრო სახლისა ნამდვილი არა გაეგება რა, თორებ ქათმის საკენეს მელას არ დაუყრიდა. მაგისთვის ჩვენ მხოლოდდა წიგნის ვაჭრები ვართ და სახლი კი ის ადგილია, სადაც ქათამი, ადრე თუ გვიან, უნდა მოვიდეს, ესე იგი — ანანია. მალე შეუძლის ჩარებს შემოქრებინ. ლარგილმა ანანია. — ათიღან თერთმეტამდე მოვალო. მაქეს თუ არა უფლება ვიზუალო. რომ დერვიში ანანიასთოის არის მოსული?. თუ ეგენი ერთიანებს სადგე შეცრიან და დერვიშია ეტრაცებისა ერა რამე, მაშინ წევრულვაშიც გამართო-ბულია და ისია. რომ წარით სამართლოსან ჩასაფროა... ეტრატებს გახაყიდა სხვაგან სად მიიტანს კაცი? იგ არა. ჩემი პატიო სამართლოსან ჩასაფროა... ეტრატებს გახაყიდა სხვაგან სად მიიტანს კაცი?



მაგრამ ვინ იცის, რა ხანია აქა ტრიალებს და ანანიას გამოჩენას ელის!. ესა საბურთო მოსელამ შეაცდინა — ლარგველი ანანიას განაჭერივთ არის საბრი ტანით, იერითაცა და სასის ფერითაც. დერკიშს, თუკი საბრის უთვალთვალებდა, აღბათ ისიც ენიშნა, რომ საბრისა სავაჭროში შესვლის წინ რატომდაც ირგვლივ ზველაფერი გულდასმითა და, თითქოს, ზინერულადც მოათვალიერა. საბრის შესვლა იყო — დერკიში მანდ დასკურდა. ხომ უნდა დაწმუნდებს; ანანია მოიხელოთა თუ სხვა არის ვინმე? ეს მოსაზრება აღვილად შემოწმდება: დერკიშს, რაც დაჭდა, მას მერე თავი არ აუზევია, მიწაში იუსტება. ესლა საბრი გამოვა. ანან თუ თავი აიღო და შეათვალიერა, მაშინ აღბათ მართალი ვარ. თუ აედევნა კიდეც, მაშინ...

საგბოლისში სანდრო შემოვიდა, იონათამს მიეახლა.

— სავარეროში მანდილოსანი ზაბ. აგერ, ეტლი!.. ეგ ეტლი იმას უნდა ელოდებოდეს.. მაგას ელის თუ არა — სულერთია. ნახე, საღ მივა. სოსოს უთხარა, იმ დერვეის მიმეკვეთს. წადა, — დამილეთ უთხრა იონათმება და საგძოლისიდან გავიდა.

— ისღაა დასანამდვილებელი, საცურისიანი ბერძნის ქალი და ეს მიამზრი დერვიში ერთი ჯამაათია, თუ ზოგი ზენაა და ზოგი კვენა, — განაგრძო იონათაშა ფაქრი, ქუჩა გადაიარა და სავაჭროს ჰლურბლთან ისეთნაირად დადგა, რომ საჭურისიანი მანილოსანი-  
ცა და დერვიშიც თვალთახედვის არეში ჰყოლოდა.

— ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠଦୂତ, ଯେହି ମିଶନ୍‌ଶି ପ୍ରସରିବା... — ଗୀତାଙ୍କଳୀ ପାନାତାମିର, ଖଣ୍ଡା ପ୍ରସାଦ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନିର୍ଦ୍ଦେଶ କ୍ଷେତ୍ରରେ ଯେତେବେଳେ ଯାଏନ୍ତି ତାହାରେ କିମ୍ବା?

ასეთი კუნის მოპირდაპირებ მხარეები წასტაცა გულასყური იონათაშვილი: სახელმწიფის კადონის ბიჭი მოუასლოვდა — ასე, ოორმეტ-ცუამეტი წლისა. მხედრიანი და ჩოჩირიანი კარაული აუშრით მოჰყავდა. მხედარი შუახინის ჩალმიანი თურქი გახლდა, კარგად მოვლიონაატყარი, და სამხსოვის მიხედვით — აზნაურთავანიც! ჩოჩირის კვალში უკვე სანში შესული წყევლიანი ქალი მოსდევდა. ქალი — ხურჯინიანი, თეთრწვერულვაშა, შებერებული, მარგამ ტანკორბა, ყოჩაბადი კციო.

ეგრე, მწკრივალ მოვიდნენ.

— მანდ დააყე, ჩეზო! — გასძახა პაპამ შვილიშვილს.

ბიჭი დაღვა. რა თქმა უნდა, სახელარიც გაჩერდა და ჩოჩორეც.

ბერიკაცმა სურჯინი თავის ქალატონს მიაბარა, ზუტას სამოსშუროში შევიღა, მერხი მოიტანა და სახედართან დასდგა. ჩალმიანი თურქი ჩამოხტა, ნამეზავრ-ნაგავაყევი სხეულის გასულელად ერთი-ორი ბოლთა დასცა, ბერიკაცისგან მირთმეულ შერხევ დაბრძანდა. ბეჭმა კარაულს მოსართვები დაუფლონა, ნიდაუყებით უნავირს დაენდო და ცელაშ ერთად — პაპამ, დილევამ, შველიშვილმა, თურქმა და ჩინირიანმა კარაულმაც კი — ონთააშის საფაქრო სახლს დაუწყო დაუინგბული კვრეტა. პაპამ, ასე გასინჯეთ, თვალებიც კი მოიჩრდიო.

კლინიკურან ჩიხო გამოჩენდა — დალალი. სახელარი დათვალიერა, ლოშები გადაუწია, კბილებში ჩახდა. მერე მუცელზე აუს-დაუსტა ხელი, ზიზღიანალ გადაფურთხა, ცხოველ რაცილინიში ნააგით გაშოროდა და იქითანდა ითხოა:

— ତାପି, କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା ?

პაპამ დალალს აბური თვალი სჭიდა.

ჩიხომ უმაღლ სახელარს დაათითა ლა განმარტა:

— ამ ლექციაბირს ვამზობ, პაპი, რა ლირს-მეთქი.

პაპაშ დალალი ძალლადაც არ ჩავდო, ისევ იონათაშისკენ წამოიღო თვალი.

— არა ჰყიდით? — სიტყვას ბოლო დაუგრძელა ჩიხომ.



— მაგის გასაყიდად არ მოვსულვართ, არა! — ახლა ბებომა სცადა დალაპონიშ ზე და მოშორება.

— ჰომო, — თავისთვისა თქვა ჩიხომ და დასძინა: — ე შაგ ბალლსა ჰყალით, არა?.. რა ლირს-რო?

პაპამ გადმომიშვირა — დალალმა სასწრაფოდ ჩიხიორს დაათითა:

— ამ ბალლს ვაშმობ, ამასა, პაპი. როგორა-მეტე.

რეზო-ბიჭმა ხანგალი იშიშვლა და სანამ ჩიხო რასმე მოასწრებდა, სიბრტყლივ დაუშინა...

მისდევდა და სცემდა. ირგვლივ ისეთი ყაუანი და ურიამული ატყდა, რომ პაპი შვალიშვილს ვეღარაუერი გააგონა. ჩიხო დაფუთებული ვარბოდა, ბიჭი მისდევდა და იქმიდე ცცემა, სანამ მობეჭრდა, თუ სანამ დაიღალა. ჩიხომ, როგორც იყო, უშველა თავს. რეზო-ბიჭმა მიმიტოლავ დალალს ერთი ძლევამისილი ლანდღვა კვალში მიაყოლა, ხანგალი ჩაავო და თავის ფაშატს დაუბრუნდა.

— მოეშვი-მეტე, რეზო, — დინგად უთხრა პაპაშ.

— ჯერ ბებოშე თქვა და შერე ჩემის. ვერ მიგვდი თუ როვორა! — ჯავრიანად განმარტა რეზომ და ოვალებით რატომძაც ისევ დალალის ძებნას მიმეუვა.

ეს სეირი მორჩია და ვრამატიკოს გაბრიელის ძე საბრი სამწერლოდან ხავაჭრო დარბაზშია გამოიერა. გამოიერა, ბერძნის ქალი დაინახა და გაშრა. იონათაშია იცოდა, საბრი ჩუნი, მაგრამ ურთობ მსწერ დედაონიგალი იყო და, ცალდი, ამ ლამაზმანი ლაციის დანახვაზე სული უნდა აპარატურიდა.

ბერძნის ქალმა „სინტიას“ თავი მიანება, განეცებულ საბრის თვალი მიაპყრო, შეკრთა, ერთხანს გაშტრებით უყურა ჭაბუქს, შერე დაიმორცხვა და ისევ ფოლიანტში ჩარჩო თავი.

— ქამანდი სტურცნა! — შეაფას იონათაშმა მანდალონის ხაქციელი. — ახლა ისავნახოთ, ეს ჩვენი წინასწარმეტყველი კისერს მიუმარჯვებს თუ არა?.. ჟა..

იონათაში დერგიში მოაგონდა, თვალი მისევნ გადააცურა. დაუპატივებელი სტუმარი თავს კულავინდებურად იმთვლემარებდა, მაგრამ იონათაშმა იგრძნო, დერვიში ჩახატერებულივთ იყო.

— ნეტავი, რამდენ ხანს იდგება აფრე მონუსხულ-გამოთაცვანებული? — გაიცაჭრა იონათაშმა. საბრია — ვითომ ეს ფიქრი სიტყვად მისწვდომოდა — მიიხედ-მოახედა და იონათაშისენ გამოსწია.

— ვინ არის? — საბრი, როგორც უოველთვას, გაყინული სახე და მზვაობარი თვალები ჰქონდა.

— ესა? — მოკრძალებით მიუგო იონათაშმა და დერვიშს დასხდა, — რა ვიცი, ამა... სულია თუა. მერჩი ნახა და დაგდა.

საბრმაც დერვიშს დახედა. დერვიშმა ამოხედა, საბრი შეათვალიერა და ისევ ჩაღუნა თავი, ისევ მილულა თვალები.

— ისა. იმას გეკითხები! — თავი დარბაზისკენ გაიქნია საბრმა. იონათაშმა უფრო გულუბრევილოდ მიუგო:

— ისა?.. ისა ჩვენი შიომა, ნიქარი.

ბერძნის ქალი ზღურბლს პირბადის ქვეშიდან გამოსცემოდა.

— მე შენ შიოს, აბიძოსა და ბოიგარს არ გეკითხები! — საბრან მარჯვენა ლაწვენი ერთო-ორგერ შეითამაშა. — ისა, ის ვინ არის-მეტე!

იონათაშმი ვითომ ეხლადა მახვდა, საბრი ვისაც კითხულობდა. ჯერ სინანულისა და ბოდიშის გამომეტყველება შეანათ საბრის, შერე მორცხვი ღიმილი და შმაღაბლა, დამწა-შავესავით მიუგო:

— ეგა მაგ მანდილოსნის საჭურისა, მხლებელია და ისე მცონია, რომ მაგის ქალბა-  
ტონს ერთობ მოწერნე... იქთ აღარ გაიხდო!

საბრის თავშეკავების უნარმა ესმლენ შძიჩე გამოცდას ვერ გაუძლო, სახე გადაებ-  
რიცა, სამწერლოდან გამოტანილი გრავნილები მარჯვენა ილიიდან მარცხენაში გადაიტანა  
და ის იყო, რაღაც სიტუვების ლვარი უნდა გადმოეშვა, რომ იონათამა კულაც შეანათა  
თავისი გულის გამაშვრალებელი დიმილი:

— არ გაბრაზდე, საბრო, მშვიდად!.. ყური მიგდე!

თითქოს, ვინმეტ ერთი ნიბაბი მეორეთი შეუცაბლათ — საბრისა თვალები ააპატუნა და  
ხელი ადლიაში ამოჩრდილ გრავნილებისენ წაიღო — აღმათ, ადგილის შეცვლას უპი-  
რებდა...

— მანჯა ექინდეს, არ გადოიტანი! — მიაეგძა იონათამა. — შენ ეტლა მარჯვენა  
ქედა უნდა ჩამომართვა და დამემშვიდობი. გრავნილებს მარჯვენა ილიაში თუ ამოჩრდილ,  
ხელის ჩამორჩევა მოუკეშავად გამოგიყვა.

— დაგენშვა დობო?.. რათა! — წაიღულლუდა საბრმა და ისევ წამოფეოქდა: — შენ,  
რა, კუუა მასწავლორი?

— ევ მანდილოსნი კონსტანტინოპოლესია. შე ისე მცონია, შენ გახაცნობად არის  
ჩამოსული, — სმაბაბლა უთხრა იონათამა. — აერა, შიოს ესაუბრება, უთუოდ შეწევ  
ეკითხება, — ვინ არის და რა კაცაო. იმის დადგენა უნდა, სწორად მოგაგნო, თუ არა.  
გაიგვ, როგორც არის?

საბრს ისევ გაეყინა სახე, თვალებსა და იერში პატივმოყვარეობის ეშმაკმა დაუარა  
და ოქა:

— ჩემ, ეპისტოლე ექნება წაკითხული. მწიგნობარი მანდილოსნი ჩანს. კონსტანტი-  
ნოპოლის პალოტიომშე ორჩერ წაიკითხეს და ასლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა.  
მაგასაც ექნება წაკითხული.

— ექნება, ექნება, — დაუდასტურა იონათამა და უმაღლე დაუყოლე: — რომელი  
ეპისტოლე... რა ექნება წაკითხული?

— ესა! — საბრმა ილიაში ამოჩრდილ გრავნილებზე ანიშნა. — ეკრეციიდანც უ-  
შომითვალებ, მთხოვენ... „ეპისტოლე ქრისტიანთავის ჩამადინათა გამო“.

— ჰოო!.. ევ მაგარია, მთელ დუნიაზე უნდა გაღრცელდეს, მთელ დუნიაზე. — თა-  
ვისი თვალებაზრისი ამცნო იონათამა და დასძინა: — ისე ვატუოდ, მაგ დაიც მაშაკაცადაც  
მოწერნები. დააცავდ, თავად მოგმართოს... აგრე აჭობებს. აპა, დამემშვიდობე, ვითომ  
მიღდიხარ. — იონათამა საბრს ხელი გაუწოდა. საბრმა — ნებით იუ თუ უნებლივოთ — ჩამო-  
რთვა, მაგრამ წახელა არ დაუპირებია. ევ არის, ეშმაკმა დაუყოვნებლივ გასჭრა, ბერ-  
ძნს ქომა შიოს რაღაცები უთხრა. ნოქარისა დასტურა მიუგო და მაშინ სტუმარმა თა-  
ვის საჭურისს მიმართა:

— რომანოს, სთხოვე ქაბუქს, ერთი წუთით მობრძანდეს.

ცოტა ხნის შემდეგ უცხოელი ქალბატონი და საბრი დევლი შეგობრებიცთ მუხაი-  
ფობდნენ. ქალბატონი ცოდნის დაუყოებელ წყურვილს იჩენდა, მაგრამ ამას დიდი მოკრ-  
ძლებით სჩადიოდა — ცოდა, ასე ულრო მომარადოებელი იერი ქვენდა. საბრს თავისი  
გრავნილები დახლეშე ჩამოედო, გატაცებით ლაპარაკობდა, უკვე სწამდა, რომ ეს დაცაცი  
ამაღავ მისი საჩემლის რაფაზე თვად გაღმოძვრებოდა, სექმე განადლებულად მიაჩნდა და  
ელან ფალოსოფოსთა აზრები ბიჭანტიური მაღალვარდოვნობით მოპქონდა.

— რაოდენ მშენებერ ბერძნულს ლაპარაკობთ... უთუოდ კონსტანტინოპოლის სშირი  
სტუმარი ბრძანდებით, ქაბუქ, — სიტუვა-პასუხი და უცხო ენა მოუწონა მანდილოსნა.

საბრი თავის ხიცოცხლები, როგორც იტუვან, დიღომის არსათ გასცილებმა, მაგრამ  
ბერძნული, რაც მართალია, მართალია, ზედმიწევნით იცოდა. ეცოდინებოდა, ჩაშ, როგორ,  
როცა თავისი მამის — მცხეთოლ გრამატიკოსის გაბრიელის წყალობით, ქართულად ჰერ

„აღუ“ არ ჰქონდა ნათქვამი და ბაგრატიონთა დინასტიის ტიტულატურა კი ბერძნულად ლექსით დასწავლება... საბრძოვებლობა არ ეყო, ეთქვა, — ბიზანტიაში ნაშენები არა ვარო, ამ ქათინაურის უფლებები დატოვება არჩია და ისევ ბერძნულის ცოდნას ჩაფრინდა:

— უნდა მოგახსენოთ, ბერძნული ლექსი ქართულ ენაზე ჩინებულად უდერს. აი, რა-მდენობე სტროფი თქვენი თეოდორე პროდორმოსიდან, ქართულად...

— მაგ ბერძნის ქალს საბრძოვები ვინაობა ამ წუთში არაფრად სჭირდება, — ფიქრობდა იონათამი. — რაში გამოადგება! ლარგველ ანანიასთვის იმ ეტრატებას ამბავში გვარსახელი არც ვისმე უყითხავს და არც თავად დაუძახა, — მავანი ვარო! შეძლება, ვინმემ გარევნობათ დაიხსომა, იერით. ეს ქალი — თუ ეტრატების საქმეზეა გამოგზავნილი — იძულებულია აღწერილობით იპოვნოს ლარგველი ანანია. ეგ საბრი მაგას ანანია ჰეონია... არა, ამიწმებს, — ეს ხომ არ არისო. მაგათი მუსაუი გაცნობისა და დარწმუნებისა, ეგ არის... ერთი ამას დახე, კაცო, ამ ბებერსა!.. ჩემკენ მოდის.

რეზოს პაპამ ქუჩა გადმოიარა, იონათამთან მოვიდა, შეათვალიერა, მერე დერვიშ დაავლო თვალი და სავაჭროშიც შეახედა. ამაებს მორჩა, ჩაახველა და იონათაში ჰკითხა:

— შენ იონათამი ხარ, არა?

— ეგრეა, — პატარა ხეის ღუმილის შემდეგ მიუვო იონათამმა. — მე ვარ. რა გინდა?

— რა გინდა და, აქა ლარგველი ანანია გარსევანას ძე უნდა მოსულიყო. აგერა, რაცა ხანია ველით და არსადა ჩანს, — განუმარტა მოსუცმა. — როგორი ბუღი და პაპანაქებაა!.. დაწყვდით, კაცო! იქნება, იყო კილეცა და... ჰა? ამბავი არაური დაუტოვება?

ახლა იონათამმა შეათვალიერა — ჯერ დერვიში, მერე სავაჭროსკენ მიაბრუნა თვალი და ბოლოს კალონებსაც გახედა.

დერვიში კვლავინდებურად თავჩახრილი იქდა; საბრი ლექსს იყო აუოლილი, ადარც თავი ახსოვდა, ალარც ქვეყნიერება; კალონებიდან რეზო-ბიჭი, დედაბერი და თურქი ისე გამოსცეკროდენ თავის ბერიკაცს, ვითომ შინებოდეთ, — არავან წაგვვაროს; მოხუცი კი იდგა და პასუხს ელოდა.

იონათამს წელიწადი ეფიქრა. რაღა თქმა უნდა, იმას ვერაფრით მოიაზრებდა, თუ ამ ბერიკაცის ქარავანს ლარგველ ანანიასთან საერთო ჰკითხა რამე.

— შენა ვინა ხარ? — ვითარების საფუტვლიანი მოხილვის შემდევლა ჰკითხა იონათამმა.

— ქსნელი წათე ვარ... მეფეთ-მეფე გიორგის მეაბგრეობაში ჭოლესაც მეგასძნენ...

— ე-ჰეეე! — იონათამს ღიმილი გამოევინა. — ქრლე ხარ, მაშა!... ალარაფერი დარჩენილხარ... — ბერიკაცს სახე ეცვალა, წუენა დაუტუო და იონათამმა უმალვე დასხინა: — მინახისარ, ვეზნივით კაცი იყავ და... არა ეხლაც არა გიშავს რა, მაგრა ხარ, მშვიდობა და ჭანი მოგცეს მაღალმა ლმერთმა... ლარგველი ანანია რაღაც მოგვცება, ჰა?

— ძის ძეა ჩემი. აგერა, ის რეზო, ანანიას ძმაა — მესამეა, უმრწმესი ეგ არის... მაშა, აქ არსად გამოჩენილა ანანია!

— ჰოო!.. ალბათ, მოვა. რაღაც დაგპირდა, მოვა. ჩემთვის არა უთქვამს რა, — ხელი დაიბანა იონათამმა. — ეგ თურქი რა, ტუვეა თუ როგორა?

— ტუვეა, ბეგთაგანი! გარსევანმა მოინადავლა, ე მაგ რეზოსი და ანანიას მაშამ, ჩემმა შვილმა. ექვსი გვეკვდა. გამოისყადეს. ეს ერთობლა და ეგეც ანანიას შისცა მაშამა, — ჩასაც მოგცემენ, შენი იყოსო. საითლაც აპირებს ანანია — არ ვიცი, იერუსალიმში თუ მექაშიო, ერთოვალ დაეხეტება. ფულა მჭირდებაო და შისცა მაშამა. დამხსნელი უნდა მოეყვან ანანიასა და რომ ალარსადა ჩანს... — ბერიკაცშა სელები გაასავსავა და ისევ კალონებისკენ გასწია.

საგაქტორდან საბრის ლაპარაკი მოისხა:

— აქ სამი ასლი უნდა ყოფილიყო. ორია. შედი, უთხარი, მესამე-ოქმ! — ზოოს ეჭნებოდა.

ბერძნის ქალი და საბრი წამოშლილიყვნენ, წასვლა დაეპირებინათ.

— სამი იყო მანდა! — მოისხა სამწერლოს დია კარიდან.

შიო-ნოქარი მწერლებთან შევიდა.

საბრი მანდილოსანს ბოდიში მოუხადა, სამწერლოში შევიდა. შევიდა და ერთი დაუიღარაბა ატყდა.

იონათაშმაც სამწერლოს მოაშურა, შევიდა, კარი შეიხურა. დავაში არ ჩარეულა, მოყაყანებს გვერდი აუარა, უკანა ოთახში გავიდა. ეს კარიც შეიხურა, ფრთხილად, უხმოლ ჩარაზა. კედლილან ღვთისმშობლის ხატი ჩამოიღო, მაგიდაზე ერთობ დაურიდებლად, მაგრამ მაინც რაღაც ლოცვის წაწირჩულებით დადო თუ დააგდო. ხატის აღვილას, მაღლში ჭრულებულან იყო — იმას მიაცია თვალი.

აქედან საგაქტო დარბაზი ხელისგულზე იღო.

— ამა, კაცო, ორია, ორი!.. — კარს იქიდან ისმოდა საბრის გაცხარებული ლაპარაკი.

— ორი ამან გადაწერა და ერთად შეგრაგნა, — უხსნიდა ერთ-ერთი გადამწერი. —

შესამ მე გადავწერ, ცალკე შევგრაგნე და მაგ ორში შევდე...

იონათაში თვალი კვლავინდებურად ჭრულებულან ჰქონდა.

საგაქტო დარბაზში ბერძნის ქალმა დინგად მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, — არავინ ვეთვალვალებსო, და საჭურისს რაღაც ჰყითხა. საჭურისმა დაუდასტურა. მანდილოსანი განრისხდა, ასე გასინჯო, თავის მხლებელს ფეხიც კი დაუბაკუნა. საჭურისმა ხელი ხვან-ჭარში ჩაიყო, გრანილი გამოაცხურა, დახლის ძირას იატავზე დააგდო.

იონათაშმა ხატი თავის ადგილას დაკიდა, სამწერლოში გავიდა.

— საბრო, დაგვარდნაა. იქა გდია, დახლის ძირას, — უხხერა იონათაშმა..

— შენ რა იცი!.. იქ არაუერი გდია. დამაკლეს, — უჩივლა საბრმა გადამწერლებს.

— მე რა ვიცი?.. ჩატმა მომიტანა ამბავი და ვიცი!.. გდია-შეოქმი! გამოვარე და დავი-ნხე... იქნებ, სხვა რამ გრანილია, მაგინი რა მოგახსენო, და გდია კია, — ნათქვამი დაა-დასტურა იონათაშმა.

საბრმა მსრები აიჩინა, გავიდა.

შიო მიშეუა. ქალბაზონმა საფულე გახსნა, „სანტიპისა“ გადაიხადა. საჭურისმა წიგნი ილიაში ამოიჩინა, ბატონებს აედევნა.

იონათაშმა საგაქტოს ზღურბლზე იდგა, ღერვაშს დაპყურებდა და გუნებაში თავის თავს ექათინაურებოდა:

— ვარგებულხარ კადევა, იონათაშმა, ვარგებულხარ! — ამ ქების ლირსად თავი იმის-თვის ჩიიჩნია, რომ დერვიშს თვლემისა აღარაფერი ეცხო, მანდილოსანსა და საბრს მი-მინოს თვალებით გაცეკერდა.

— ეხლა?.. — იფერი განაგრძო იონათაშმა და ამ დროს ისნის ხილის მხრიდან მოდა-რედ იკავიას საყვირი მოისხა.

ბერძიკაცმა ხიდისკენ გამართა მზერა. სახეზე ჭავრმა გადაურბინა. წამით მინელებულ ურამიულში საყვირმა კვლავ და მეტის უინით, მეტის ვნებით გამოსცა ხმა. ეს არც რაიმე ჰანგის ნაწყვეტი იყო, არც გამოული, როყიო ღრალი. სამი მძაფრი, სრულიად განხსვავებული და საზარელი დაბგერება მოსდევდა ერთმანეთს — თითქოს, წარსული ცოდვების, წუთისოფლის ამაოებისა და მომავალ განსაცდელთა გამო კიოდა სამი, ერთმანეთისგან ცხრა-ცხრამთით დაშორებული მოზარეების გუნდი.. იონათაშმა ეს საყვირი ძარღვებს უშლიდა ხოლმე. ალბათ, იმითომ უშლიდა, რომ მთელი საქრისტიანოს ბერთაგან უმიწი-ერები იყო, მაგრამ, ავერ, უკვე სიცოცხლის დასაქანზე მიმავალს, ზესკნელ-ქვესკნელი-სეულ ძალთა თუ ხმათა არსებობა ვერც უარესო, რაღაც ქვეშეცნეული შიში ჰქონდა მათი,

ვერც ელიარებინა, ჩადგან მათზე მინდობამ რამდენჯერმე დიახაც უმტყუნა და ამ ცალკე  
მანისა გამო საყვირის კივილი გულშე ორთავ ქვეუნიდან მონაქროლ მუქარად ცვდუშლება;  
აფორიაქებდა, წონასწორობას აკარგვინებდა.

ცელზე მოვაჭრე ბიჭების ბრძომ ისნის ხილისკენ ერთი ყაყანითა და თავისის მტკრე-  
ვით გაირბინა, — ჩალაც ამბავია, მოდარდე იაკოფა მოდისო!

კალინებს მოახლოებულმა იაკოფამ ერთი კალვი დააყვირა. სახელრებმა ყროფინი  
გააეხებს.

— აგრეა... რასაც პირველს ამბობ, იმ მეორეს გეუბნებიან! — გულში ნიშნი მოუგო  
ონათამა მოდარდე იაკოფას, ჩაიხითხითა და სერის ცეკრას მისდგა.

კალინებისკენ მხედარი თუ ქვეითი ასახ-მანდატურებით გარსშემორტყმული მოზრდი-  
ლი მსვლელობა მოემართებოდა. წან, სასულიერო წვრილებებით თანხლებული ხილის  
დეკანის მოტუსტუხებდა ყაყარჯნის ბაკაბუკით. სუნიტების ყადა ტახტრევნით მოქვეონ-  
დათ. ტახტრევას, ყულიების გარდა, აქეთ-იქიდან რამდენიმე ქვეითა მოლა ამოსდგომო-  
და. ქალაქის მოურავი, ბაზრის მსაჭული და დარგველი ანანია გარსევანის ძე ცხენებზე  
ისხდენ, და დი ბაზრის მელიქი — ჭორზე. მსვლელობას ვერბა ქოლგებითა და ბალიშიან-  
ფონიან ჭორევით ახონხლილი მხლებლებისა და მოხელეების გუნდი ასრულებდა, ხო-  
ლო მსვლელობიდან თხუთმეტი, ოცი ნაბიჯით წინ მოდარდე იაკოფა მოარღვევდა ბრძოს.  
სელთ თავისი განუყრელი საყვირი ეპურა, თავზე წოწოლა ჩაჩი ესრულა, წელზე ერთი  
შულო თოკი ეხვია და გავას მელის გრძელი, ფუმულულ კული უმშვერებდა.

— ჰო, შენ რეგვენი უთხარ... სათავისო იყნოსა და, აგრა! არა, რაც ლაშეარია, შე-  
წინავეც ისა ჰყავთ — მოდარდე იაკოფა! — იონათამა თავის განაფიქრს გულიანდ  
შესცინა და კალინებასკენ დაიძრა.

იაკოფამ წერაზე შემოხვეული თოკი შემოისხნა, ცალი ბოლო მარჯვენა წვივზე საი-  
მედოდ მოირგო, მაგრამ ისე კი, რომ ვინიცობაა თოკი გაეწიათ, ფეხი არა სტკენდა.  
მერე სახელრები მისწი-მოსწია, თოკის მეორე ბოლო კალონს მცირდად, რამდენიმე ხე-  
ულითა და ნასკვათ გამოაბა და გულხელდაკრეფილმა დაუწყო ლოდინი მსვლელობას.

ანანია უნაგირილან გაღმოსტა, სადაც ძმას — რეზოს მიუგდო. მსვლელობის სპა-  
მონაწილეები ტკვე თურქის გარშემო ქოლგების ქვეშ ფონიან ჭორევიზე ჩამოსდგრენ,  
რკალი შეცერება.

იქაურობას ხალხი მიაწყდა.

ფეტვის მარცვალი ძირს დასავარდნს ვერსად იპოვნიდა. განჯის კარიდან წამოსული  
ქარავანი შეფერხდა, გზა ვედარსაით გაიკვლია. დორბლაანი აქლემები სეირს ამაყი ხამ-  
შვილით გამომოყურებდნენ და მათს უზარმაზარ საპალნებზე აწრიალებული მექარაცენ-  
ბი ყანერატოებს ამაռდ იგლეგდნენ, — გზა დაგვიგდეთ!

— ნეტავი, სადა ხარ, ბალონ, აქამდინა? დავიწუოთ, კაცო!.. — უსაყველურა  
კაპაშ ანანიას.

ანანიამ გაიცინა და მიუგო:

— სანამ ამათ ერთმანეთი იპოვნება!.. ამათა სახლთუხუცესი ვერ აქუნიებს სოლმე. უთ-  
გი ხაით არის და ზოგი საითა — არ იცი, განა?

იონათამი შორიასლო იდგა და იმას ჩატეირიტებდა, თუ სად უნდა სდებოდა დაპი-  
რებული ეტრატები ასე ხალვათად ჩაცმულ ანანია ლარგველს.

დერვიში წამოდგა, ნაკეთებ წერ-ულვაშე ხელისგული ჩამოიტარა, თვალი სავაჭ-  
როში შეაბარა. ახლა კალინებს უყურა. შერე ბრძოს შერია, აქლემების ქარავანში გამ-  
რა და ლარგველ ანანია შინაურებთან შორიასლო გაჩერდა.

ტკვე თურქმა იმოლენი დიდყაცობა რომ დაინახა, მხრებში გაიშალა, გაილორა და  
იქაურობას იხეთი რიხით დაუწყო ყურება, ვითომ მოურავი და მსაჭული მოდავეები ყო-

ფოლაუვნენ, სხვები — მოწმეები და თავად კი საცაა ამათი დავის განხეას უნდა შეცნობოდა.

ონიათამა დერგის მოპერა თვალი.

— სეირი მოსწურდა! — გუნდაშია აღნიშნა, ბერძნის ქალი და საბრი მოაგონდა, ხიდისენ გაიხედა, — მაგათ ეტლი ბრბოში ხომ არსად გაიჩირაო.

ეტლი ალარსათა ჩანდა, ეტყობა, არეულობას დროზე გაასწრეს. სახელრის-კენოსანი მანდატურების მოზრდილი რაზმი მათრახებით მოიკვლევდა გზას.

— ბრბოშე მოდიან ბაზრის მანდატურები! — გაიფიქრა იონათამა და როცა კვლავ ხეირს დაუბრუნდა, აქ უკვე უკელაფერი რიგზე იყო — მსვლელობას, ლარგველ ანანიას ჯალას თავის თურქიანად, იონათამსა და მის დერგიშაც შოურავს ბადრაგის მჭიდრო აუყა ერტყა, საქმის ხელშეუხლობა უზრუნველყოფილი იყო.

ბაზრის მელიქმა მარგვენა აღმართა და ერთ-ერთმა მოხელემ, ალბათ, ვისაც უფრო გამჟიგანი ხმა პქონდა, დაიძახა:

— სმენა ყოს!.. ხმა ჩაიწყვიტეთ-მეტე!

ბრბო ზანტად მიშოშმინდა.

სონის დეკანოსმა თანმხლებთაგანს რაღაც გადაულაპარაკა. მლვდელმა პირმოონე უფრადებით მოუსმინა, თავი მოკრძალებით დაუქიცინა, წელში გაიმართა და ანანიას მეური საკვედურათ მიმართა:

— მერეხელი ხარ და მწვალებლურ წიგნებს ეტანები — ესეები დიდი ხანია ვიცით. ზრდლობასა და სინდის-ნამუსს რაღა უყავ, შე წყეულო და შეჩერებულო ლარგველო ანანიავ, ეს ამდენა ღირსეული ადამიანი ვირის ბაზარზე რომ მოვიყვანე!.. — მღვდელმა ჭრ კადონებისკენ გააპყრო ორთავ ხელები, შემდეგ მსვლელობის მონაწილეებისკენ, აქან და, — ღირსეულობა ამაზე ვთქვი, ვირის ბაზარი — იმაზეც, მაგრამ საქმე მაინც აირია. ბრბოს მეტი რა უნდოდა — სიცილ-ხახარი ატყდა.

— მამაო იერონიმე, — მიუგო ლარგველმა ანანიამ, — მერეხელობა და მწვალებლობა აღსაჩებაში წამომცდებოდა. ევგოთ რამ რომ არსად ყოფილა?.. ადგილისას ამას გეტუვა: ყალბა ინება, — იონათამის სავაჭროსთან მოაყვანეო! ამა და — მოვიყვანე.

— ჩვენ თვად არ გვიძრებანებია, — დაიძახა ყადამა თურქულად, ტახტრევანდან თავი გამოიყო და დასძინა — ადგილი შენ თავად დანიშნე და ჩვენც თანხმობა ვძრასძნეთ.

— მერე?... იონათამის სავაჭრო სახლი და ვირის ბაზარი რამ გაყო, არ იცოდი? — შეაგება ანანიამ.

დანერულობამ იჩინა თავი.

ყადმა ხელი ჩაიქნია, ხელქვეითებს რაღაც გადასჩურჩულა. ორი მოლა წამოვიდა, ტუეს მიერთონ, ხმადაბალი სიტყვა-პასუხი გაიძა.

— ევენი მანდ რასა შვრებიან! — უკამაფოილება გამოოთქა ბაზრის მელიქმა, მათრასი მოლებისკენ გაიშვირა და თურქულად დასძინა: — ქვეყანა დაწვა — ევენი კიდევ ჩურჩულებენ. აქეთ გამოიდით, საქმე ვთქვათ!

— ჰო, მაშა, მოუცლელად ვარო, მოუცლელად! — სიტყვა შეაშველა მოურავმა.

— დაიცათ! — გამოესაჩინდა ყადი თავის მოლებს. — არ უნდა გავიგოოთ?.. იქნებ, სულაც ვაღაც მდაბიო თურქია და ეგ ლარგველები კი დანიშმენდთა მოდგმის კაცად ახალებენ?!

მოლები გამოკითხვას მორჩინ, ყადს მოახსენეს, — ნამდვილად ის კაცია, ვისი გამოსყიდვაც ვიკისრეთო.

— ჰო, კარგი, ლარგველო ანანიავ! — მიმართა მსაჭულმა. — რასა თხოულობ ე მაგ ტყვე კაცში?.. რამდენსა?

— ეს კაცი დანიშმენდია! ამის გვარსა და მოდგმას ნახევარი სამაჭმადიანო უცყრია, — განაცხადა ანანიამ, — მოვიდა აი, ეს დანიშმენდი თავისი მარბიელით სამცემში, ორი



სოლელი დედა-ბუდიანად აშეარა და წასხა. ნაგებ-ნაშენები თუ რამ იყო — დასწევებული დაანგრიეს. ბაღ-ვენახი აკაფეს, საქონელი გაარეკეს...

— მამაშენმა ჩემი სოფლები დარბია, დასწვა და, ტუვე იყო თუ საქონელი, შინისენ გამოირეკა, — შეაწყვეტინა დანიშმენდა. — მეც მოვედა და გავირეკე. მაგაში ქვითა ვართ!..

— მამაჩემი გარსევანი ჭაყულის სარანგია. ბატონი როგორც უბრძანებს — ისე მო-იქცევა. ჩევნ ქრისტიანები ვართ და ოქენეს მწარ-წყალზე ცეცხლითა და მახვილით მსო-ლოდ მაგირის საზღველად მოვდივართ, კარგად მოგეხსენება ესა...

— გააძა! — სიტყვა გაუწყვიტა ბაზრის მელიქება ლარგველ ანანიას. — ებლა ამათ უნდა ისა თქვან, თუ ადამ და ევას დროსა სხვას მიწაზე პირველი რომელი მივიღა. ამის მართალს რომ ნახავენ, მერე იმისას დაიწყებენ, კვერცხი უფრო ადრე გაჩენილა თუ ქა-თაში. მე კიდე უნდა ამ სიცხეში ვიდგე... კაცი არა ხარ!.. ფასი თქვა, რაღა!

— ე მაგაბისა ყველაფერი გასწორებული აქვთ, ზლეს, ხალხიც დააბრუნეს და სა-ქონელიცა. დანარჩენი ჭაყულებმა და მამაშენმა აცოდნენ. ეგა შენი საქმე არ არი, მოეშ-ვი! — უჩჩა მოურავმა. — შენ ისა თქვი, თავად მაგაში რამდენსა თხოულობ, მაგ ტუვე-ში. მოკრივდეთ, ანდე — სამწერლო მანდ არის, გუჯარი შევერათ და მორჩეს ეს დავი-ღარაბა.

— რამდენსა და, როგორი მოვლალია! — თავისას მიაწვა ლარგველი ანანია. — ცხერის ხორცის მუსუხია, კეირაში თითო სულს მიირთმევს, ხუთი თვეა შინა გვეავს. — იანგარიშეთ და ახლა დუნენხსაც რომ მიეტანა ეს მაჭმადიანი კაცი?!.

— ჩევნთანა, ქსანზე, ბატონ მოურავო, ლვინო კარგი იცის, მაგრამა ცოტა მოდის, ცოტა, თორებმა... — აცნობა ანანიას პაპამ თავყრილობას, კიდევ რაღაცაების ლაპარაკი დაპირა, მაგრამ მეულლემ ჩამოართვა სიტყვა:

— ჰო, ცოტა მოდის, ცოტა. უმოსავლოა. ერთი დიდი ქვევრი საკუთრივ აჩან ამოწ-რუბა, ამ არგასახარელმა, ამანა! კოშუში გვეავს, მუხლები დამაწუდა ამის საზრდელის თრევითა. მააშ!

— გოგო მოუხდებოდა იმ კოშუში მაგას, ნამეტანა, და არც მოაკლებდნენ, იცოდე შენ, ისეთი ხალხი ჩანს ეს ხალხი, — დაიძახა ყადაცამ და ბრბო კელავ ახარხარდა.

იონათამა თვალი დერვაშზე გადაპარა: ლარგველთა სახელრისენ გადაჩიტებულისუ და პირლია სეარობდა.

— ამ მამაძალს ხოსო უნდა გამოჰყოლოდა, — გაიღერა იონათამა. — რომ არსადა ჩანს?.. იქნებ, ჩემს ზურგს უკან საზმეა და ვერა ვხედავ?

იონათამა რამდენიმე ნაბიჯით გადაინაცვლა, შემოტრიალდა, ხოსო დაინახა და დამ-შვიდდა.

— ჩას აფასებ-მეთქი! — კელავ დაიძახა მოურავმა, როცა ურიაშული მინელდა. — მოუცლელადა ვართ, გაიგონე, კაცო!

— ჰო, ფასი თქვას! — დაძინა ყადმა.

— არა ვყიდი! — სავევენოდ გამოაცხადა ლარგველმა ანანიამ. ბრბოს რაღაც ხმა აღმოხდა და გაინაბა.

დანიშმენდმა პატრონს ამოხდა, წელკავიანივით გაშეშდა.

ბატონები შეცბენ — ურც რამე გაეგოთ და ურც რისიმე თქმა მოეხერხებანათ.

— ვაჲ, ერთი ამას უყურე! — გაიხმა სიჩუმეში ბაზრის მელიქის ალშფოთება.

— რაო, რას ამბობს? — ჰეითხა სიონის დეკანოსმა თავის მღვდელს და ყურა მიუ-მარგვა.

— ერთი ამას უყურეო! — მიუგო სხვებზე უარესად დაბნეულმა ღმრთის მსახურმა და როცა დეკანოსის სახე სრულმა უმწეობამ მოიცვა, მღვდელი გონს მოვიდა, ხელები ააფა-



რომალა და სხაპასხუეთ გამოასწორა თავისი შეცდომა — ეგ იმანა თქვა... აი... ბაზრის შელიქმა, ბაზრის შელიქმა, კაცო! ამანა, ისაო... არა ყვიდიო, არა!

— არა ყვიდიო?!. — კარგა ხანს ვერაფერი გაუგო დეკანოსმა ლარგველი ანანიას მოულოდნელ გადაწყვეტილებას. მერე, ალბათ, მისწვდა, როგორც იყო საქმე, მღვდელს დავალება მისცა და გაიტვრინა.

მღვდელი ისევ წამოიჭიმა, ჩახველა და წარმოთქვა:

— არა ყვიდიო! აბა, უკრი დაგვიგდე, შეჩვენებულო ანანიავ! ეგ კეთილშობილი, შეფის ტოლი... ისა... სულტნის ტოლი კაცი მოვიყვანია აქა და სახედრებში ჩაგისამს..

დანიშენდი ახლადა მიხვდა, საცა მოიყვნეს და ვისთაც დასვეს..., ზეპე წამოიჭირა, მერჩი აიტაცა, სხვა ადგილის ძებნას მისყო ხელი, მაგრამ ხაითაც უნდა წასულიყო, ყველან სახელარი ება... ეგრე დარჩა, ზეპე, მერჩით ხელში...

— სახედრებში გუას და ეხლა ამბობ, — არა ყვიდიო! თუ არა ჰყიდდი, ჩვენ მაინც რაღაც გვერჩოდი, მასხრად ასაგდები სხვა ვერავინა ნახე, არა?! დილეგი მოგნატრებია, ზე ბრივო, შენა! — დაასრულა მღვდელმა და დეკანოს მიაშერო თვალი, — ხომ კარგა-და ვოკვიო?

— მაპატიეთ, მამაო, მაგრამ თქვენთავანისთვის არავისთვის მათხოვნია, მობრძანებულიყავთ, — განუმარტა ანანიამ. — ყალბა კაცი გამოგვიგზავნა, — თქვენი დანიშენდის გამოსყიდვა შემომარვალეს ხლათიდანაო. აღილი და ღრმა დავთქვით. მოვიყვანე, პირი არ გამიტეხა. სიმართლე მოგახსენოთ, მამაო, ამდენი კეთილშობილი კაცის გარგამა და ამ პაპანქებაში აქ მობრძანებამ დღიდად გამაკვირეა...

— ენა დააყენო, ცოდვილი! — ისევ შემოუტი მღვდელმა. — ამათა ყადმა სთხოვა, — კეთილშობილია, დიდგვაროვანთავანია, ხლათის სულტნის სისხლით ნათესავია, ვეახლოთ, პატივისცემას ნუ დავინანებთ, მადლი არც თქვენ დაგეეარგებათ და არც ტახტაო. მაშ, არ უნდა წამოსულიყვნენ?!

— აგაშენათ ღმერთმა! — მყისვე მიუგო ლარგველმა. — თუკი თქვენი აქ, ამ სახედრებში მოყვანა სადილევო საქმეა — ყადს მოუყვანიხართ, მანდა გუათ და დილეგიც ახლოა.

ბრძო ისევ გამოცოცხლდა.

მოურავმა წარბა აღრიკა, მსაჭულს რაღაც უთხრა. დიდი ბაზრის სამართლის მამაშ ცოტა ხანს იუიქრა და უთხრა:

— ღირსია, მამაძალი, მაგრამ ეშმაკი და ჯიბილან გავარდნილი კაცია, კანონს არა-ფერს ეჩჩის, რა ხანია უეცქერი... არაფერს ეჩჩის, თორება!

— პირი არ გამიტეხაორ?! — თურქულად დაიძახა ყადმა. — არა ყვიდიო! პირის გაბრევი კიდევ სხვა რამე?

— მო, არა ყვიდი, ვცვლი! — თურქულადე მიუგო ანანიამ.

დანიშენდის გამომსყიდველებს გულშე მოეშვათ.

— რაო, რას ამბობს? — დეკანოსმა უკრი ისევ თავის მღვდელს მიუმარგვა.

— პირის გატეხვაც კიდევ სხვა რამეაში?! არა, კაცო, ესა ყადმა სთქვა, ყადმა... იმანა, ისაო, აი... არა ყვიდი — ვცვლიო! — ვცვლავ გამოასწორა მღვდელმა.

— ვცვლიო?.. — დეკანოსმა იყრჩა, იუიქრა და ჰეითხა: — რაში ვცვლიო, პა?.. რაში სცვლი, ლარგველო ანანიაგ, ე მაგასა?

— სახედარში! — აუწყა ანანიამ დამსწრეთ ჭერ ქართულად, მერე სომხურად, მერე ბერძნულად, მერე სპარსულად და ბოლოს არაბულად.

ხალხა გაინაბა.

იონათამი ანანია ლარგველს მიაცერდა, გუნებაში თქვა:

— დახე შენა!.. ეს ბიჭი შემიცვალა ვინმემ, თუ როგორა? მაგის გულუბრყვილობას

იქით სხვა კაცი დებულა, მე და ჩემმა ღმერთმა! — მერე მეფეთ-მეუე გიორგის მეაბეტენ  
ყოფილს მისწვდა და ყურში უთხრა: — ჭოლე, აკი მგზავრობას აპირებს, სახსარის სკორიანი  
დება და მამამ ტკვე ამისთვის მისცაონ?!

ჭოლებ იონათაშს მოხედა, ჰორო, — თქვა და ისევ ძის ძეს მიაჟორო უაზრო მზერა.

იხეთ სიჩუმე და გამოთაუვანება სულევდა, როგორსაც უსათუოდ ყურთასმენის  
წამდები, გონებს უშმდერელი გრიალი რამ უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც — მო-  
დარდე იაკოვამ ბუკა ჰერა, ძლმაზე მოისაუვირა და დაიძახა:

— რომელმან აღამაღლოს თავი თვისი — იგი დამდაბლდეს!

— ვაჲ, ერთი ამას უუყრე!.. ვირშიო, კაცო! — გაისმა სიჩუმეში მელიქის აღშფო-  
თება.

— დიახ, ვირში! — ხმამაღლა დააღასტურა ანანიამ თვისი პირობა.

სააღანდაც ჩიხო დალალმა გამოყვინთა, ანანიას თავისი სამსახური შესთავაზა:

— აქა ვარ! თითონა ნახამ, თუ მე აგირჩიო?.. ამ ბაზარში სახელარი ჩემნაირად  
არავინაც არ იცის.

— ეგ წესი არ არის! — დაიძახა მსაჯულმა. — არ იქნება!

— რომელ კანონში სწერია, — ვირში ტუვის გაცვლა არ შეიძლებაო? — იყითხა  
ანანია.

მსაჯულმა ვერაფერი მოიფიქრა და ისევ დეკანოსმა სცადა ჩაშველება:

— მაგნაირი ჭერ არსადა ყოფილა!

— ამას იქით იქნება, მამაო. ადამის მოღვაც ეგრეა — სანამ ღმერთმა არ მოიხე-  
ლოვნა, არ ყო, — მიუგო ანანიამ.

დანიშმენდი მიზდა, რასაც უპირებდნენ, მერხი საითლაც მოისროლა, მუხლებზე დაე-  
ნარცა, ხელები ცალ ალაპურო, ლოცვა თქვა. მერე პირისახე მიწაში ჩამსო, კვლავ ვაი-  
მართა, ლომებრ აბდლვინდა და მთელი სხეულით მოპყვა იმის ჩენებას, თუ რას დამარ-  
თებდა ჭაყელთა სარანგ გარსევან ლარგველს, როცა ხელში ჩაუვარდებოდა იგი. ამას  
იცეთის მონღომებით, გზებითა და უსრიიტების წყურვილით სხადიოდა, რომ ბრძოში  
თანამეოცნებებიც კი გაუჩნდნენ, ისინიც აბდლვანდნენ, აჟვნენ — ერთი ხორცის ჭიგ-  
გრა და სისხლთა ხვრება დატრიალდა.

გამომსყიდველები შეიიდროდ შექუჩიდნენ, რაღაც მოითათბირეს და მოურავდა ბრძანა:

— თქვი, რა ლირს საშენო ვირი, უული წაიღე და მოვრჩეთ ამ დავიდარაბას!

ლარგველმა გულიანაც გაიცინა:

— ეგრე არ იქნება.

— მაშ, როგორ? — ნირი წაუხდა მოურავს.

ანანიამ ხანჭალი ამოილო, კაცის ხორცის ჭამაში გართულ დან შეენდსა და ყალბ  
უორის მიწაზე ხაზი გავლო და თქვა:

— ყალი იყიდის სახელარს — დანიშმენდთა საკალრის სახელარს. მოყვანს, ხაზს აქეთ  
დააყენებს. მე მოპირდაპირ მხრიდან დანიშმენდს მოვიყვან. მწერალი ზედ ხაზზე დად-  
გება — ცოტა აქეთ, განეც და გუგრებს სპარსულად, არაბულად, თურქულად, ბერძონულად  
და ქართულად შეაგხებს. მოურავი და მელიქი ყალის მოწმები იქნებიან; დეკანისი და  
მსაჯული — ჩემი. მოვაწეროთ თავის ადგილზე ხელს ყველა ასლს. მე ჩემ ასლებს აღიღებ,  
ყალი — თავისას. ვირს მე გადმოვიყვან, დანიშმენდს — ყალი და ქატო იქა, ცქვალი აქა,  
ჭირი იქა, ლხინი აქა...

— არ შეიძლება-მიტები! — იყვინა მსაჯულმა.

— რატომ, ბატონო მსაჯულო, ბაჟი გადახდილი მაქვს, — თავი იმართლა ანანიამ და  
ბაზრის მელიქს მიაპურო თვალი.

— ჰო, მაშ, გადახდილი აქვს, — სამართლე არ დაუკარგა მელიქმა.



— არ გუნდა, ეგრე ხელს არ მაზლევს! — ქართულად განაცხადა ყალბა და უულებელი ყალბად ხელი აუქნია, — აქედან წაიღეთო.

— ვამ, ჩათა, კაცო? — გაუკირდა მელიქის. — შამქორის ომის მერე ამ ბაზარზე ეგრე იაზად ტუვე არ გაყიდულა. ხუთი, ექვსი... ჰა, ათი შარჩილიც ფულია?!?

— მწერალს დაუძახოს ვინმემ იონათამის სავაჭროდან! — ბრძანა ლარგველმა ანანიაშ და ყადს მიმართა: — მწერალი მოვა, აქ დადგება. თუ ინებებთ — გუჭრებს შეავსებს... ვირი დანიშმენდების საკადრასი უნდა იყოს, თორემ ჩემთვის სულერთია... თუ არ ინებებთ, ამ კაცს ყვიცხალეთ გაგიყიდით მონად. ისინი ვირს არ დაგჭრდებიან, მავრან-აშიდას ახალთექურს მოგაყვანინებენ.

ჩიხო დალალი ახლა ყადს მიეახლა:

— ყადიჯან, თითონა ნახამ, თუ აგირჩიო? ამ ბაზარში ჩემნაირად სახელარი არავინაც იცის.

ყალბა დალალს ერთი ისეთნაირად დაუტატანა, რომ დორბლები გადმოსცვივდა და ჩიხოშ დორებით გაცლა არჩია.

დანიშმენდი კი კვლავინდებურად ბდლვინავდა, მაგრამ მის მოძრაობებს ახლა უკვე კარგად ჩამოყალიბებული შინაარსი ჰქონდა. ყველაფერს დაწვრალებით და თავიდან ბოლომდე კეცებდა: ქამანლით დაიტერდ ჭაველების სარანგ გარსევან ლარგველს, დაბეკი-თებით, საგანგებოდ და ხანგრძლივად აღრჩიოდა. მერე მოსჭრიდა მარჯვენა ხელს, კრი-ლობას ჭამს მიუღამდა და სანამ ჭამში ისსხლი წკარაწყურით ჩადიოდა, დანიშმენდი, ეს-ოდენ საოცნებო გამარჯვებისთვის, ყოვლის შემძლე ალაპს მადლობის ლოცვას ეუბნებოდა. მერე მარცხენა ხელს მოჰკვეთდა — ხანგალი ეტყობა ბლაგვი იყო, მკლავის მოჭრა ძნელად ხერხდებოდა — და ახლა აქეთ შემოუდგამდა ჭურქელს. ჭამი ივსებოდა, დანიშმენდი ორიოდ ყლუბა ცხელ-ცხელ ისსხლს მოსვამდა, გარსევან ლარგველს სხეულის რომელიმე ადგილიდან ერთ ლუქმა ხორცი წააგრიდა, დალეულ ისსხლს მიალექავდა, ისევ მოსვამდა და ასე, სანამ ჭამში რამე იყო. დაიცლებოდა ჭამი და ახლა თავად ანანია ლარ-ველს მიაშვერდა ხელს და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

— ეხლა უკეთ აკეთებს! — ჩაილაპარაკა იონათამბა, თვალები არაც მიხვდირამ გაუწათა და დასძინა: — ესა მსახიობი კი არ იყოს, ჰა?.. ამნაირები მსახიობებში მინახაეს...

გამომსყიდველები ისევ შექუჩიდნენ და თათბირს მისდგნენ.

იონათამის სოლომონი თავისი შეგირდითა და საწურ-კალამია მოწყობილობით მოვიდა, ლამაზად ჩაწიკწიყებული გუჭრები მოიტანა.

— აქ დადევით, — უთხრა ანანიამ და თათბირის დამთავრებას დაუწყო ლოდინი.

ბატონებს დიდი დავა და კამათი ჰქონდათ. მოურავა და მელიქი ლარგველის პირობებში თანხმობას არჩევდნენ; ყალი და ღევანოსი წინააღმდეგი იუვნენ; მსაჯული თავს იყავებდა, მაგრამ საქმეს ისე ეტყობოდა, რომ დანიშმენდი ვირში დიახაც გაიცლებოდა. მოდარე იაკოფას ტანმა თუ უგრძნო რამე და დაიძძა:

— წერილ არს: არა განსცადო უფალი შენი! — დაიძახა და თავის საზარელ საცვირს მისდგა.

— ია, დაეწყევლოს ზეცა-უფალმა! — ჩაილაპარაკა გამწარებულმა იონათამბა, ყურები დაიცო, მიაცურა და დასძინა: — ე რანაირი ბუკი აქეს, დაგმანულ ყურშიც შემოის, ისევ ისე ისმის, ეს ოხერი, ესა!

გაგონებით ვერავინ რასმე გაიგონებდა და მოურაება ჩიხო-დალალს ხელი დაუქნია, — მოდიო. ჩიხო მოურავს ეახლა. მოურავმა ყალბები მიაღია, — მაგასთან მიღიო. ჩიხო დაიხარა და ყადს შეითხა, — მოვიყვანოთ? ყადმა თავი ჩაიქნია და გაბრუნებულ ჩიხოს ბანლურ ამოქრა.

ჩიხოს ამისთვის ყურადღება არ მიუქევევია, წინასწარ შეტრეული სახელარი კადონს აჩსნა, ყადს მიჰვარა. თითებით ილაპარაკეს, ყადმა თავის ქნევითა და საყვედურებით რვა



მარჩილი გადაუთვალი, დალალს ვირის საბეჭი გამოართვა და უულიებს უბრძანა, **მარტივი გადაუთვალი** იმ ხაზთან მიიღვანეთო. სისხლიდან როკის აყოლილ თურქს ანანია ლარველი მაგში ჩააფრინდა, ხაზთან მიიღვანა. მოდარდე იაკოფა დადუმდა. მწერალმა თავის საჯმეს მიპყ ხელი.

თოთქოს, უველავერი კარგად მიდიოდა. სოლომონ მწერალი სინგურით ავსებდა გუჯრის პირებში გამოტოვებულ ადგილებს, შეგირდი საქმის ცოლნითა და მარდად ასრულებდა თავის მოვალეობებს და საცაა ხელის მოწერაც უნდა დაწყებულიყო, რომ ჭოლებ შვილიშვილსა ჰყითხა:

— ეგ ვირი რალად გინდა, ბალო, რაში გამოგადგება, განა?!

— გაფუიდი, პაპი! — მიუგო ანანიამ და მცარედი სიჩუმის უმილეგ პაზრის მელიქის გაოცებული ხმა გაისმა:

— არა, შენ ამის სოფლაგრობა ნახე!.. ამ ერთ კვირაში აქ ათწერ ამივლია და ჩამიკლია. ეგ ვირი სულ მანდ არი... ყალის მაღლობა უთხრას, გაის ამ დროსაც ჩანდ იქნებოდა. მაგას ვინ იყიდის, კაცო?!. აპა და — გაიყიდა. რას მოგცემენ, რო?

— ას დრაპენადა ვყიდი! — დაიძახა ანანიამ. — ასი დრაპენანი!

— ორმოცდაათი! — მოისმა ბრძოლან ბოხი ბანი.

— თოხმოცდაათი!.. მარჩილი არ დაკლლება! — გასძახა ანანიამ.

— კარგი, რა... ამათ უნდათ კევიდან გადავიდე! — ჭავრიანად უემოპერა ტაში ბაზრის მელიქმა. — კაცო, რომელი ხარ, ერთი გნახო... გამაატარეთ!

წერეთ სამოცს გადაცილებული, ჩაფლუნილი, მელოოტი კაცი გამოვიდა. — ესა გობრონი არ არის?!. გობრონი ყიდულობს, კაცო, გობრონი! — გაოცდა მოურავო.

მწერალმა გუჯრები და საწერ-კალამი ჩამოატარა. სანამ ხელი გარიგების უცელა მონაწილე მოაწერა, ლარველი ანანია და ხარჯუხელი სოვდაგარი სამოცდაათ დრაპენად მორიგენენ. გობრონმა უზომოდ განცვიურებულ დამსწრეთა თვალწინ ქისა ამოილო ლარველ ანანია გარსევანის ძეს ერთ სახედარში იორმოცდაათი თობლის საფასური გადაუთვალი.

ანანიამ მწერალს გუჯრების თავისი ასლები გამოართვა, დანიშემენდს ხელი წაპერა, ხაზს იქით გადაიყვანა. უულიებმა ყალის ტატტრევანი ასწირეს, ხაზთან მიიტანეს. ანანიამ ყალს ვირის საბმელი გამოართვა, ცხოველი ხაზს აქეთ გაღმოიყვანა, გვერდში ამოიყენა და სოლომონს უთხრა:

— ეხლა ამ გარიგებისა დაწერე. მაგ გუგარს მე დავიტოვებ, ამაებს გობრონს ზირცეს. — ანანიამ სოვდაგარს გუჯრები და ვირის საბელი გადასცა, — ქისა ხელი შეათამაშა და ჭიბეში ჩაიდო.

საქმე დამთავრებული იყო, გამომსყიდველები, თოთქოს, უნდა გაბრუნებულიყვნენ და თავისი დანიშემენდი წაეყვანათ, მაგრამ უველამ იცოდა, რომ ჭიუით განთქმული სოვდაგარი არ არმად არაფერს გადაპყრიდა.

— გობრონგან, სიმართლე თქვა, ეგ ვირი რად გინდა? — თოთქმის მუდარით ჰყითხა საგონებელში ჩავარდნილმა მელიქმა. — არა, ხეირი უნდა ნახო — ეგ ვიცო. ჩანდედან ხეირი როგორ გამოვა — ეგ არ ვაცო.

— ისწავლე, მელიქმა! — მიუგო გობრონმა. — ჩემ ქარვასლასთან კარავს დავღვამ. ამ ვირს შეიგ ჩავარდნელი, აბრას გავაკრავ, კარვის წინ ბიჭს დავსვამ. ვისაც ერთ მარჩილად დანიშემენდში გაცვლილი ვირის ნახვა მოესურევება, გადაიხადოს და ნახოს. აი, შენ ეს სახელარი უფასოდა გყავს ნანახი, მელიქმ. როცა დავამწყვდევ, ერთ მარჩილს არ გადაიხდი და ხელახლა არა ნახავ?

— გადავიხდი, ჩემმა მზემა, — და ვნახავ, მაშ! — დაუდასტურა გობრონის ეშმაკობით გაოცებულმა მელიქმა.

— მთელი დუნის ხალხი მოვა! — ეს ჭაბუკი სწავლასა და ხეტიალს არის გადაგე-



ბული, ვაჭრობისა და ფულის მოგებისა არა გაეგება რა, თორემ არც სამას დრაჟერნის დაწერლდებოდა, — ღიმილით აღნიშნა გობრონხა და მოღარდე იაკოფამ დაიძახა: ბიბლიოთი

— ქრისტიანები, მოვა თქვენს თავს დათხრა ირთავ თვალისა, თქვენგან მოთხრილი ერთის თვალისა ნაცვალებად! — დაიძახა და საყვირს დაჭრა.

ბრძოს გობრონის განზრახვა როგორც იქნა მისწვდა და ღრიანცელი გრიგალივათ ავრლა. ქრისტიანები სიცილით იხსცებოდნენ. მაპალანებმა, — ჰე მაგათ, გიაურებდათ! ბაზრის მანდატურებმა შუოთისთვების დასაშომინებლად მათრახები დაატრიალუს. და-ინშენდმა როკვას თავი მიანება, ყადს ეცა, საკინძე ჩამოახია, სახეში შეაფურთხა და სილა გააწნა. მერე მელიქს ეტაკა, ერთი იმასაც უთავაზა...

— იყიდეთ, დავალით! — კუიროდა დანაშენდი და თავისსავე დამსხნელებზე იწევდა. იაკოფას საყვარე კი გაქიოდა, იქაურობას აწიოკებდა.

— გაათრიონ! — გადაულაპარაკა მსაჭულმა მოურავს.

— გაათრიოთ! — დაიღრიალა მოურავმა.

თავშანდატური ადგილს მოსწყდა, მაგრამ იქვე დამუხრუკდა, შემოტრიალდა და მოურავს ჰყითხა:

— რომელი გავათრიოთ?

— რომელი გაათრიონ?! — დასაჭუსტებლად მიმართა მოურავმა მსაჭულს.

იმ ღრიანცელსა და ბუკის ცემაში მსაჭულმა ან მოურავის შეკითხვა ერ გაიგონა, ან იყო და გობრონის განზრახვისგან დარეული რეტი ჭერაც არ გამონელებოდა და არ იცოდა, რომელი იყო გასათრევი — დანიშენდი თუ მოღარდე იაკოფა. ამიტომ, რაც ცნაზე მოაღვა, ისა თქვა, ანუ იმ წამს ვინც მეტად აწუხებდა, იმის გათრევა ბრძანა — მ ა-დარღე იაკოფას!

თავშანდატური ნეტარ მესაყვირეს ეცა, ბუკი პირილან დააგდებინა და ყურთასმენამ შეება იგრძნო. წართმევა სცადა — ევრაფერს გახდა. პატრონს საკრავი მხარილივ ეკიდა, ხამ თასმაზე ჰქონდა. მაშინ მოღარდეს ასახები ეტაკნენ, ჰაერში აიტაცეს, მხერებზე გაი-დეს, წაიღეს კიდეც, მაგრამ კალონზე დაბმული თოკი დაიკიმა და წესრიგის დამზარებ-ლები შეფერხდნენ... ამ დროს იყო, გახელებულმა დანიშენდმა მოურავს, სწორედ რომ, კარგისა გააწნა და ყალბ მიუბრუნდა. ყადა ცხევრიპირთან შძიმებ ქისა აუჩხრიალა, — ვი- ყიდით და დაკვლავთ მაგ სახელარსა, დაწყნარდო. დანიშენდს დაწყნარება სხვა მხრი-დან ელოდა: მოურავმა თავისი მერხი და ქოლგა დატოვა, უზარმაზარი ტორი გახელებულ თურქს შიგ თავში ჩასცხო, უგონოდ დააგორა და კვლავ ქოლგას მიაშურა.

მოღარდე იაკოფა კი ასახების მხერებზე გაწოლილიყო და ქალაგებდა:

— ეკრალენით, ქრისტიანები, მიზღვას ბოროტებისა და გებინებას შურისა!..

ყადი, რა თქმა უნდა, მიხედვა, რომ მოღარდე იაკოფა გობრონის მზავრული განზ-რახვის მოწინააღმდეგი იყო და, როცა დანიშენდი გონს მოეგო და კვლავ მისდგა ჭა- კულთა სარანგის სისხლით სავსე ფიალას, თბილისელი სუნიტების წინამდვარმა თანა- მოაზრის დახვნა სცადა:

— რას ერჩით, ხალხო, ნეტარ იაკოფას! ცოდოა, ხალხო, დაუშვით ძირსა!

— თოყი აბია!.. კანჭე აბია თოყი, თქვე რევნებო, თქვენა! — ვითარებაში გარკვევას უადგილებდა სიონის დეკანოსი ასახებს და ყავარქენს არყაპუნებდა.

არავინ იცის, მსაჭულმა დაიძახა რამე თუ ასახებმა თავად იფიქრეს, — ვიცყო და- ვენება, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ერთობ ძალუმად გასწიცეს. მოღარდე იაკოფა ჭა- დაგებას მოეშვა, თავის საყვირზე უარესად აკილება. ირნათამი დააკვირდა და ჩაილაპარაკა:

— საყვირი რაღად გინდა, უე შეჩერებულო, ეგრე რა, უარესია?.. ოოპო-პო, რა ხსა აქვს, კაცო, საიდან ამოხდის... არა, ეს ჩვენა საჩდლები უველაუერში ტუტუები არი- ან. განა მოიფიქრებს რომელიმე, ლაშეარში მოკვილედ ატარონ?!. ალაც ბუკი გინდა, აღარც ნაღარა და ქალაქიც დაისვენებს, მე და ჩემმა ღმერთმა.



მოდარდე იაკოფაშ კი, ალბათ ისაზრა, რომ საყვირი იქვე ჰქონდა, არც ვიწმებ ჩემთვის  
უშლიდა და დაშვებულა — ზედ იონათამის ყურთან დაპყილა. ბერიყაცი მოცელილივით  
დაეშვა მიწაზე, ყურები დაიცო. ასახებმა ხელახლა გასწიეს და გაჩავრებულმა თავმანდა-  
ტურმა კალონზე დაკანძულ იაკოფას ოკეს ხმალი დაჭრა... ასახებმა თავი ვეღარ შეი-  
მავრეს, ყალის ტახტრევანი გადააბრუნეს და შეიძიო თუ რვა კაცი ზედახორაში ჩაიგორგდა.

სხვებშე აზრე ისევ იაკოფა წამოხტა. ნახა, თოკი თავისულადი იყო, წელშე მშვიდად  
შემოიხვა, შეტრაილდა და მოხდილი ვალის გრძნობით დატოვა საჩიხელი.

იონათამი იჯდა, თავის თავს ებუტბუტებოდა:

— ვირს რომ ზურგი აქვავდება, მეწისევილეს მიადგებაო. რა გინოდა, უე ოხერო,  
რადა დროის სეირის ყურებაა, მა? — და ამ საუბარში, დინაც, საკვირველ სანახაობას  
შეასწრო თვალი: ლარგველთა სახედარზე გადაყიდებული ზურგინი ძირს ეგდო, მიწაზე;  
ზედ იონათამის სოხო ირთავ ცეხებით შემდგარიყო და ისე, რომ არც შიველული დაქა-  
ლუტილიყო და არც ჩასოდები ხელის შეყოფა მოესრხებინა ვიწმეს. ლარგველ რეზო გა-  
რსევანის ძეს ხანგალი დაეძრო, სახედრისკენ ოთხსე მიმღოლავ დერგისშ სიბრტყლივა  
სცემდა და დაშვებოდა. ჭოლე გაცეცლებულ შვილიშვილს თავს წასდომოდა, კვლავინდე-  
ბურად არიგებდა:

— მოეშვი, რეზო!.. მოეშვი-მეთქი, ბიჭო!

ასახები წამოიშალნენ, ტახტრევანი ყალინანდ წამოაუენეს. მოხუცმა სული მიოთქვა,  
გობრიონს ხელი დაუქნია, — მოდიო! სოვდაგარი მივიდა, საბლიო ვირი მიიყვანა, ყალის  
სიტყვას არ დალოდებია, სამი თოთი აჩვენა:

— გაგული, კასო! — შეიცხადა ყალმა.

გობრიონმა გაიღიმა და მიტრიალდა.

— მიისა, კასო! — მიაძასა ყალმა.

— სავასი დრაპეკანი უნდა! — მხარუკულმა ესროლა გობრიონმა და გზა განვგრძო.

— კასო, სამასი დრაპეკანი!.. ვირია, უფლისწული ხომ არ არის! — გაჩავრდა ყალი.

გობრიონმა ისევ მხარუკულმა მიეგო:

— დანიშვნენდია!.. ჴა, რაო, ხლათის დიდ სულტანს ისე დაუდგა საქმე, რომ მარ-  
ჩილებზე მევაჭრება?!.

დანიშმენდი ყალს მიეჭრა:

— მოეცო!

— მიეცი, ყადიგან, თავისით ძალა არ არი! — ურჩია შელიქმა და ჩაცინა.

— ო, ალაპ, ეს რა ქვეყანაა, კანონი და სამართალი სად არი, ალაპ!.. მოდი საიდე,  
შენი შვილების ლუქმა გასყდა, მოდი საიდე! — მიაძასა ყალმა გობრიონს და უბიდან კვლავ  
გამოაცურა მძიმე ქიხა.

— რეგვენა ეს ყალი, — მოურავს გადაულაპარაკა მსაჩულმა, — კანონს ძალა არა  
ჰქონდა, ე მაგ ანანიას მაგდენს ვინ გააბედვინებდა!.. ამ სახელმწიფოს სწორედ კანონ-  
სამართალზე დგომა დაარღვევს, სხვა ვერაფერი, თორემ, აა!

აშახობაში მოდარდე იაკოფამ ისნის ხიდს მიაწია, ზედ შუაზე დადგა, ბუკი მეტეხის  
სახახლებს მიაშვრა და აკივლა. ისე ჩანდა, რომ ნეტარი ნებაყვირე ყველა თავის საყ-  
ველურსა და მოწოდებას დიდი თამარის სამეცო კარს უმეორებდა: — კარძალენით ქრის-  
ტიანენი!...

— გამოართვი, — ქიხაზე მიანიშნა სოვდაგარმა ლარგველს.

ანანიამ ყალს ქიხა გამოართვა და გობრიონმა დასძინა:

— დაოვლა არ უნდა, ხლათის სულტანს ქიხაა, შიგ სამასია, ვიცი. ჩემი სამოცდათი  
მომე.

ანანიამ გობრიონს თავისი სამოცდათი დრაპეკანი გაუწოდა. სოვდაგარმა გამოართვა  
და უთხრა:

— ეგ უული შენია. წადი.

ანანია ამას არ მოელოდა. დაიბნა...

— ოქვენი წილი არ უნდა წაიღოთ, ძაა გობრონ?

გობრონმა გაიცინა და მიუგო:

— განათლებული, მეცნიერი კაცი ხარ. როდისმე, სიბერეში მატანეს დაწერ, ეს ამბავი მოიხსენიე, — დიდი თამარის დროს ქართველები დანიშენდებს სახელებში ვცვლილით-ოქო! ჩემი წილი საჩვენებელი ის იქცება, ბოლოშა თუ მიაწერ, — ტყილისში სოველაგარი იყო, კოლხი ჩილაჩაის ძე გობრონი, ასეთი ფანდება იციდა-ოქო! წალი, ანანია, უნი გზა ნახე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

გობრონმა გუჭრები ყადას ტახტრევანში გადაუყარა და წავიდა.

ანანია გარსევანის ძე იჯგა, მოხუც სოველაგარს კვალში გასცემოდა. მელიქმა თქვა:

— არა, უნ ამ გობრონს უყურე... ჩემმა მზებ!

დანიშენდი თავშანდატურს ექცერა, ქარქაშიდან ხმალი დაუპრო... ანანიამ მწევარივთ იხურა, განზე გახტა, თავალაც იშიშვლა ხმალი, მაგრამ დანიშენდს სხვა გულისხმები ჰქონდა — სახელარს დაუქნია, თავი წააგდებინა; ხმალი ზელვე შეახოცა და პატრიონ დაუბრუნა.

— რა კარგი თაობა წამოვიდა, რა კარგი თაობა! — ფიქრობდა იონათაში. — ესლა, დერვიში რომ სურჯინს ეპარებოდა, ესა ჩემმა სოსომ შენიშნა და განა თავად იცა — რეზოს ანიშნა, — აგერა, რა სლებაო!.. ამ ხნის კაცი ვარ, შე დაწენაბა — იქნება, ვტაკებოდი კიდეცა და... არ კი უხიძლება. იქნება, ვტაკებოდი კიდეცა, იმიტომა, რომა, ზებრი ვარ, გამოტვინდა. გამოტვინებული არ ვიყო — რამდენი ვათვალიერე და როცა ვაფიქრე, — სად უნდა ჰქონდეს ეტრატები ანანიასა-მფოქი?!. რა მოფაქრება მაგას უნდოდა. ანანია შინაგან ბარე სამი დღის წამოხული იქნება და თან სომ არ ატარებდა?.. პაპას დაუტოვა, შაგას წამოადებინ სურჯინით... ე შაგ თურქმა მაგობა, მაგნ მოიფერა, რომ ამ წურჭინში... არა, საიქნებოდ იპარავდა, ცხადია, მაგრამ მაინც ხომ მაგან მოიფიქრა და მე — ეცრა!.. ანანიას რომ არა სცნობდეს, შაგას ვერ მოიფიქრებდა. პო, იქ კიდევა, სავჭრო-სთან, კოლეს რატრატიც მოიხმინა, — ანანია აქ უნდა მოსულიყოო... ქართული ეცოდანება!.. ერი-პაა! ამას კარგი მოფიქრება უნდა, კარვი მოფიქრება... კერ ეს ეტრატები ვნაოთ, კერ ეტრატები!..

ვარის ბაზარი დაცარიელდა, ბატონები წაბრძანდნენ, ბრბო დაიშალა.

დაბდები მოვიდნენ, თავშაგდებინებული სახელარი ხელურებზე დადეს და წაიდეს.



## გუგანი და ლერმონტოვი

ირაკლი ანდრონიკოვს

მოველი და ვნახე რუსული მასკარადი,  
მქონდა პოეზიის საგზალი,  
პუშკინმა სიკვდილი გაამასხარავა,  
ნაბიჭვარ დანტესთან გაგზავნა.

ქერა ქალების ჯაფოსნური რონინი,  
ყველა ხომ არ იქნება ლამაზი ანასავით,  
შუა ზამთარში ტეერის ბულვარს მოვიცლი,  
თითჭრს მე ვიყო დამნაშავე.

დაგებული ხაფანგი ლერმონტოვსაც  
არ ასცდა,  
მტარვალი გულში ბოლმას ხარშავდა,  
ნურას უკაცრავალ, სიკვდილი დამარცხდა,  
მარტინოვს პირი გაშავდა.

ორი სიკვდილი — დანტესი და მარტინოვი,  
ორი უკვდავება — პუშკინი და ლერმონტოვი,  
ავდექი და ცარსკოე სელოში მარტო მოველ,  
რომელიც ვერა და ველარ მივატოვე.

რომელიც ვერა და ველარ მივატოვე,  
ყინვაა და ირგვლივ ისადგურებს სიცივე,  
ორი გენია — პუშკინი და ლერმონტოვი,  
ორი დუელი — ორი სირცხვილი.

თავდახრილი მიმზერს ტახტი ნატახტარი,  
ტეერის ბულვარში სიჩუმეა სრული,

პუშკინი რუსეთის უკვდავი მზე გახდა,  
ლერმონტოვი — რუსეთის უკვდავი სული.

სიყვარულის გენია გაშლილა წიგნივით,  
რომელსაც ქარწვიმა ცერაფერს უზამს, —  
რუსული პოეზიის ორი გვირგვინი,  
რუსეთის ორი უკვდავი მუზა.



ჭანსულ ჩარკვაანს

მე ვარ მხატვარი თანამედროვეობის,  
ულამაზესი სამშობლოს პატრონი,  
ახალი საქართველოს მოქალაქე  
და ძველის რესტავრატორი.

დაქცეული სოფლები და ქალაქები.  
რუსთავი,  
ნოსტე,  
თბილისი,  
ავილე და ხელისგულზე ვალაგებ,  
რესტავრატორი ვარ იმისი.

რაც დაინგრა და ჩამოიქცა,  
ხანძარმა რომ შთანთქა, იმისიც.  
მე ვარ მხატვარი-რესტავრატორი  
და აღვადგინე თბილისი.

გორო.

გეგუთო,  
გელათო,  
ხემო დაქცეულო ბურჯებო,  
გენიის შუბი შეგნათით  
და წარლვნას გადაურჩებოთ

საჩხერე,  
სამცხე...  
სამგორი  
მინდა სიზმარში ვინახულო,  
წულზე კაცია გამგონი,  
შენი პატრონი და კირითხურო.

ზღვიდან ამოვზიდე განძივით  
 ღიოსკურია და ვილოცე,  
 რა დიდი გზაა და მანძილი.  
 ვიზრე საუკუნე მეოცე.

როგორც აქლემების ქარავანი.  
 წინ გავიძლვანე და ვიარე,  
 ბევრი ქონგური და გალავანი  
 ლექსებში ავაბრიალე.

ბალავრის სულთან ჩახუტება  
 შენი ცისკარივით ელავდა,  
 ომებში დაფხრეწილ ჩაფხუტებად,  
 დახეული ჯაჭვის პერანგად.

ციხე, გატეხილი შიგნიდან,  
 შევრკინე და გავამაგრე გარედან,  
 ვეფხვის და მოყმის წიგნიდან  
 მოყმე დავაყენე კარებთან.

ვიზრე მეგულება ვარძია,  
 რწმენის კედელიც მექნება,  
 რაღან წარსული ვაქციე  
 შენი მომავლის ტეგლებად.

## რ ე 0 ს 0 — 7 9 3

(მოსკოვი-ბათუმი)

თვითმფრინავი — ტუ-114,  
 რეისი — 793.  
 „ლმერთო, ჩემს ოჯახს მოხედე,  
 თუ სახლში ვეღარ ჩავედი“.

თითქოს ჩემი ფიქრი წაიკითხა,  
 სალონს ღიმილი მოფინა  
 სტიუარდესამ, რომელიც  
 პერედელკინოდან ყოფილა.

ლიმილითევ უუნიშნავ პაემანს,  
 — საღამოს ბათუმის „ფანტანთან“...  
 საუბარი კარგად გაება,  
 მაგრამ ფრენა უკვე დამთავრდა.



ერთად ვაგროვებ  
 გოგონების მშვენიერ ლიმილს,  
 მე ამ ლიმილით რწმენის გორას  
 უშენებ ბიჭებს,  
 ბიჭებს, რომლებიც ხნულში დგანან,  
 ვენახში დგანან,  
 რომ არ დაუცხრეთ ქვეყნის მომავლის  
 გული და ნიჭი...  
 ერთად ვაგროვებ  
 ულამაზეს ქალების ლიმილს.



გაიმეორე ჩემი სახელი,  
 გაიმეორე ჩემი ძახილი, —  
 მეძახის თოვლი, თოვლზე მარხილი,  
 ჩემი ყველაზე ნაღდი სამხილი.

საცაა მალე აღმართს ავივლი  
 (თოვლში მოხრილა ბებერი მოცვი),  
 და ეს იქნება ნაღდი ალიბი,  
 რომ მოვეფერო და გადაგეოცნო.



କୃତ୍ୟାମ ନବାବପତ୍ରାବୀ



କୃତ୍ୟାମ ନବାବପତ୍ରାବୀ

კიდევ უფრო მეტი! წასულა თქვენი თაობის ვინმე ნისლების სანახავალოში თბილისიდან, ვთქვათ, ჟინვალს? ჩვენ წავსულვართ. თანაც რა დრო იყო ის დრო! ყოველი ჩვენგანი ჯერ ისევ პირველყოფილი შეშფოთებით უყურებდა ხოლმე კრძლადწალებულ გზებს და დაუკანონებელი გასეირნებებიც ათას-გვარ ეჭვს აღუძრავდა საზოგადოებრივ ხელმძღვანელობას! მაგრამ დღეს უკვე თვითონაც აღარ მიკვირს ეს ამბავი — ოცდაორი წლისანიც არ ვიყავთ, საღაცაც კავკასიონიდან ძირსდაწეული ნისლები მელაქოლიური თრთოლვით დახდგომოდა ზედაზენსა და დიღვორს, თბილისი ოქტომბერს ეთხოვებოდა, დაპატარავებულ, დაწმენდილ მტკვარში მოზაიკური ციმცი-მით ირკვლებოდა შეკვითლებული წნორები და ვერხვები, წინა დღის ნა-ნახი კვერნდა წარმტაცი ფილმი „ვატერლოის ხიდი“, რადიოთი ის-ის იფთ გადმოსცეს მოცარტის „დამის პატარა სერენადა“ და, სრულიად ბუ-ნებრივია, დაბანგულნი ვიყავით უსათუთესი რაღაცების კეთების და უხამ-სობების მსხვრევის, განადგურების სურვილით.

ხელი-ხელ ჩაკიდებული მივყვებოდით სანაპიროს ტროტუარს მე და ჩემი ლამაზი (უკვე ასე ვუწოდებდი იმ მართლაც თავისებურად ლამაზ — იშვათად მოხამხამე მრგვალთვალებიან, ოდნავ აპრეხილ ცხვირზე ჭორუ-ლშემორჩენილ, ტუჩებანთვებულ გოგონას), თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ პირველად შეხვედრილები, ჯანმრთელად მსუბუქები, ბედნიერები, და ვამბობდით, რომ „ნისლი საიქიო ყოფის ამქვეყნიური ილუსტრაციაა“. მაშინ ძალიან გვიყვარდა ასეთი რამეების თქმა: „ნისლი — საიქიო ყოფის ამქვეყნიური ილუსტრაცია“, „სასაფლაო — გაქვავებული მუსიკა“, „ომი — ლოკებჩამომჭკნარი გენერლების ფერ-უმარული“, „ლექსი — ცასა და დედა-მიწას შორის გაბმული ბეწვის ხიდი“. მაშინ, პროვინციებიდან თბილისში ახალჩამოსულნი, მეცა და ისიც, დიდხანს ვიდექით ხოლმე სამხატვრო ხალონში, ყოველი უმნიშვნელო სურათის წინ, თვით წიგნების მაღაზიაში გამოკრეული ფერადი რეპროდუქციების წინაც კი. აღტაცებულნი ვიყავათ კუინჯის „არყნარით“, ლევიტანის „მარტით“, სავრასოვის სურათით „ჭილ-ფავები მოფრინდნები“. ამ უკანასკნელში გვესმოდა ფრთხების ფათქუსი, ჩხა-ვილიანი გადაძახილ-გაღმოძახილი, ერთი ჭილფავის სუნთქვაც კი. ვა-ცოდით, რომ სადღაც არსებობდა კიდევ უფრო საოცარი სურათები — ვან-გოვის „მზესუმზირები“ და გოგენის ტაიტური პეიზაჟები. ვიცოდით, რომ ეს სურათები „მზით იყო სავსე“. გვიყვარდა „ჩახჩახა მზე“, ჩვენს ყმაწვი-ლურად გამხდარ ხელებს გვიანზამთრამდე არ შორდებოდა მისეული სიშაკე, მაგრამ არანაკლებ გვიყვარდა ნისლიც, ანუ როგორც ჩვენ ვეძახდით, „ნისლები“; ისინი უეცრად აპატარავებდნენ სამყაროს, საგნები ხდებოდნენ „როგორდაც განწირულნი“, ეს განწირულება გვიმმაფრებდა ერთმანეთთან ახლოს დგომის სურვილს, ამ სურვილით გვტკიოდა თითები, და ავტომუსის საფურის დანახვისას თეატრალურად ვთქვი:



— ჩემო ლამაზო, მოდი, წავიდეთ და ეგ ნისლები სულ ახლოდან ვნახოთ.

ჩემმა ლამაზმა კმაყოფილების გაკვირვებით შემომხედა, — ძალიან უხდებოდა ეს გამომეტყველება მორჩილების ღიმილით დადარაჯებულ მის თვალებს.

— ჩავსხდეთ ავტობუსში, ავევეთ არაგვის პირს, იქ ახლა ნისლებათ იქნება გამოვსხებული მთელი ხეობა, კახოთ და წამოვიდეთ.

— ფული თუ გვაქვს, ბატონო?

— გვაქვს.

— გვყოფა?

თხელი საწვიმრის ჯიბების ქექვა დაიწყო, ორი დაჭმუჭნული თუმნა-ანი გამომიწოდა (მაშინ ჯერ ისევ ძველი ფული იყო), მე მისი ფული არ ავიღე, — გქონდეს, და თუკი დაგვჭირდა, გამოვიყენებო-მეოქი. ჩქარი ნაბი-ჯით წავედით ავტობუსის სადგურისაკენ, — ჩემს ლამაზს ოდნავ დიდი ფეხები თითქოს უკან რჩებოდა, — ბედად მივუსწარით „ფასანაურს“, ბილუ-თიც კი ავიღეთ უინგალამდის, ორი უკანასკნელი ადგილი, ავედით, დავსხე-დით, ცოტა ხანს ვიყავით ასე, ყუჩად, ვიღაცის თვალს მორიდებულებივით, და დავიძარით, გავედით ქალაქიდან. გვეჩვენებოდა, რომ სულ ცოტაც და ჩვენი ბედნიერება ნაპირს გადასცდებოდა.

ჩვენს ახლოს სიგრძის სკამზე მჯდარ ხნიერ ფშაველ ქალს და-ძმანი ვეგონეთ, — უიმე, როგორა ჰგავხარო ერთმანეთისო. ჩვენ სიხარულით კა-ვულიმეთ და არაფერი კუთხარით, ვისხედით ჩვენთვის, ჩუმი ამბორით მხრეპ-შეხებულები, და ვიყურებოდით ფანჯრებში. ფანჯრებში ერთმანეთის მიყო-ლებით შემოდიოდნენ საზამთრისპიროდ ჩამშვიდებული კორაკები, ბეჭები, ბუჩქნარები, ხევები, სახლები და ძველი ნანგრევები. იყო თხრილებიც, ნა-ფარებიც, ბოძებიც, ბლოკებიც. მაგრამ მათს იქით, ტყის ფერადოვან კორო-მებზე და ფლატებზე წყნარ, სევდიან მუსიკასავით იყო გაფენილი ნისლის ნაძენები. იმ ნაძენებში, აქა-იქ, შემოდგომის მწვანეს სძოვდა საქონელი. მწვანე უთუთდ სავსე იყო ცივი, ცივი ცვრით, ერთ ადგილას ლანდივით გა-რბოდა დიდი შავი ძაღლი.

საკვირველია, ორივეს ერთად მოგვივიდა ასეთი აზრი, რომ ყველგან და ყველაფერში თითქოსდა რაღაც იყო ჩვენიც. შეგვეძლო მივსულიყავათ მათთან, ბეჭებთან, ხევებთან, ბუჩქებთან, და დავსახლებულიყავით. არავან შეიცხადებდა ამ ამბავს. პირიქით, თითქოს უკვე გველოდნენ კიდეც ჩვეუ-ლებრივი ლოდინით. ამიტომ იყვნენ გამომდგარნი გზის პირებში კაცები, ქალები და ბავშვები, ზოგან თავაწეული ძალლებიც. ამიტომ შემოგვფურე-ბდნენ, როგორც შინაურებს.

ჩენ უკვე ამოვირჩიეთ რამდენიმე მიმყუდროებული სასახლეკარე ჰუსტონის სახლი, არაგვის მარჯვნივაც, არაგვის მარცხნივაც. იქ ვიცხოვრებდით, იქ ვიშრომებდით ერთად მე და ჩემი ლამაზი. ჩვენი სახლის სახურავი ხშირად გაეცველდა ნისლში, მე ტყიდან ჩამოვათრევდი მორებს, დავჭრიდი გააღმასებული ცულით, დავხეთქავდი, ის გამოზრდიდა გოჭებს, ქათმებს და უანგისფერ მთის ინდაურებს. დასასვენებლად დავსხდებოდით ერთადვე, ის დაატრიალებდა თითისტარეს, მე დანით გამოვუთლიდი კიდევ უფრო უკეთეს თითისტარებს, ყაისნალებს და რაღაც ასეთებს. მაგრამ ზემოთ და ზემოთ კიდევ უფრო უკეთესი ადგილების მიედი გვქონდა, იქით მიგვიწევდა გული, და უკანდარჩენილებს პატიებას ვთხოვდით, მათ მასპინძლობაზე და მეზობლობაზე რომ უარს ვამბობდით.

ზემოთ და ზემოთ კი გაუჭრელი ჯანდი და ბურუსი იწვა, აღარსად ისნებოდა ცა, ფანჯრებს ხვდებოდა წვიმის მუქი წვრილი წვეთები და უკვე შემკრთალნი ვეჭუჭებოდით ერთმანეთს.

ფინვალიც პირქუშად შეგვხვდა, ნაწვიმარიც იყო და თითქოს უკვე საღმოს ბინდიც იდგა. თბილი ავტობუსიდან ჩამოსულები, დაკარგული პავშეებივით ვიდექით სველი გზის პირას. თითქმის სუნთქვა ჭირდა, ისე იყო გაუღენთილი პაერი ნესტით, ძლივსლა ვინარჩუნებდით მხნეობის ღიმის. ყელამდე შევიკარით საწვიმრები, ხელები ჯიბებებში ჩავიწყეთ, წავედით, აქ უკვე ერთმანეთისგან ცოტა შორი-შორს, — უმწეოდ, მაგრამ მაინც საგრძნობლად გვპტენდნენ ნისლის წინწკლები სახეზე, — მივედით არაგვის ხილთან და გადავხედეთ მომწვანო წყალს ლოდიანებში.

იწურებოდა, მკვრივდებოდა, იძხვრებოდა, თეთრად იქოჩრებოდა, ქვემოდან იძოლებულებოდა ჩვენენ მოსწრავებული ის ძომწვანო წყალი — ყველა ქართველისთვის აიაზმასავით წმინდა. მის ხივილზე და ბუბუზე თრთოდა, კანკალებდა ხიდი, თითქოსდა თრთოდნენ აქეთ-იქიდან მომდგარი ჯანღში შებუდებული მთებიც. რაღაც განსხვავებულად მძიმე და ცივი სიო მოდიოდა მათ შორის და ღონივრად გვაწვებოდა ორივეს.

„დამწუხრებულმა, არაგვი, რომ გნახე, გავიხარეო“. „ნისლი ფიქრაა მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“. „არაგვის ხეობაზედა ერთი ყვავილი ჰყავისა, იმას ხელ არვინ არ მიხლოს, თავის პატრონი ჰყავისა“. „შენ, ნისლო, ადექ, მთას წადი, თავზე რას მებურვებით“, — ვიგონებდით ზანერთი, ხან მეორე. მერე სიამოვნების ღიმილით მივადევნებდით თვალს კლდის ძირას ჩრდილებივით მიმავალ კისერდაგრძელებულ ცხენებს. მერე — წახრილ, ალბათ შინისკენ ფეხაჩქარებულ სამ ქალს. მერე ძალიან შეგვცილდა, ჩემს ლამაზს კანკალი დააწყებინა, წამოვედით, უნებლიერ ჩავჭიდეთ.

ცივი ხელები ერთმანეთს, ისევ სწრაფად გავუშვით. ავედით სასადილოში,  
— ჩემს ლამაზს ეშინოდა, მეც, გამოგიტყვდებით, დაძული ვიყავი, — შე-  
ვალე კარი, შევედით და, ჯერ რიგანად არაფერი გვქონდა გარჩეული,  
დასცხეს დოლს, აჰყვა იმ დოლს გარმონი.

ქეითობდა მთის ხალხი, ფშავლები, ხევსურები, ერთ სუფრასთან შე-  
აგუშული ათიოდე კაცი, ზოგი ახალგაზრდა, ზოგი შეჭადარავებული. ამა-  
ვარჩიე გამონაპირებული კუთხე, დავსვი ჩემი ლამაზი იმ ხალხისკენ გვერდ-  
მიქცეული, — ყოჩაღად-მეთქი, — ჩავჩრჩულე, მივედი მებუფეტესთან, თხუ-  
თმეტი ხინკალი, ერთი ბოთლი ღვინო და ერთიც ლიმონათი გამოვართვი,  
დავწყე მაგიდაზე, მეც დავჯექი, ჩავიხარენით დიმილით ცხელი ხინკლის-  
კენ, — ჩემს ლამაზს ისევ აკანკალებდა და ცდილობდა, საწვიმრის საყელო  
მოეფარებინა ღოფაზე მხრით, — წამოვიდა ჩვენკენ შვინდისფერსვიტერიანია,  
მაღალი, ხეხელა ახალგაზრდა, გამოჰყვა შუახნის ტანმორჩილი კაცი, გა-  
მოსდო ხელი მკლავში, გააჩრა. რაღაც ილაპარაკეს, იქანავეს, მიბრუნდნენ,  
ისევ თავიანთ სუფრასთან დასხდნენ. იქაურობა აიკლო დოლმა. ხან ვინ იყ-  
ურებოდა ჩვენკენ, ხან ვინ. მე ღვინო დავლიე და უცებ გავგულადდი. წამო-  
დგა ისევ ის შვინდისფერსვიტერიანი ახალგაზრდა, წამოედო საკუთარ სკამს;  
წააქცია, იქიდანვე დაიწყო ცეკვა, იატაგზე ფეხის ცემით, მარჯვენა ხელის  
მაღლა თამაშით, წამოვიდა ჩვენკენ, უთუოდ ჩემი ლამაზის გაწვევა უნდა-  
და, ისევ ჩაუდგა წინ ის შუახნის კაცი, იმან და იმ ახალგაზრდამ იცეკვეს,  
ხელების ქნევით, შეძახილებით, წავიდნენ, დასხდნენ თავ-თავიანთ აღვილზე.  
ახალგაზრდას ჩვენკენ რჩებოდა თვალი. ძალიან მომეწონა ის შუახნის ტან-  
მორჩილი, კოხტადჩაცმული კაცი. მოსაწონი იყო ახალგაზრდაც, შუბლზე  
ჯოუტქოჩორჩამოშლილი, თვალებნაღვლიანი. მაგრამ ვერაფრით გამოვხატე  
ჩემი მოწონება, ჯიბეს უსიამოვნოდ ვკრძნობდი. ორი ხინკალი დავტოვეთ,  
ავდექით, წავედით. ეხლა უფრო აშკარად გვიყურებდნენ. ვიცანი იმ ახალ-  
გაზრდის ხმა, — „მა რას დაანათებს აქ!“ გაფიცხდა, განერვიულდა დოლი.  
ჩემმა ლამაზმა მკლავზე მომკიდა ხელი და მომექუტა თავითა და მხრით.  
მე კავიწიე, თან შევახსენე, რომ აქ ასე არ შეიძლებოდა, ვინც უნდა ვყა-  
ფილიყავით ერთმანეთისთვის. ჩავედით დაბლა, გავჩერდით გზასთან და და-  
ვუწყეთ ზემოდან მომავალ მანქანას ცდა. მაღლ დიდი მწვანე თვითმცლელი  
მოვიდა, თანაც კეთილადგალიმებული ასაკოვანი მძლოლით. ავედით. კარის  
რომ ვიხურავდი, სასადილოს აივანზე ის ორი მოქეიფე დავინახე — ახალგა-  
ზრდა და შუახნის. ავუწიე ხელი გამომშვიდობების ნიშნად და წამოვედით.

მცხეთამდე იმ თვითმცლელმა ჩამოგვიყვანა, მცხეთიდან გორის ავტო-  
ბუსს გამოვეკვით. შვიდ საათზე უკვე თბილისის ავტოსადგურში ვიყავით —  
დაღლილი, დაღლილი, თითქოს დიდჩხებადატანილი, — და როდესაც  
ჩემს ლამაზს ვკოცნილი ჭადრების მკვრივ სიბნელეში, ის სულ ამას ამ-

ბობდა, — დავიღალე, საშინლად დავიღალე, — და ქვემოთ-ქვემოთ მიძისხება კუთხის  
ტებოდა, მსუბუქ, შმაშურა საწვიმარში გახვეული მისი გლუვი, როგორდაც  
ცივად მოშეებული, მორბილებული მძიმე სხეული.

ნურც წახვალთ ნისლების სანახავად ჟანვალს, — მართლა დაღლა  
იცის, საშინელა დაღლა. შემდგომ ამისა, იმ სურათების სამუდამო მოყვა-  
რულად დარჩენა, ოცდაორი წლის ასაქში რომ გიყვარდათ, რაიც დაბალი  
განვითარების არსებად გამოგაჩენთ თქვენს თანამედროვეთა შორის, კიდევ  
უფრო შემდგომ კი, ათეულობით წლების შემდგომ, ყოველიც ეს გადააქ-  
ცევა მწვავე მოგონებად, რომელიც აღარ დაგაძინებთ მრავალსა და მრავალსა  
დამეს, ბევრჯერ კი ამ მოგონებას დაერთვება განწირულობის მუდარაც:

— კეთილო დამევ, ნუდარ გათენდები ნუდარასოდეს ჩემთვას!



## დავით თევროჩაძე



აღარ წვიმს ახლა,  
 წვიმს წვეთები  
 ძუძუებივით ამშვენებს ფოთლებს,  
 აღარ წვიმს ახლა,  
 თეთრი ღრუბლები  
 ცის ლურჯ ტილოზე კრავებს ხატავენ,  
 გადაირია ჭოროხი წუხელ,  
 ზღვამ ჩაყლაპა და  
 უთხრა — პატარავ,  
 ჩემს ხელთა არის შენი საღავე.  
 ცაში კი, ცაში თეთრი ღრუბლები  
 ისევ ხატავენ უმანქო კრავებს.

### მე გუშინ, ძმებო...

ძუძუმშოვარა ბავშვის სუნივით  
 მიზიდავს სარფი, გაცდი კვარიათს,  
 მთა მაღალია როგორც დუმილი.  
 და ვგრძნობ, ამ მიწის დიღი ვალი მაქვს.  
 ალაგ მთებიდან წყალი მოწვეთავს,  
 წყალი თუ ცრემლი ლაზი ასულის,  
 დგას ისტორიის მოწმედ მთვარე და  
 ჩემს ნორჩ სხეულში ტირის წარსული.  
 სარფი ტკივილი, სარფი სიზმარი,  
 და გაფრთხილება ჩვენი მარადი,  
 მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი  
 და სოფელივით დავპატარავდი.

გაიცინა ლაზბა  
 ირონიულ ჭრეტექსტით,  
 — ამ პატარა სოფელს  
 ჩას მისცემსო ეს ლექსი.  
 ო ვიციო —  
 ვუთხარ და  
 მარცნივ გავიხედე,  
 ამშვენებდათ ცრემლები  
 ქალწულებს და დედებს.

ერთმა მანდილოსანშა  
 ჩამოიღო ფანდური,  
 ლაზიკაზე იმლერა  
 სევდიანი ქართულით.  
 აგვაცრემლა და უცებ  
 მოსჭრა ლხინის თარგზე,  
 — კიდევ ერთი ლექსი  
 დაწერეთო სარცზე.

### თ ე რ ნ ა

თვალებში ჩაუდგება კელაპტრები,  
 გამოქანდება და მკოცნის,  
 ორიოდ დღეში ცენატრები,  
 წუხს, თუ ვეღარ მხედავს მოცლილს.  
 საკუთარ გულში ჩაიხედოს  
 ყველა მშობელმა და შვილმა,  
 განა უფრო მეტად საიმედოს  
 ნახავ ამგვარ გრძნობის მიღმა?  
 თვალებში ჩაუდგება კელაპტრები,  
 გამოქანდება და მკოცნის,  
 ორიოდ დღეში ვენატრები,  
 წუხს, თუ ვეღარ მხედავს მოცლილს.  
 ერთი სახელმწიფო ჩემი ოჯახია,  
 სამანს ვერ დამიდებს მტერი,  
 ვსხევვართ სიყვარულის ხალიჩაზე  
 ბედნიერები და ვმლერით...  
 ლალე, ლალე  
 დივლი-დალალალე,  
 ჩემო ლამაზო სამშობლოვ,  
 შენ კი გენაცვალე.





## ნეგზარ გერიძე

### პირველი ლაურეატი აჭარიდან

ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ საჭე კუჭა სებისკერაძე უზის. იგი კარგად გრძნობს ამ „ჭკვიანი“ მანქანის სუნთქვას. როცა გამართული მექანიზმი რიტმული გუგუშით მიჰყება ლარივით გაჭიმულ მწერივებს და ხელმარჯვე მეჩაიესავით იღებს სურნელოვან ნორჩ დუყბს, კუჭას შრომის ხალისიც ემატება, ოცნებაც ეძალება.

ერთმანეთს ენაცვლება ფიქრები შრომაზე, ოჯახზე, სამი შვილის ბედნიერ მომავალზე, ახლო მეგობრებზე... მაგრამ ვერასოდეს წარმოადგენდა, თუ სახელს ასე საქვეყნოდ გაითქვამდა.

მშეღლია იმ სიხარულის აღწერა, რაც კუჭა სებისკერაძემ განიცადა რეტომბრის 62-ე წლისთავის დღესასწაულის წინ: გამოქვეყნდა ცნობა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებისათვის შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევების აღსანიშნავად 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ და ლაურეა-



ტებს შორის კუჭა სებისკერაძეც დაასახელეს.

ეს მაღალი ჯილდო ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ა. ბ. სტალინის სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენისანი ჩაის საბჭოთა მურნეობის მექანიზატორს კუჭა სებისკერაძეს მიეკუთვნა მეც-



ნიერების მიღწევების გამოყენებისა და კომპლექსური მექანიზაციის დაწერების საფუძველზე ჩაის უხვი და მყრი მოსავლის მისაღებად შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

შრომის დაფასებას, ჯილდოებსა და კეთილ სიტყვას კარგა ხანია შექმნა, მაგრამ ასეთი აღიარება მანც სხვა იყო. თავი სიზმარში მგონია, უუბნებოდა მისაღლოცად მისულ ამხანაგებსა და მევობრებს.

კუჭა სებისკვერაძე სახელმწიფო პრემიის პირველი ლაურეტია აჭარილან. არის რაღაც სიმბოლური იმაშიც, რომ ასეთი პატივი წილად ერგო მუშას და ისიც მეჩაიეს. მაღალი შეფასება, რომელიც სკპაცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოიქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჯენვმა მისცა საქართველოს მეჩაიეთა საქმიანობას, ოჩხამურის საბჭოთა შეურნეობის სახელვან კოლექტივსა და მის საუკეთესო მექანიზატორს კუჭა სებისკვერაძესაც ეკუთვნის.

ალბათ, ისაც სიმბოლურია, რომ ოჩხამურელი მუშის ესოდენ დიდი აღიარება ამ მეურნეობის შექმნის 50 წლისთვის დაემთხვა.

პირველობა თითქოს თავიდანვე დაეხდა ოჩხამურელთა კოლექტივს, რომელიც მეჩაიე საბჭოთა შეურნეობებს შორის პირველი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. აქ აღიზარდენ პირველი სტანციურები და სოციალისტური შრომის გმირები, ეს

კოლექტივი გახდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთი პირველი და მუდმივი მონაწილე. დღეს კი, თავისი არსებობის 50 წლისთვის იუბილეზე, მის მოწინავეთა პლეადას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სახელიც შეემატა.

კუჭა სებისკვერაძე მუშური გზა ვაიარა ამ დიდებამდე კუჭა სებისკვერაძემ. მას შემდეგ, რაც სკოლის მერს გამოეთხოვა, უქმად ერთი დღეც არ დაუკარგავს. პირნათლად იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც პირდაპირ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას მიაშურა. სულ მაღვე მოიპოვა მუყაითი მშენებლის სახელი, მერე კი სამექანიზაციო კურსები დამთავრა და ერთ-ერთ პირველს მიანდეს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. იყო სინელეებიც, ჯერ კიდევ პრაქტიკით შეუმოწმებელი მანქანა დიდ გულისფერსა და მაღალ პროფესიულ ოსტატობას ითხოვდა. სწორედ ეს თვისებები აღმოაჩნდა კუჭა სებისკვერაძეს. იგი ყოველწლიურად დიდი გადამეტებით ასრულებს გეგმებსა და ვალდებულებებს, მხარში უდგას თანამოსაქმეებს, არის ახალგაზრდა სპეციალისტთა კარგი დამრიგებელი, ხალისით უზიარებს 15 წლის გამოცდილებას.

კომუნისტი კუჭა სებისკვერაძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, შეურნეობის პარტიული კომიტეტის წევრს ყოველთვის აქეს თავისი სათქმე-

ლი, როცა პარტიულ კრებებზე  
საჭიროობოდა საკითხები წყდება.  
არც კრიტიკას ერიდება, პრინცი-  
პულად გამოდის სამეურნეო საქ-  
მანობაში ჯერ კიდევ არსებულ  
ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, მოი-  
თხოვს მართლწესრიგის განმტკი-  
ცებას, თითოეულის პასუხისმგებ-  
ლობის გაძლიერებას.

საქართველოს კომპარტიის  
XXV ყრილობის დელეგატმა  
კუჭა სებისკვერაძემ კარგად იცის,  
რომ კომუნისტის ადგილი იქაა,  
სადაც მეტი სიმელეებია, რომ  
მისი სიტყვა თუ ძოწოდება პირა-  
დი მაგალითით, საქმით უნდა  
იყოს განმტკიცებული. იგი სამა-  
გალითოა შრომაშიც, ცხოვრება-  
შიც, მეგობრობაშიც, ყოველწლი-  
ურად გადიდებულ სოციალისტურ  
ვალდებულებებს კისრულობს და  
პირნათლად ანაღდებს მათ. ვადამ-

დე შეასრულა პირადი ხუთწლედო-  
ოთხ წელიწადში მოკრიფა 342  
ტონა ნედლეული, ნაცვლად დაგე-  
გმილი 277 ტონისა.

შრომის წითელი დროშის ორ-  
დენი, სსრ კავშირის სახალხო  
მეურნეობის მიღწევათა გამოფე-  
ნის ოქროს მედლები, სხვა ჯილ-  
დოები და პრემიება თავისთავად  
ბევრს ამბობენ მის შრომითს  
დამსახურებაზე.

საბჭოთა კავშირის სახელმწი-  
ფო პრემიის მინიჭებამ უსაზღვრო  
კმაყოფილებით აავსო კუჭა სების-  
კვერაძის გული. მას არ უყვარს  
ზედმეტი ხმაური და თავის ქება,  
ამიტომ გადაწყვიტა ისევ საქმით  
გამოხატოს თავისი მაღლობა,  
ამრავლოს სახალხო დოკუმენტი,  
გაადიდოს პირადი წვლილი ქარ-  
თული ჩაის წარმოებაში.



დედ-მამის შაგალითი რომ არა, ალბათ  
კერც კი შევიგნებლი, რომ მეც, ისე რო-  
გორც უკველ აღამიანს, ვალი მაქვს ამ  
ქეყენის წინაშეო. — ასე აშპობს დურსუნ  
კომახიძე.

დურასუნი ახლა მოწიფებული კაცია, ავ-  
კარგის მცირება, შვილებით, შვილოშვილე-  
ბით ვახარებული. გულშე სოციალისტური  
შემოსის გმირის ოქროს ვარსკვლავი უკი-  
ათება.

ოდესლაც მეოცნებე ბიჭი ვმირი გახდა.  
როგორი იყო ეს გზა?


ბეჭნიერებისაკენ და სრულყოფილებისაკენ გაჩენიდანვე მიიღოთვის აღამანი, ოღონდ ესაა, ძნელად სავალია ეს გზა. ზეცხაგბითა და დაბრკოლებებით სავსე. აშპონენ, თავის მოწოდებას კაცი მხოლოდ შაშინ შეიტყობს, თუ მის საპოვნელად ისტრაუვისო.

დღეს უველას გასაგონად შეიძლება  
ითქვას. რომ დურსენ კომანიდემ მიაგნო  
თავის მოწოდებას. ადვილად შეძლონ,  
ვერ იტყვით, მაგრამ უპირველესად უნდა  
დავარჩინოდეთ, რომ ადამიანს შეუძლებე-  
ლის შეძლების უნარიც შესწევს, თუ  
ყოველდღიური ბეჭითი შრომით გაიცლის  
წერთასოფლის შინაარსაან გზას.

本 本 本

1941 წლის შევოლგომა იღდა. ქვეყანას უჭირდა, ოჯახს უჭირდა, სოფელს უჭირდა... და გერ თითქმის ბავშვი, კოლმეურნეობაში დატრიალდა.

ბევრი იყო საქმე, ძლიერ აუდიოდნენტ  
ჭალები და მოხუცები. აღვილა როდი იყო  
ყაველადე შრიმა. პასუხისმგებლობა,  
სხვისი ტკიფილების გულთან მიტანა, საკუ-  
თარი გასაკირის დაძლევა დღი შინაგან



ძლიერებას მოითხოვდა. ხანდახან აუგანუ-  
დებოდა კიდევაც თავისთავში არსებული  
მეორე „მე“, მაგრამ ღურსუნი არ თმო-  
ბდა, უფრო მეტიც. წწორედ მაშინ მოქ-  
მედებდა პრინციპით — „გავაკეთობ პირი-  
ჭით“, და ასე, თვითშეგნების გზაზე და-  
მდგარს, ყოველი დღე საკუთარ თავშე  
გამარჯვების დღედ მიაჩნდა. ეს ჩწმენ:  
ძალას ჰმატებდა და უკეთესად შრომობ-  
და, სცეპებაც ძალასა და მხერბას უნე-  
გავდა. მისი შემუტრენი უფრო გულდა-  
გულ შრომობდნენ და ჩწმენა უწინველე-  
ბოდათ.

ომი რომ დამთავრდა, მახინჯაურშიც  
ალმართეს შინმოუსცელელთა ობელისი.  
ბევრმა ქალმა ჩაიცვა შავი. პირველი  
ავარელი გმირი მფრინავი ისრატილ  
ჭინჭარაძე დაიტირეს... სიცოცხლე კვლავ  
გაგრძელდა.

ამდე მეტი თავდადებული შრომა იყო  
საჭირო. ბევრი იყო გასაშენებელი და გა-  
საკაფავი, დასათესი და დასარგავი.

1947 წელს 250 ძირი ლიმონის ნარგავი  
გუპიროვნენს. ღურსუნი ნარგავებას ც  
უვლიდა და თან ჩაის პლანტაციაშიც  
მუშაობდა. ეს ის პერიოდი იყო, რო-  
დესაც კომმენტრენობა, როგორც იტყვი-  
ან, წელში წწორებოდა; ბევრი საქმე  
ჰქონდათ: ციტრუსები და ჩაი გასაშენე-  
ბელიც იყო და გასახარებელიც. რაც გა-  
შენებული იყო, არც ის გამოირჩოდა  
კარგი მოსავლით

კლიმატური პირობები ხელს გვიწყობს,  
მთავარია შრომა და მზრუნველობა, ფი-  
ქრობდა ღურსუნი.

ჩაის პლანტაციაში თოხნასა და ბარეას  
რომ მოჩერებოდა, ციტრუსში გადაინაც-  
ვლებდა. მისი ახალგაზრდული ენერგია  
რომ დაინახეს, ენთუზიასტებიც მომზავ-  
ლდნენ. რიცათ ცაბადე და ახმეტე  
ლონინტი ცდილობდნენ ტოლი არ და-  
დოთ ღურსუნისათვის. ბევრი კომერცი-  
ული აიყოლია მაშინ ღურსუნის, გაჩაღ-  
და შეჯიბრება.

შრომობდა ღურსუნი... შეპფოფინებდა:  
თითოეულ ძირ ციტრუსს, მერე და, რო-  
გორ ბავშვივით მზრუნველობას მოითხო-  
ვდა თითოეული ნარგავი. 250 ძირი ლი-

მონის ხე ცოტა როდია მოსავლელად ვერ  
ვიტავი, დამეს სახლში არ ათვიდდა სულ  
ციტრუსის ბაღში იყო, მაგრამ ერთი  
ცალია: თავისით არაფერი გეთდება, ხა-  
ქმებს წარმატება არ მოჰყვება, ცოტა ზედ-  
მეტად თუ არ გაისარჯე, ცოტა ზედმეტად  
თუ არ დაიღალე გული და მკლავი.

ამ გარჯამ შედეგაც გამოილო. თითოე-  
ული ნარგავიდან 454 ცალი ლიმონი მო-  
კრიფა, სულ კი პლანტაციაში — 113.500.  
ეს იყო 1948 წელს.

თავდადებული შრომა დაუფასეს დურ-  
სუნს, მის მეტრდზე ხოციალისტური შრო-  
მის გმირის ოქროს ვარსკვლავი აკიაფდა

\* \* \*

30 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ:  
რაც სრულიად ახალგაზრდა კაც გმირო-  
ბა მიანიჭეს. 30 წელი ადვილად ითქმება;  
ისე კი... გმირის ოქროს ვარსკვლავის  
ტარება სასიხარულოცა, რა თქმა უნდა,  
და ამავე დროს უდიდეს პასუხისმგებლო-  
ბასთანაცა დაკავშირებული.

შინაგან დარაგად მუდამ სინდისი მე-  
დგაო, — თქვა ღურსუნმა, და არც გაგ-  
ვკიორებებია, რადგან მოვალეობის შეგენ-  
ბამ და დისციპლინამ მიანიჭეს მას ის დი-  
დი ზენობრივი ძალა, შემდგომ გმირბად  
რომ გამოიხატა.

1949 წლის მწურულსა და 1950 წლის  
დასაწყისში დიდი თოვლი მოვიდა, დაეცე:  
ტემპერატურა, ყინვა დაიწყო, არც მაშინ  
მოუყვითა მზრუნველობა და უფრადება:  
ლიმონის ნარგავებისათვის, დამდამიბით  
ცეცხლს ანობდა, მაგრამ ვერაფერი გა-  
აწყო ბუნების სტრუქტურაში წინაშე — გახმა  
ნარგავები. რალას ისაზღაურა, თავში ცემა და  
ნალექი რალას უშველიდა, მოქმედება  
და შრომა იყო საჭირო.

იმ გაზატულზე გაყინული ნარგავები  
ამძირება და მათ ხანაცვლდ ფორმო-  
ბლის ბალი გამოიწვია. თოხი წელი ბეჭითად  
შრომიბდა ბაღში ღურსუნი, ერთგულ  
დარაგად ედგა თითოეულ ძირ ნარგავი,  
კარგი მუშაობით თავშე დასტრიალ-  
ებდა, შეცვლინებდა. სიმართლე გამხელი-  
ლი სჭობსო, — გვითხრა, — ძალიან მი-  
ჭირდა, მაგრამ ძალ-ღონეს ვძაბავდი, მწამ-



და, გავიმარჯვებლი, მწამდა ამ ჩვენი შიწის... აკი გამიმართოლა კიდევ.

1955 წლის გაზაფხულზე უცელამ, ვინც კი დურსუნის გაშენებული პლანტაცია ინახულა, ერთხმად აღიარა — აი, თურმე რა შეხძლებია თავდადებულ შრომასო.

ერთხელ კიდევ დაადასტურა დურსუნია, კეშმარიტი გმირი რომ იყო: დატოვა თავისი წევითა და დაგვით გაშენებული ფორთხოლის ბალი და განთიადში მე-9 ბრიგადის მანდარინის პლანტაციას მიაურა, მოუვლელობით რომ დაკინებულიყო.

ბევრი დახვდა სამუშაო. გული არ გაუტეხია. პირიქით, როგორც იტუვან, ელოლიავებოდა თითოეულ ნარგავს.

უკვირდათ, ნეტავი რა სჭიდაო — დურსუნის კი სხვანაირად არ უცემლო, ეგონა, ხეები ცოცხალი ადამიანებივით უცელას თხოვდნენ, ემუდარებოდნენ.

იმ წელსაც მეაცრი ზამთარი დაღა. თოვლის სიმძიმისაგან იზიქებოდნენ ტოტები... დურსუნი კი ბერძუავდა ტოტებს, ანთებდა ცეცხლს, რომ ნარგავებს არ განხელებოდათ მეაცრი ზამთარი... გადაჩა პლანტაცია, გამოცოცხლდა, შემოდგომაზე ნაყოფით დაიხუნდა.

შემოდგომაზე განპირობებულ 0,25 ჰექტარზე იმ პერიოდსათვის რეკორდული მოსავალი მიიღო — 4 ტონა.

1951 წელს მოწინავე კომკავშირელი შეციტრუსე სკკ რიგებში მიიღეს. ამ დიდმა ცდობამ მეტი შთაგონებითა და ენთუზიაზმით აავსო.

ყოვლისშემძლება სიყვარული. დიალი ძალაა დაფარული ამ შინაგან საგანძურში. როცა საუთარ მოწოდებას მიაგებდა ხაქების შეივარებ, გაუცეობელი რა დარჩიება. სწორედ რომ სიყვარული ქმნის ჩვენს გარშემო ყოველივე ლაშაზსა და ამაღლებულს, ადამიანს კი უფრო გაბედულად და კეთილად აქცევს.

ამ გაბედულებამ და სიკეთებ ბევრი დაბრულება დააძლევინა გმირს, უმცურალა დაავადებულ ხეებს, პლანტაცია ახალი ნარგავებით შეავსო და მერე დარგობდა თითოეულ ძირს... აგრძელების ზუსტი დაცვა, დროული შეწამვლა, ნია-

დაგის გაფხვირება — რომელ ერთს მოსახულება თვლის კაცი, უცელაური ეს მის პასუხისმგებლობას და საქმისაღმი დიდ ხევარულზე მეტყველებს.

შრავალი დირსსასხვარი თარიღია დურსუნის ცხოვრებაში. ახლაც კმიულილებით იგონებს 1955 წელს. როგორც საუკეთესო შეციტრუსე, მოხკოვში გამოცვენაზე გაგზავნებს.

წლებთან ერთად გამოცდილება ემატებოდა მასინჯაურელ შეციტრუსეს. შრომითი მიღწევებიც უფრო მასშტაბური ჩანდა. 1974 წელს კი უცელა განაცვილა დურსუნება — 0,25 ჰექტარზე 12 ტონა ციტრუსი მოიწია. რიცათ ცხადად, ახმედ ლლონტი, აგროუბნის მმართველი შერაბ კონცელიდე, ბრიგადირი ნაღიმ კომახიძე და სხვები ალაცაცებით უცებიან დურსუნის წლებზე, მის გარგაზე.

— დურსუნ უბადლოა შრომაში. ამას მასინ იგრძნობ, თუ მის გვერდით ხარ, მის ნამუშევარს შეჰქურებ... ამ სიტყვების სიმართლეში დურსუნის პლანტაციაში დაგვიარებუნა. მართლაც, რა შეუძლია ადამიანის მარგვენას!

— დურსუნ კომახიძე, — გვითხრა კოლეურნების თავმჯდომარებ გურამ კონცელიდემ, — ყოველთვის მაღალ მოსავალს იღებს, იგი გეგმაზომიერად ანახლებს პლანტაციას. ერთი სიტყვით, დურსუნი თავისი საქმის მცოდნე კაცია და სახისარულოა, რომ მის კვალებ ახალგაზრდები იზრდებიან. უპირველესად კი თვით დურსუნის შვილები — თემური, მურმანი და ილია, რომლებიც თავდადებით მუშაობენ კოლმეურნებიაში.

ბევრი საქმე აქვს დურსუნ კომახიძეს — კოლეურნების სარევიზო კომისიისა და აქტის ასხი სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრის. ხან სხდომაზე მიერქანება, ხან საკითხი აქვს შესაწავლი და უსახოწმებელი, ხანაც თავისუფალ დროს წიგნებიც უნდა იყითხოს, კითხვა უმატვილობიდანვე უცვარდა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისა.

შორს კელავ მოსჩანს დასაყრობი ხილცემი, ახალი პერსპექტივები იშლება მასინჯაურელთა წინაშე, რეზერვებიც გა-



მოსაქებნია, მეტის გაკეთება შეიძლება, ოღონდ გული გულობდეს, ოღონდ შემართება და გაქანება იყოს...

\* \* \*

აღამიანს ერთგული დარაჯი ჰყავს — სინდისი. სინდისიერი კაცი თავად აგებს პასუხს თვის ყოველ საქციელზე.

ასე ფიქრობს გმირი, დღენიადაგ ბაღში, რომ ტრიალებს.

კაცის ცხოვრება ისეთია, ზროდადორო წაიჯორნილო იქნებ კიდეც, მაგრამ ხომ უნდა გახსოვდეს საკუთარი შეცდომა, და ხომ უნდა დღილობდე კარგი საქციელით გამოისყიდო იგი. ფიქრობს კი ყველა ასე?

— № 8 ბრიგადას მიმამაგრა პარტიულმა ორგანიზაციამ, — გვიყვება ღურსუნი, — ბრიგადაში ხშირად ვარ და განსაკუთრებით ახალგაზრდებისაც კუნგვას თვალი და ყური, მინდა ყველა არა მარტო კარგად შრომობდეს, არამედ ზნეობრივად სრულყოფილი იყოს, კარგსა და ცუდს არჩევდეს. ჩემი აგრძაცია არა მგონია ცუდად მოქმედებდეს, მაგრამ... ახალგაზრდებს რომ ვარიგებ, მე მარტო შრომის სიყვარულს არ ვუქადაგებ მათ. არ უნდა დავივიწოთ, რომ ახალგაზრდა ჩაშინ შეიყვარებს შრომას, თუ იგი ზნეობრივად იქნება გაზრდილი, მის სულში ხინჯი არ იქნება ამოზრდილი. ამ რამდენიმე ხნის წინაარ გაზეთში წავიყიოხხე, ერთი ოჯახის დედამ როგორ გადასხს ძალს მდუღარე წყალი, როცა იგი პაწაწინა ლეკვებს ძუძუს აწოვებდა... ამ ამბავმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ... ჩემზე კი არა, ყველაზე, შვილებზე, ბრიგადის წევრებზე. მეკითხებოდნენ, ოჯახის დედამ ასეთი რამ როგორ ჩაიდინაო. ვფიქრობ და ვერ გამიგია, ქალს თუ შებრალების, შეცოდების გრძნობა არა აქვს, დედა როგორ იქნება?

ანდა იმათ რაღა უნდა ვუწოდოთ, ათასნაირი ნივთებით რომ ავხებენ სახლს, თანაც საიდან? — ეჭვიც რომ გიპურობს კაცს. ხედავ, პატიოსანი შრომით არაა მოპოვებული, მას კი არც რცხვენია, თოთქოსდა კარგი კაცია, ისე გამართული დადის და მერე სად დადის! ასეთ კაცს

თეატრში ქუდიც რომ შეუგდოს ჸილი ხედავს. წიგნს არ წაიკითხავს, რესტორანებში კი, იცოცხელე! ასეთ ხალხს ჩვენს სოფელშიც შეხვდები. მათ რომ ვუყრებ, გული მიყვდება, ნეტავი, რამ დაუკარგა მათ კაცურ-კაცობის მაღალი შეგნება?

\* \* \*

მშვენიერია სიცოცხლე — სიბრძნით, სიყვარულით, სიკეთით, სილამაზით სავსე, მხოლოდ ადამიანს ძალუბს შეიგრძნოს სილამაზე და იგი მშვენიერების რანგში აიყვანოს.

რა ამშვენიერებს კაცს?

— წვდომა და ძიება კეშმარიტებისა, ადქმა და დაფასება სილამაზისა, ერთგულება სიკეთისა და სიყვარულისა!

როგორც ამბობენ, ყოველ საქმეს თან სდევს „სილამაზის საიდუმლო“. გან სიყეთ და სიყვარული არ ამშვენებს მინდვრის მშრომელს, ჩვენი არსობის პური რომ მოქავს? დასაც რომ მშვენიერია მისი ცხოვრება. მშვენიერია ჩვენი გმირის — ღურსუნ კომახიძის ცხოვრება. იგი ხომ ათეული წელია თავდადებულად შრომბის, თავისი საქმის ერთგულია და მოყვასისადმი სიყვარულით აქვს სავსე გული. ყოველივე ამას კი კიდევ ერთი უსაჩინოები თვისება ემატება — ღურსუნი აფასებს და განიცდის, გრძნობს სილამაზეს, ეტრუსის ხელოვნებას... ტურისტულ მოგზაურობაში იყო და იტალია მოინახულა. ასე მეგონა, ბავშვობის სიზმარი ამიხდა-მეთქი, — გვითხრა ღურსუნმა, — ხელოვნების უკვდავ ძეგლებს გავეცანი, დიდი სილამაზე ვნახე, ვიგრძენი, რა შეუძლია ადამიანის გენის, რა ძლიერი და ლამაზი სული აქვს კაცს, ბედნიერი ვარ. რომ ეს ყველაური განვიცადე... წარმოვიდგომით ჩვენი ცხოვრება ხელოვნების, ლიტერატურის გარეშე? ნეტავი რა მოგვივიდა, მიქელანჯელოს, რეპინის, ფიროსმანისა თუ გულიაშვილის ნახატები, ბაირონისა და პუშკინის, გოგოეს, ტოლსტოის, შექსაბირის, რუსთაველის ქმნილები სავალ გზას რომ არ გვინათებდნენ?

ანდა, ბუნების ლამაზ პეიზაჟებს რომ არ  
შევაპყრობდეთ ცეკვას, სმენას არ გვიტ-  
კბობდეს ჩიტების შრიამული, ხეების შა-  
რი-შური რომ კეთილად არ გავანწყობ-  
დეს.

\* \* \*

„ვან თქვა, რომ ცხოვრება დუხშირია,  
ვან თქვა, რომ მასში მხოლოდ გესლი და  
კვნესა, მწუხარება და ცრემლებია!... მას-  
ში მხოლოდ უხამისი კი არა, გმირულიც  
ბევრია, მხოლოდ ბინძური კი არა, ბევრია  
ნათელიც, მომხიბლელიც, ლამაზიც. მას-  
ში არის ყველაფერი, რის პოვნასაც მოი-  
სურვებს ადამიანი. ამ უკანასკნელს კი  
ძალებს შექმნას ის, რაც ცხოვრებას არ  
გააჩნია! ცხოვრება მშვენიერია, ცხოვრე-  
ბა დიდებული, დაუყკებელი მოძრაობაა  
საყოველთაო ბენზინერებისა და სისარუ-  
ლისაკენ“. როცა გორეკი ამ სიტყვებს წე-  
რდა, იგი სკვრეტდა, რომ ახალი სამყაროს  
შენებლთა ცხოვრება ხალისიანი იქნე-  
ბოდა... დღეს, როცა პარტიის ლოზუნგი  
—“ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიან-  
ის კეთილდღეობისათვის“ თანდათანობით  
ხორცის ისხახს, საბჭოთა ადამიანის ყო-  
ველი დღე გახსივოსნებულია ამ ახალი  
ცხოვრების შუქით.

სილამაზე, ჰარმონიულობა, ხალისი თან-  
დათან ფეხს იყიდებს ჩვენს ცხოვრებაში.  
კარგი განწყობილება კი ოჯახიდან იწყება.  
ბუნებრივია, ვერც დურსუნი იქნებოდა  
ბეღნიერი კაცი, ოჯახში მყუდროება და

სიტყბოება რომ არ ჰქონდეს. თითვეშის  
სამი ათეული წელია მის გვერდითა მე-  
ულლე ზექიე, რომელიც შვილების კარ-  
გად აღზრდას, ოჯახში დისახლისობასა  
და კოლმეურნეობაში. შრომას მშვენივრად  
უთავსებს ერთმანეთს. ასე გავიდა წლე-  
ბი... წამოიზარდნენ, დაურთიანდნენ შვი-  
ლები. უფროსი ქალიშვილი ციალა უკვე  
გაათხოვეს, თემური და მურმანი კოლმე-  
ურნეობაში მუშაობენ, ორთავემ მისაბაძი  
ოჯახში შექმნა, შვილიშვილებიც მომრავლ-  
დნენ დურსუნის კერიაზე. ნაბოლარა  
ილიამაც გაახარა ამაგდარი მამა, სავალ-  
დებულო სამხედრო სამსახური სამაგა-  
ლიოთოდ მოიხადა და დაბრუნებისთვავე  
მამას ამოუღა მხარში.

\* \* \*

შეხედე, რა ცაა,  
ესაა რაცაა!

მახსენდება გალაკტიონის სტრიქონები.  
გამჭვირვალე, წმინდა, მოსარკული ცა და-  
გვეურებს მაღლიდან, მისი სილურჩე-  
ორგანულად შერწყმია ლამაზ პეიზაჟს —  
ლურჯად მოლივლივე ზღვასა და მწვანედ  
აფეთქებულ გორაკებს. შემოდგომაზე  
ოქროსფერი მოჭარბებულა მახინჯაურე-  
ლთა ბალებში და აუწერელი სილამაზის  
ათინათი ადგას ყველაფერს. ამ დიდებულ  
პეიზაჟს კი ერთიასად ალამაზებს დურსუნ  
კომახიძისა და მისი მეზობლებისა თუ მე-  
გობრების გამრჩე მარჯვენა.

# სტეფანი თაძეგმანქი

სეჩენი ესენინი



შინა ვარ ისევ ოჯახის მკვიდრი...  
ნაზია ჩემი სამშობლო წრფელი!  
გორაკის მიღმა ხუჭუჭა ბინდი  
მომესალმება ქათქათა ხელით.

მიდის, ილევა დღე ნაავდრალი,  
გაუწეწია ქარში ჭაღარა.  
მღელვარე გრძნობა სევდისმაგვარი  
ცისფერმა მწუხრმა შემომაპარა.

ეკლესიების გუმბათებს ზედა  
მიმქრალი სხივი კიაფობს ოდენ.  
ო, მეგობრებო ბავშვობის დღეთა,  
ვეღარ გიხილავთ ვეღარასოდეს!

დრო დავიწყებას მიეცა უკვე,  
თქვენც დაითანგით დროთა ტრიალით.  
მხოლოდ წყლის ჩქერალს წისქვილის უკან  
კვლავ ძველებურად გააქვს ჩხრიალი.

და ახლა ხშირად, შედამებისას,  
რეკვა რომ ისმის დამტკრეულ ისლის,  
შენდობას შევთხოვ კვამლიან მიწას —  
ვინც აღარ მოვა, ვლოცულობ მისთვის.

ო, პატარავ, შენზე დარდით  
მე ვტიროდი, დიდხანს.  
შოველ ღამე კაეშანით  
მოწამლული ვიყავ.  
ვიცი, ვიცი, რომ სულ მალე  
უნდა დავიღუბო;  
სულთათანით საფლავისკენ  
წაიღებენ კუბოს  
და ფანჯრიდან ჩემს სუდარას  
როცა გადმოხედავ,

გულს მოგიკლავს უთქმელი და  
უსაშველო სევდა.  
იღუმალი თბილი სიტყვა  
ცრემლთან ერთად გცივა  
და კურცხალი გადაიქცა  
მარგალიტის მძივად.  
ავკინძე და ყელსაბამად  
მოგიძღვენი ცრემლი,  
იქნებ აღარ დამივიწყო —  
დაიმშვენე ყელი.



ან დავიხურავ ბერის არახჩინს,  
ანდა გავხდები მოხეტიალე.  
გულარხეინად ვივლი ჭალაში,  
სად არყის ხეთა რე მოჩხრიალებს.  
მიწის კიდემდე გავზომავ მანძილს  
მორი ვარსკვლავის მაცურ ცქრიალში.  
ბედნიერება მსურს მწამდეს კაცის  
ყანობირებზე ჭვავის შრიალში.  
დაისი გრილი ცვრიანი ხელით  
ბერტყავს აისის ღაედაფა ვაშლებს.  
მთიბველი ნაცნობ სიმღერას მღერის  
და საყვარელი ჰანგებით მავსებს.  
ახლა, ამ ღლემდე როცა მოველი,  
კამბობ, ნაღდია და მართალია:  
ნეტარ არს, ვინაც წუთისოფელი  
მწირის აბგით და არგნით გალია;  
ვისაც სიხარულს ცოტა რამ მოფენს,  
არც მეგობრობს და არცა მტრობს ვინმეს,  
დაუზარებლად გაივლის სოფელს  
და ლოცვებს ეტყვის ძნებსა და ზვინებს.

წარბშეკრულია საღამო ქუში.  
 უცხო ცხენები ჭიშქართან დგანან.  
 სიყრმე ლოთობას შევწირე გუშინ,  
 არ მოგიძულე შენც გუშინ განა?  
 მარხილო ჩემო, დრო მოგვესწრაფა.  
 უკვალოდ გაქრა დღეთა ჭენება.  
 საავადმყოფოს საწოლზე ალბათ  
 ხვალ სამუდამოდ მომესვენება.  
 მაგრამ იღბალმა თუ გამილიმა,  
 წავალ ჯანმრთელი, საითაც მინდა.  
 მიმღერენ რამეს შოთხვი და წვიმა,  
 ჯანსაღი კაცი სულდგმულობს რითაც.  
 იმ ბოროტ სულებს, ვით შხამს და ნალველს,  
 აღარასოდეს არ გავიხსენებ.  
 ალერსიანო და სათნო სახევ,  
 არ დაგივიწყებ არასდროს შენ ერთს.  
 თუმცა სიყვარულს აწ აღარ ვეძებ,  
 თუ შემაყვარებს სხვა ვინმეს ბედი,  
 ჩემო სულისლეგმავ, ვუამბობ შენზე,  
 რარიგ ძვირფასი იყავი ჩემთვის.  
 იმასაც ვეტყვი, რა სანეტარო  
 დრო იყო, შენთან ვიფავი ვიდრე...  
 შენ, ჩემო თავო, დაუდეგარო,  
 ეს რა უკუღმართ დღეს გადამკიდე!



ოქროსფერ ველთა და მთათა მიღმა  
 ბილიკი მისდევს სოფლიდან სოფელს.  
 ვხედავ, ტყეს ადგას დაისის ჯილა  
 და მოხვევია ჭინჭარი ღობეს.  
 საყდრის გუმბათი თეთრად კრიალებს,  
 დილით ცის ქვიშა ცისფერი არი.  
 გზასთან ბალახებს ააწკრიალებს  
 შემოფრენილი ტბებიდან ქარი.

განა მიტომ მთნავს ეს მწვანე ველი,  
 რომ გაზაფხულის სიმღერებს მდერის? —  
 მე შემიყვარდა წეროს ნაღველით,  
 მაღალ მთაზე რომ დგას მონასტერი.  
 როს ინისლება ლაჟვარდის პირი,  
 ხიდზე დაისი იწვის დაღანით,  
 მიღიხარ, ჩემო, საბრალო მწირი,  
 ჯვარს და სიყვარულს რომ სცე თაყვანი.  
 მონაზენის სული სათნა ღმერთით  
 და ექტენიას ისმენ მიტომაც.  
 მაცხოვრის ზატზე ილოცე ჩემთვის,  
 იქნება ცოდვილს მომცეს მშვიდობა.



ახლოვდება ბინდი. ეძინება კატას.  
 „მიხსენ, ქრისტე ღმერთო!“ ლოცვა ისმის საღლაც.  
 ცას დაისი ფერავს. ნისლის ბოლი დადგა.  
 ფანჯარაზე მოჩანს ალისფერი ფარდა.  
 დაიხლართა სხივი, როგორც აბლაბუდა.  
 ხაფანგს ფხაჭნის თავი — თავის დახსნა უნდა.  
 კელზე დგანან ძნები — ჯერ არ გაულეწავთ.  
 ფიჭვი, როგორც შუბი, მიბჯენია ზეცას.  
 ლურჯი კვამლი მოდის გადანამულ ტყიდან.  
 გულში სძინავს დუმილს და ნაწილებს წმინდას.

**თარგმნა გიორგი სალუქვაძეს.**



## ტრადიციები — ხელის სამსახური



მიხეილ მშვიდობაძე

### „შუაგორგა“, „კოლხოგა“, „ციგელოგა“...

**უ**კვე ითხი წელა გავიღა მას ზემდეგ,  
ტრაც გამოქვეყნდა საქართველოს კონ-  
არტისტის ცენტრალური კომიტეტის დად-  
გენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-  
ჩიებულებების წინააღმდეგ ბრძოლის გა-  
ძლიერებას ღონისძიებათა შესახებ“. ეს  
იყო უაღრესად ღრმული და საკირო დო-  
კუმენტი, რომელმაც ახალი მძლავრი ბი-  
ძი მისცა რესაუბლიერის იდეოლოგიურ  
ცხოვრებას.

დადგენილების გამოქვეყნებიდან დღემ-  
დე საგრძნობლად გაგანსაღდა მორალუ-  
როლიტიკური კლიმატი, რამაც ბევრ სი-  
კეთებთან ერთად მშრომელი აღამია-  
ნების სულიერი ცხოვრების ძალუმი აღ-  
მავლობაც გამოიწვია. ამას ცხადყოფს  
უკანასკნელი წლების მანძილზე ტრადი-  
ციების საკითხებზე გამოქვეყნებული არა-  
ერთი საინტერესო წიგნი, ბროშურა, სა-  
ურნალო თუ საგაზეთო სტატია, მრავა-  
ლი თეორიულ-პრაქტიკული კონფერენ-

ცია, ლექცია-მოხსენება, მავნე ტრადიცი-  
ების დასაძლევად განხორციელებული  
პრაქტიკული ღონისძიება.

ამას მოწმობს, თუნდაც, უკანასკნელ  
წლებში გამართული სახალხო დღესასწა-  
ულები. საქართველოს პარტიული ორგა-  
ნიზაციების, საბჭოთა ორგანოების, პრო-  
ფესიურულია და კომკავშირული ორგანი-  
ზაციების გაერთიანებული მეცანეობით  
მშრომელთა უოფა-ცხოვრებაში თანდათან  
მკვიდრდება ახალი სახალხო ზეიმები თვა-  
ლასაჩინო მწერალთა და საზოგადო მო-  
ღვაწეთა პატივსაცემად, შრომითი დღე-  
სასწაულები, ქუჩის დღესასწაულები. სა-  
მეცნიერო-კულევითი ინსტიტუტების, უმა-  
ღლესი სასწავლებლებისა და შემოქმედე-  
ბითი კავშირების ხელშეწყობით აღადგე-  
ნენ უძველეს სახალხო ზეიმებს, ფოლ-  
კლორულ-თეატრალიზმებულ სანახობებს,  
ათავისუფლებენ მათ რელიგიური ნაშეო-  
ბისაგან.



რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისძიება ახალი, სოციალისტური საზოგადოების წიაღში აღმოცენებული ისეთი ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, როგორიც არის მამა-პაპათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მემკვიდრეობის ერთგულება, საერთო-სახალხო დღესასწაულების, პროფესიული დღეების, ფართოდ აღნიშვნა.

უკვე რამდენიმე წელია მოქალაქეობრიობა და პოპულარობა მოიპოვებ „გარეჭობაშ“ და „გრემობაშ“. გამდიდრდნენ, სისლავასე და უფრო სრულყოფილ გახდნენ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში აღმოცენებული „ილიაობა“, უკვე ჩვენს დღეებში დამკვიდრებული „შოთაობა“, „ვაჟაობა“, „იაკობობა“, „ვანოობა“ და სხვა.

ცველისა და ახლის ამ დიდებულ სინთეზში, სადაც ყველაფერი ახლით სულაფშულობს და თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე ადის, ცხადად ცხედავთ უიზიკური შრომისა და შემოქმედებითი პათოსის ერთიანობაზე დამყრებული ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების მომავალ არნახულ სიმდიდრესა და სიდიდეს.

**D**ედი, დრომოკმული და მავნე ტრადიციების აღმოსაფხრელად, ახალი თანამედროვე აღათ-წესების დასამკვიდრებლად მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო ორგანიზაციას. პარტიის აქარის საოლქო კომიტეტთან შეიქმნა და ნაყოფერად მუშაობს მავნე ტრადიციების დაძლევისა და შრომელთა ყოფაცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დაწერგვის კომისია. ასეთივე კომისიები ჩამოყალიბდა პარტიის ბათუმის საქალაქო, რიონულ კომიტეტებთან, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიულ კომიტეტთან. მათი საქმიანობა ხანგრძლივი პერიოდისათვის შემუშავებული კომპლექსურ ღონისძიებათა პერსპექტული გეგმით წარიმართა.

პარტიის აქარის საოლქო კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა

შესაბამისად, გააანალიზა პარტიის ჰუცულების მუშაობა ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დასახერგავად, ათეისტური პროპაგანდის მდგომარეობა რესპუბლიკაში, ამხილა არსებული ნაკლოვანებები და დასახა მათი აღმოცხვრის გზები.

დღიდან როლი შესარულა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონცერნებიამ ოქმაზე „თანამედროვეობა და ტრადიცია“, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკონსლინაციო ცენტრმა და საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტმა მოაწყეს.

ახლა აქარაში მრავალი შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. ქედის რაიონის მეცნიერები უკვე ოთხი წელია ზემომბენ მისავლის აღებას. შარშანწინ ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში გამართა მეჩაიეთა პირველი შრომის დღესასწაული, რომელმაც შარშან ქობულეთის რაიონში გაცილებით ფართო მასშტაბი მიიღო. ეს დღესასწაულები თვით ყოველდღიურობამ, ჩვენმა საბჭოურმა ცხოვრებამ შექმნა. ისინი დაბადა კოლეურნებობების, საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებში, უშუალოდ აქ, სადაც კომუნისტური შრომის იდეალების ერთგულება ჩვენი კაცობისა და ღირსების საქმე გახდა.

მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მიიღოვა და შორს გაითქვა სახელი აქარაში აღმოცენებულმა სახალხო დღესასწაულებმა „შუამთობაშ“, „კოლხობაშ“ და „ტბელობაშ“.

**3** კურალება მიაპყრო მალალმთან აქარაში გავრცელებულ უძველეს ხალხურ გართობა-ზემს „შუამთობას“. მავნე ტრადიციების დაძლევისა და შრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დაწერგვის კომიტეტებისათვის შემუშავებული კომპლექსურ ღონისძიებათა პერსპექტული გეგმით წარიმართა.

კიათა პრობლემების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად შეისწავლა ამ ზემობის არსი და შეიმუშავა მისი ახლო-ბორით გასართვის რეკომენდაციები.

ჩევნი წინაპრები უხსოვარი ღრობადან  
მისდევდნენ მესაქონლეობას. მაისში პი-  
რუტყვე მოაში მიერეცებოდნენ, შეუ ზაფ-  
ხულში კი, მინდვრის საბუშაოებს რომ  
მორჩებოდნენ, მთელი ოჯახებით საძოვ-  
რებლე მიღიოდნენ. იქ იმართებოდა გუ-  
ლიოთადი შეხვედრები, ერთგვარი შრომი-  
თი ანგარიშის ჩაბარება, ერთმანეთის გა-  
ცნობა. ყოველივე ამას ახლდა ქართული  
სუფრა, სიმღერა, ცეკვა, მაგრამ ლხინი  
და მოლხენა ღრეობაშია არასოდეს გადა-  
დიოდა. ყველაფერში ზომიერება აღინი-  
შებოდა.

კიდევ ერთი კარგი ოცისება გაჰქვა იმ-  
თავითვე „შუამთობას“. ეს იყო წმინდა  
სახალხო გართობა-სეირნობა, თავისუფა-  
ლი უკველევარი ჩელიგიური დანაშრევი-  
საგან. არავინ ლოცულობდა, არც რამე  
სხვა ჩელიგიურ რიტუალს ასრულებდა  
და უძველესმა ეროვნულმა დღესასწაულ-  
მა უამთა ქარტეხილს გაუძლო, ჩვენს  
დღეებაშეს მოალწია.

ხალხში იგი გულით ატარა და თავისი  
ყოფის ორგანულ შემადგენელ ნაწილად  
აქცია. თუმცა ამ 15-20 წლის წინათ მის  
პირვანდელ ფრომას უცხო მინარევებიც  
დაგემჩნა. შესანიშვნაც ზეიმში სტკიქიურო-  
ბის ულემენტებმა იჩინა თავი. როცა რო-  
მელიმე სასოფლო საბჭოს ან კოლეგიურ-  
ნების მშრომელები ამონავრებდნენ,  
სხვები მხოლოდ მშინ იწყებდნენ „შუა-  
მთობას“. ირლვეოდა ზეიმის ვალები, და-  
ვიწყებას ეძლეოდა შუამთობისათვის და-  
მახასიათებელი სპორტის ისეთი შესაძლე-  
ბუნევი სახეობანი, როგორიცაა ჭიდაობა.  
დღი. ხულოსა და შუახვევის რაიონების  
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესე-  
ბულებები ნაკლებად ზრუნვადნენ ზეიმის  
მონაწილეობითათვის სანახაობითი ღონისძიე-  
ბების: გასამართავად ამის გამო „შუამ-  
თობას“ შეერია ისეთი მახინჯი მოვლენე-  
ბი, როგორიც არის აზარტული თამაში,  
ლოტობა, დებოში. ამან კი ძველებური  
უნი. და თავაზო მთაკონი, ჩრდილი მია-

ყენა მის ხალხურ ტრადიციებს, უარყო-  
ფითი გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო  
სამუშაოების მიზნისარეობაზე, გაახშირა:  
მუშახლის მოცლენა.

ცავდია, ასეთი უარყოფითი მოვლენებისამი შერჩევება აღარ შეიძლებოდა. მავნე ტრადიციების დაძლევისა და მშრომლოთა ყოფა-ცნოვერებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის ხალქი კომისიაშ საქართველოს კომპარტიის ხულოსა და შუალევის რაიკომებთან ერთად შეიმზადა „შუამთობის“ ორგანიზებულად, თანამე-დროვეობის შესაფერისი ფორმითა და შინაარსით წარმართვის ფართო პროგრამა. გადაწყდა, რომ ჭე:მა ყოველწლიურად აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას გამართულიყო, აღმსდგარიყო მისთვის აღრე დამახასიათებელი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების, მუსიკალური საკრავების გამოყენების, გაშაირების, ლექსებისა და ანდაზების თქმის, სპორტული შეჯიბრებების ტრადიცია; დანერგილიყო „შუამთობისას“ კურორტ ბეჭუმსა და გოდერძის ულებელებილზე აღგილობრივ ხალხურ ნაკრთობათა და ქალის ხელაქმის ნიმუშების განთვალისწინება; ზემოს დღეებში გაშლილიყო საშეფო მუშაობა. კოლეგიურნებებს უნდა წვეოდნენ შეფეხი — ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები. წვეოდნენ არა ხელცარიელი, არამედ იმით, რაც სოფელს მეცხვევლეობისა და სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის სტირლებოდა.

ଲିଙ୍ଗ ପରିଶ୍ରମ କେବେଳି ମନ୍ଦିରମାଲାଟି ଆହୁତିକାରିଙ୍କ  
ପଶେ ଧାରମାଵିଷ୍ଣୁଦଙ୍କେନ ପାରତୀଯିତ୍ତା କ୍ରମିତ୍ତ୍ଵ-  
କ୍ରେବିସ, ସାଂକୋଚନିକାରେ ଏବଂ “ପ୍ରଦଳିବି” ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ  
ରୂପସ୍ଥିତିରେ ଉପରେ ଏବଂ ରାଜନୈତିକ ପରିବାର-  
ମାନ୍ୟମାନୀୟ ମନ୍ଦିରରେ ଏବଂ

ତାତ୍କରିମିଳ ପ୍ରସ୍ତରା ମହାଶ୍ରୀ ଗାୟତ୍ରୀକାରୀଦାନ  
ରାଜୀନାନ୍ଦିଲ ଲା ଶାସନପୁଣ୍ୟ ପ୍ରସ୍ତରାଶ୍ରୀରାଜୀ ଶା-  
କଲ୍ପନାଦିଲା ଲା ପ୍ରସ୍ତରାଶ୍ରୀରାଜୀ ମହାତ୍ମାରୀନ୍ଦିଲା. ତାତ୍କରି-  
ମିଳମାନଦିଲି ପ୍ରସ୍ତରାଶ୍ରୀକାରୀଦାନରେ.

ზეიმზე მოიწვევდნენ აჭარისა და მე-  
ზობელი რაიონების (ახალციხე, ასპინძა,  
აღმაშენი) წარმომადგენლებს.

მას „შემდეგ „შუამთობის“, როგორც  
შრომის სახალხო ზექიმის, ორგანიზებუ-



ლად მოწყობისა და ახალი სოციალისტური შინაარსით გამდიდრებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. რესპუბლიკისა და რაიონების პარტული, საბჭოთა, პროფექციაშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მზრუნველობითა და ხელისშეწყობით „შუამთობა“ — ამ დიდ სახალხო ჰერიტაჟის ჩამოსცილდა ზედმეტი, არაგანსაღი ელემენტები. იგი დაინტერი და ახალი, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარების ინტერესებს დაეჭვებოდარა.

ამასთან ერთად საოლქო კომისიამ გადაწყვიტა უკვე შექმნილ და ფესვგამაგრებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ზემზე შეტი ყურადღება დამომბოდა ზეპირი და მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შესრულებას, ღონისძიებებში უშუალოდ მშრომელთა მონაწილეობის გაეტიურებას. შარუჩანდელი „შუამთობაც“ სწორედ რომ ჭეშმარიტ სახალხო ჟეიმად იქცა.

**3** აგვისტო „კომუნისტის“ 1979 წლის 18 ოქტომბრის ნომრის მოწინავე წერილში „ხალხი ამკითხებს“ ნათეავამი იყო: „ამას წინათ პრესა იუწყებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარუში შესანიშნავი სახალხო დღესასწაული „კოლხობა“. მისი გამართვის მოთავენი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და სარფელი კოლმეურნები არიან. „კოლხობა“ თავისი ფორმითა და შინაარსით გეშმარიტი თანამედროვე სახალხო დღესასწაულია, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი ხალხური შემოქმედების უკვდავება და მარადილულობა“.

მართლაც რომ უაღრესად შთამბეჭდავი და დაუვიწყარი იყო უველავერი, რაც გახსული წლის 22 სექტემბერს სოფელ სარუში ვნახეთ და განვიცადეთ. ზეიმით დღის სა საათზე დაიწყო „ქვაომხაზეს“ — სოფლის შესასვლელთან აღმართული ზეარმაზარი ლოდის მახლობლად, რომელსაც ძველი ლაზები „აღიღილის დღის“ წინშელობას ანიჭებდნენ.

უკვე „ქვაომხაზედან“ საზეიმოდ იყო

მორთული სარეფი. უზარმაზარ ლოდგებულ ძველ კოლხურ სამოსელში გამოწყობილი შვბითა და მახვილით შეიარაღებული ჭაბუკები გაქვავებული იღვნენ. უშაბავლელს კოლხების ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ნახატებია ამშვენებდა...

მიტინგზე გამოვიდნენ ხელვაჩაურის სახალხო დებუტატრა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რევაზ ბაკრაძე, ვანო საჩაგიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გრიგორი ჩხივაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტატი კოლეგიუმილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისტიკისა და დიალექტოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ თანდილავა, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნადიმ ნიურაძე.

ამ მიტინგმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, თუ რა ძირძელი და ძლიერია ჩვენი ერის მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი გზა, ჩვენი ხალხის ყოფა და ცხოვრება.

დღესასწაულს შნო და ლაზათი შემატა საჩიის საშუალო სკოლაში მოწყობილმა ნიჭიერი თვითმოქმედი ლაზი მხატვრის ხასან პელიმიშის სურათების გამოიფენამ; არგონავტების მითისა და ცეკიპიდეს „მედეას“ მოტივებზე განხორციელებულმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომითიციამ, „კოლხობისადმი“ მიძღვნილმა საზეიმო კონცერტმა, რომელშიც მრავალმა თვითმოქმედმა კოლექტივმა და ინდივიდუალურმა შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა.

ეს ზეიმით დაკავშირებულია ძველ კოლხებთან, შავი ზღვის სანაპიროზე რომ ცხოვრობდნენ, და აღინიშნება ჩაის სეზონის დამთავრებისა და საშემოდგომო თევზების სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, თევზებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრების ეკონომიკაში უკანასკნელი ადგილი როდი ეჭირა.



ლაზებმა ისტორიულად უძლიერეს შეჯდვაურთა სახელი დაიმკიდრეს. შე-19 საუკუნის ცნობილი უურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის სიმბოლური თქმით, ლაზეთის „მთელი ცხოვრება, მთელი მისი წარსული, აწყვო და მომავლის ბედი ზღვის ზეირობებს მიაქვთ და მოაქვთ“.

ლაზთა ყოფა-ცხოვრებაში ზღვის სამეურნეო მნიშვნელობამ და ზღვის სიყვარულისა განაპირობა მთელს ლაზეთში ფართოდ გავრცელებული დღესასწაული, რომელიც აღრე „ზღვის დღე“ იყო მიჩნეული.

აკადემიკოსი ნ. მარი 1909 წელს თურქეთის ლაზეთში შეცნიერული მოგზაურობისას მოწმე გახდა ამ ხალხური ზეიმისა. იგი მას ერთ-ერთ უძველეს, მაგრამ უკვე „მომაკვდავ ლაზურ დღესასწაულს“ უწოდებს.

დღეს ეს ტრადიცია ახალი ძალით აღორძინდა და მას საცხებით სწორედ „კოლხობა“ დაერქვა. ეს თითქოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კოლხთა უდიდეს დამსახურებას ქართული ეროვნული კულტურის წინაშე.

შეარჩანდელი „კოლხობა“ თუმცა ერთ სოფელში გაიმართა, მაგრამ მაინც ფართოდ აღინიშნა. ზეიმს ესწორებოდნენ აკონიმიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თბილისელი, სოხუმელი, ფოთელი, ზუგდიდელი სტუმრები.

სარტყელთა შესანიშნავი თაოსნობისადმი გამოჟღავნებული დიდი ონტერენცი ცხადყოფს, რომ „კოლხობის“ ლოკალიზება აღარ შეიძლება. მომავალში იგი გაიმართება, როგორც აქარის ზღვისპირეთის დღესასწაული. შეიქმნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს ზეიმის მოწყობის კონკრეტულ გეგმას იმ ვარაუდით, რომ მას უფრო ფართო მასშტაბი მოუპოვოს. „კოლხობაში“ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ბათუმის საზოგაოებრივისასწავლებლის, № 1 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სახწავლებლის აღსაზრ-

დელები, სამხედრო-საზღვაო და საგამრიულო ტლობების ვეტერანები.

ვინ იცის, იქნება „კოლხობა“ მთელი საქართველოს ტრადიციული ზღვაოსნობას დღესასწაული განხდეს!

**პ**ასშლები წლის 13 ოქტომბერს ხულოს რაიონში გაიმართა რუსთაველის უმცროსი თანამედროვის, აჭარის ერისთავთერისთავთა სახლის შთამომავლის, XIII საუკუნის დიდი ქართველი მწერლისა და მიაზროვნის ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სერთო-სახალხო დღესასწაული „ტბელობა“.

დღესასწაული დაიწყო უურტიოს თალვანი ხიდიდან, სადაც სტუმრებმა ნახეს „ტბელობის“ ემბლემა — ბეჭდურად გამრავლებული ტბელ აბუსერისძის პორტრეტი სხალთის ტაძრის ფონზე და ლოზუნგი: „ვაკციონ „ტბელობა“ ტრადიციულ ლიტერატურულ დღესასწაულად!“.

ძველისძველ ხიდზე პიონერები ჩამწყრივებულივნენ. „ტბელობის“ მონაწილეებს მიესალმა ხულოს სახალხო დეპუტატების რაიოსაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდების ნეტის გამგე დამიტრი აბულაძე. მოსწავლეებმა შეასრულეს ლიტერატურულ მონტაჟი „გზაჲრო, აუწყევ სხალთას, რომ ტანკების ფასად ძველი დიდება შემოვინახეთ!“.

სხალთის ძველ ტაძრში საზეიმოდ გაიხსნა ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. პირველი ექსპონატებია აქარის მატრიცასური კულტურის ძეგლების რუკა და ფოტოსურათები, ტბელ აბუსერისძის ხელნაწერთა ფოტოსირები, ქვის ჩუქურთმა, ხის ორნამენტი, სამეურნეო დანიშნულების ნივთები წნევი, კახარევა (შატყლის საძახვი), საქსოვი დაზგა, ხიხა და თიხის ქოთნები, გამები, ციცქვები, კარლლები, კევრი, ფარცხი, პაიკები, წინდები..

იმავე დღეს ტაძრის უძველეს დარბაზში გაიხსნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. გამოვიდა სახალხო უნივერსიტეტის რეკტორი, სხალთის სახოლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნაზა სურმანიძე. კარგ წამოწყებას მიესალმა



საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, რესთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი ფრიდონ ხალვაში.

პირველი ლექცია ქართული ლიტერატურისა და კულტურის უძველესი ფეხების შესახებ წაიყითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ.

ჭერმალალი ტაძრის თაღდები ძველმა ქართულმა სიმღერებმა აავსეს. ქალთა გუნდს ახალშექმნილი ხასალხო უნივერსიტეტის რექტორი ნაზი სურმანიძე ლოტბარიბათ.

კლდეში აღმოჩენილი მე-12 საუკუნის ქართული მარანი მნახველს იტაცებს თავისი ქვევრებით, ანთებული ნიშებით, ძველი ინტერიერით. ძველ ქვევრებში ახალი მაჭარი დუღს. ზეიმის მონაწილენი სავსე უიალებით ლოცავენ პირველ „ტბელობას“.

დიდადალ ხალხს მოყეარა თავი სოფლებში ვერნება და თხილვანაში აღმოჩენილ უძველესი კულტურის ნაშთებთან. ეს ადგილები XIII საუკუნეში აბუსერისძეთა ხაცკვალრებელი ყოფილა. თხილვანაში, წმიდა იოვანე მახარებლის ეკლესიაში. განისვენებენ ტბელ აბუსერისძე და მისი სახლოვანი და-ძმანი.

ზეიმის მონაწილეებმა უდიდესი ინტერესთ დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩენილი ამ ეკლესიის საძირკველი.

ხიხაძირის საშუალო სკოლის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტის მდგვანი ნანი გუგუნავა, პარტიის ხულოს რაიკოში პირველი მდგვანი თამაზ ტუნაძე, პროფესორები იოსებ მეგრელიძე, გურაშ შახაძე, ნადიმ ნიუარაძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი მწერალი ვახტანგ ჭელიძე, პოეტები ფრიდონ ხალვაში, მამია ვარზანაძე, ჯემალ ქათამაძე, ჯემალ ჯაყული, ხიხაძი-


რის სასოფლო ხაბჭოს აღმასკომის თავისუფლების მქონემარე ასლან მიქელაძე და ხევები. მთა ილაპარაკეს ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე, მისი სიტყვისა და საქმის უკვდავებაზე.

**3** ლექცია „და ..ტბელობა“ წინ უხმირებდა „მცხეობას“ და „თბილისობას“ და დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა.

ცხადია, მომავალში კიდევ უფრო დაიხვდება ამ დღესასწაულების ფორმა, ახალი ნიუანსებით შეივსება მათი შინაარსი, ყველაური გაკეთდება დიდი მწერლისა და მოაზროვნის შემოქმედებით მეცნიერების მეცნიერული გამოცემისა და შესწავლისათვის, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარიზაციისათვის. ეს შესაძლებლობას მოგვცემს „ტბელობა“ არა მარტო ხულოს რაიონის, არამედ მთელი ქართველი ხალხის ერთ-ერთ საუკარელ ლიტერატურულ ზეიმად ვაქციონა.

დელი ტრადიციების წილში აღმოცენებული სახალხო დღესასწაულები, რომელმაც წარსულისაგან აიღეს რაციონალური შარცვალი და ახალი შინაარსი შეიძინეს, ახალი დღესასწაულები, რომელთა აღმოცენება მხოლოდ ჩვენს დღევანდელობას უკავშირდება, ნათლად მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მორალურ-ფინანსობის გურური ატმოსფეროს განანსაღების შეღებად მშრომელმა ადამიანთა სრულად შეიგრძნონ ნამდვილი შემოქმედებითი თავისუფლება, ალიდგინა საკუთარი ძალების ჩრდენა და მატერიალური დოკუმენტის წარმოებასთან ერთად აქტიურად ჩაება მაღალ სულიერ ფასეულობათა შექმნისათვის ბრძოლაში.

სახალხო დღესასწაულები არა მარტო გამომვიდემ ჩვენი დღების გმირების ამაღლებულ გრძნობებს, არამედ წარმოჩენების ეპოქის ხულს, ადიდებენ ქართველი კაცის მარჯვენას, მომავლის საკეთილდღო მის შრომით თავდადებას.



ავაზ თვარები

## პრიციპული მოცოლობი ციტაციებითარი

„ჭოროხის“ რედაქციიდან ტელეფონით დამირეკეს (ბათუმიდან თბილისში), მთხოვეს ჟურნალისათვის სტატია დამწერა. თემა — აჭარა და გალაკტიონი, აჭარა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. ვადა — ერთი თვე.

გავძრიყვდი და დავთანხმებარის თქმა აღარ ეგების — პირობა პირობა, სიტყვა სიტყვა, რაკი წამოისროლე, „ქამანდითაც ვეღარ დაიბრუნებ“.

გადის ერთი კვირა. თავს იმას ფიქრით ვინუგეშებ, რომ ეს არას „მოსამზადებელი პერიოდი“: თემას უნდა შეეგუო, უნდა მოიშინაურო, გაითავისო. ცნობიერებაში გაბნეული სათქმელი თავისთავად მოიყრის თავს, შენივთდება, შემოგაწვება და, რომ არ ელოდები, მაშინ აგაღებინებს კალამს ხელში.

გადის მეორე კვირა. თქვენც არ მომიკვდეთ, არაუერი გამოდის. ერ-

თი ხეირიანი აზრი რაა, ისიც არ ვამჟაჭანებია. გვარიანად შეფიქრიანება ნერვიულმა დამაბულობამ შეცვალა.

შესამე კვირა იწურება. იმერეთში რომ იტყვიან, მეტი არა ჩემი მტერი. მეტი არა ჩემი მტერი, მე იმ სტატიის დაწერა ვერ შევიძლო.

სირცხვილი და თავის მოჭრა! ახლა კეთილი ინებე, აიღე ყურმალი და ბათუმი შეუკეთე. ანდა, სტატიის დასაწერად გამზადებულ ქაღალდზე საბოლიშო ბარათი გააშანებულე. დროულად მაინც მოგებოდიშებინა!

არა, არ შეიძლება, არ იქნება, არ იქნება!.. „არ იქნება, რომ სამშობლო გალაკტიონს არ ახსოვდეს, არასოდეს, მეგობრებო, არასოდეს, არასოდეს!“.

ასეა. სიტყვას ვერ იტყვი, გალაკტიონის რომელიმე სიტყვა, გამოთქმა, სტრიქონი, ლექსი რომ

არ აგეკვიატოს. ეს არ გავიწყდება, გველაფერი რომ დაგავიწყდეს... გველაფერი რომ დაგავიწყდეს? „არ დაგავიწყდეს ოქროს საღამო, არ დაგავიწყდეს მზის ჩასვლა ზღვაზე, მიზეზის სხვისა და სხვისა ვამო, გთხოვ, არ იფიქრო მხოლოდ ღელგაზე. არ დაგავიწყდეს პალმა, ლიანა, გეტყვი, თუნდ გული ჩემი დამიწდეს, არ დაგავიწყდეს ჩვენი ქვეყანა, ყველაფერი რომ გადავიწყდეს“...

ასეა. მაგრამ ეს ვერაფერს შველის შესს გაჭირვებას. აიღე ყურმილი და შეუგვეთე ბათუმი. დიახ, ბათუმი. „ბათუმი!.. მისი ზეცა და გემი, იმისი მიწის ხმა საჯაღოქო, სად დაიბადა სიმღერა ჩემი: „ოქრო აჭარის ლაჟვარდი“ — ოქრო“.

აწ უკვე ძნელია თავის დაოკება. ნიაღვარიით მოსკდება, ერთომეორეს გადაებმის სტრიქონები:

შიუვარს ბათუმი... მისი ბუნება,  
მის ოქრორეულ ლაჟვარდთა ბლონდი,  
მისი ზღვის მძლავრი აგუგუნება,  
მისი ზენიტი და ჰორიზონტი.  
მიდის გამზირი სწორ ისარივით,  
ცურავს ფოთლებში სუფთა და ჩუმი.  
ფლორის სიმშვიდით და გადარევით  
სავსე ლაჟვარდი — მიუვარს ბათუმი.  
ვერც ისე საშიშ წვიმების ჩშირი  
და მხიარული ულტიმატუმი  
ზექმდებს, რომ გულის გულთან კავშირი  
ზეწყვიტოს, ისე მიუვარს ბათუმი...

დიდი უცნაურობაა ლექსის, სტრიფის, სტრიქონის გახსენება. ოღონდ უფრო მეტი უცნაურობა ჩვენი ჩვეულება გახლავთ: საყვარელ სტრიქონთა გახსენებისას



იმის ცდაში ვართ ხოლმე, სხვასაც — მოსაუბრეს, მსმენელს, მკითხველს — შევახსენოთ ეს სტრიქონები. თითქოს აუცილებელი იყოს, რომ შენთვის მვირფასი სტრიქონები იმ წუთას შენი მოსაუბრის, მსმენელის თუ მკითხველისათვისაც შეულეველი შეიქნეს, მასაც მსგავსი სიხარული განაცდევინოს.

მით უმეტეს, როცა გალაკტიონისნაირ პოეტს ეხება საქმე. გალაკტიონ ტაბაძის პოეზიით კოლექტიური ტკბობა შეუძლებელია. მისი ლექსები მარტოდ მყოფმა უნდა იკითხო, ჩუმად, ხანგრძლივად. უნდა მოეფერო მის სტრიქონებს, ელოლიავო, სასხვისოდ



არ უნდა გემეტებოდეს. მისი სტრი-  
ქინების კრიტიკულ წერილში ცა-  
ტირება საცოდაობაა ნამდვილი.  
კრიტიკის უპირველესი მიზანი  
ანალიზია და გალაკტიონის ლექ-  
სის გაანალიზება, თქმულა უკვე,  
ლამის გაწირული ცდაა.

ფიზიკოსთაგან გვსმენია დაახ-  
ლოებით ამდაგვარი რამ: არსე-  
ბობს მატერიის ნაწილაკები, რო-  
მელთა დანახვა ვერანაირი სიძლი-  
ერის მიკროსკოპით ვერ ხერხდე-  
ბა. მათი ხილვის ერთადერთია  
საშუალება იქნებოდა რომელიდაც  
ელემენტის ზედ დასხივება, მაგ-  
რამ უბედურება (თუ ბედნიერება?)  
ისაა, ამგვარი დასხივებისას ის  
ნაწილაკები სულაც იშლება და  
უჩინარდება საბოლოოდ.

ამგვარად უნდა იყოს გალაკტი-  
ონ ტაბიძის პოეზიის საქმეც: მო-  
ანალიზე მშერა თუ არ დაასხივე,  
ისე ვერ გაიცნობიერებ, ვერა-  
ფერს მიუხვდები მისი ლექსების  
მომზიდვლელობის საიდუმლოს.  
ხოლო ანალიზს მიმართავ თუ არა,  
ეს მომზიდვლელობა, ეს მშვენება  
მაშინვე ხელიდან გეცლება და  
უჩინარდება.

ინდური იგავი მაკონდება აგ-  
რეთვე: ერთმა მარილის თოჯინამ  
ოკეანის სიღრმის გაზომვა მოიწა-  
დინა, მის სიღრმეში ჩაეშვა იმას  
დამვიწყებელი, თავადაც მარილი-  
სგან შექმნილი რომ იყო, და ისე  
განზავდა ზღვის წყალში, საწა-  
დელს ვერ ეწია.

ეს იგავი სხვა, განუზომლად უფ-  
რო დიდი აზრის გასამხელად არის  
მოთხოვნილი, მაგრამ ჩვენს შემ-

თხვევასაც მიესადაგება კრიფთი-  
რად: გალაკტიონ ტაბიძის პოე-  
ზიას ვერაფერს გაუგებ, მის უღ-  
რმებს შრეებში თუ არ დაინოქი.  
ოღონდ, დაინოქები თუ არა, ისე  
განზავდები მასში, სიღრმის გა-  
ზომვა აღარ დაგცალდება.

არადა ამგვარი გაზომვის, ანა-  
ლიზის, შეცნობის გარეშე ვართ  
ასე ზედაპირზე მოტივტივენი და  
ციტატების დახვავება შემოქმე-  
დების წვდომა გვვონია.

თუმცა რა, იგივე არ გვემართე-  
ბა, აღტაცების გამომხატველ წყალ-  
წყალა ფრაზებს რომ დავახვავებთ  
ხოლმე ამა თუ იმ პეიზაჟის გამხ-  
სენებელნი? იმას ვეღარ ვითვა-  
ლისწინებთ, არამცუ მთელი პე-  
იზაჟი, ყოველი უბრალო ფოთო-  
ლიც კი სასწაული რომ არის თა-  
ვისთავად და ამ სასწაულის წვდო-  
მა ტურისტული გასეირნებისას ვე-  
რასგზით ვერ მოხერხდება. სივრ-  
ცედ განფენილის გარდა სიღრმი-  
სეულსაც თუ არ სწვდება სული,  
უკეთ რომ ვთქვათ, იმ სიღრმეს  
თუ არ არის ნაზიარები იმთავით-  
ვე, ვერც გარესამყაროს მიმოხი-  
ლვისას და ვერც პოეტურ სახეე-  
ბად მისი გარდათქმისას სახეიროს  
ვერაფერს ეწევა.

მრავალი და მრავალი პოეტი-  
საგან განსხვავებით, მშობელი  
ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის პოე-  
ტურ ფოკუსში მოქცევისას გალა-  
კტიონ ტაბიძე არასოდეს კადრუ-  
ლობს ტურისტულად ზერელე მი-  
მოხილვას. ქართლიც, კახეთიც,  
ფშავ-ხევსურეთიც, მესხეთ-ჯა-  
ვახეთიც, იმერეთიც, რაჭა-ლეჩხუ-



მიც, გურიაც, სამეგრელოც, სვანეთიც, აფხაზეთიც და აჭარაც მისთვის გასასეირნებელი მხარე ან თუნდაც მამულიშვილური ვალის მოსახდელი თემების წყარო კი არ არის, არამედ — ტკივილამდე მისული სიყვარულის საგანი, უღრმეს სულიერ წვდომათა აღმძერელი.

საგულისხმო ისაა, ეს მაშინაც კი ხერხდება, როცა მიმქროლავი მატარებლის სარქმლიდან არის დანახული ესა თუ ის პეიზაჟი. ასეთ ვითარებაში ტურისტის კი არა, თვით ჩვეულებრივი მგზავრის ზერელე აღქმის მეტი თითქოს არაფერი უნდა შეგვრჩენოდა ხელთ. მაგრამ ვკითხულობთ ქართლის პეიზაჟებით შთაგონებულ ერთამეორეს მომყოლ ლექსებს („ავჭალის იქით“, „ზაპესთან“, „მცხეთამდე“, „მცხეთიდან“, „რა მშვენიერი მინდვრებია“, „გავსცდით ხანდაკს“) და, სხვას ყოველსავეს რომც დავვხესნათ, სამუდამოდ გვამახსოვრდება შავოსანი ქალი, მწუხარედ რომ მიემართება სადღაც და თან ერთი ლექსიდან მეორეში გადადის საკვირველ ჩვენებასავით: „შორით კი ქალი ახალგაზრდა, როგორც ნაკვეთებს, შავით მოსილი მწუხარებით მიჰყვება ახოს“. და სხვა ლექსში: „და ის ქალი კი (ეხლა მაღვე კავთისხევია) იმავე მღვრივ გულგრილობით მიჰყვება ახოს“.

ამიტომ მოულოდნელი აღარაა. აჭარაშიც რომ იგივე ხდება. ესე იგრ, თითქოს გარედან თვალის

ერთი მოვლებით დანახული პერიოდის გადრა-ზაუიც კი სათუთ სულიერ ვიბრა-ციებს ეხმიანება:

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა! ჩამავალ შეეთა უკანასკნელი და სისხლიანი გზა ჩაიჭალა. ჩემი გულია — მშვენიერ მაისს ხვეწად მუხლებში რომ გუვარდები, სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის და უყვათლესი ჩაის ვარდები. რა არის წერავ ქვეყნად მისთანა, რომ გამიცივოს გული მისდამი, მიჩვენოს საღმე აჭარისთანა სხვა რომელმე კუთხე ახალი, ახალგაზრდობის დღე, საიდანაც ჩემგან პირველად ზღვაა ნახული, მიჩვენეთ საღმე ზღვა ამისთანა, ან მოები ზღვაზე გადასახული...

ხოლო უფრო ადრე, ოცდაათიან წლებში, სასტიკ სულიერ დეპრე-სიაში დანოქმული პოეტისათვის იგივე პეიზაჟის ხილვა სხვაგარ ვიბრაციათა აღმძერელი, ძნელიდ გასაძლებ სულიერ სატკივართა გამხელის საბაბი იყო:

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა, თავმიღებული აჭარის კალთებს, რაც დატეხილა ჩემს თავზე რიცხვა, თქვენს მშვიდობიანს საცდეს ხომალდებს. სხვას თუ არ უნდა ამის გაეძება, შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვა, — რომ ქვა არა ვარ და ქნიდაკება, არამედ კაცი რწმენით და იცვით. რომ მომავალშიც ავიტან მრავალს უამინდობას, წყურვილს, სიცოცხლს, ოლონდ ვხელავდეთ ჩვენ წინ მიმავალს ერთი იმედის შუქს მოციმციმეს. დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს, შეურაცხოფის სუსხსაც ავიტან, ოლონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს ჩემი სამშობლოს სანახავიდან.

მარტოობასაც აფიტან მწარეს,  
უშეგობრობას ავიტან მითინეს,  
ჩემი სამშობლოს სანახავიდან  
ოღონდ ვხდავდე შუქს მოცივიშეს.



„ჩვენ, ვითარცა ხედავთ, ზღვისა  
რა ათურთით (სრულებით) გამოც-  
დილება არა გვაქვს“; — ჩიოდა  
მეთერთმეტე საუკუნეში დიდი ქა-  
რთველი — გიორვი მთაწმილელი.  
ეს საწუხარი შემთხვევით არ გა-  
მოთქმულა. პელაზგური, ეტრუს-  
კული, ძელკოლხური ზღვა-  
ოსნობის ტრადიციები, ძნელად  
ასახსნელ მიზეზთა გამო, შეა სა-  
უკუნეთა საქართველოში თითქმის  
სრულებით გაქრა. და მოხდა პა-  
რადოქსი: თავისი შინაგანი ბუ-  
ნებით დასაკლური, ხმელთაშუა  
ზღვის აუზის კულტურისეკენ თავ-  
გადაკლულად მიმსწრაფი, ზღვის  
პირას მოსახლე ერი რაღაცნაირად  
მოსწყდა ამ ზღვას, ზურგი აქცია.  
იმავე ბიზანტიასთან დასაკავში-  
რებლად სახმელეთო გზებს ამ-  
ჯობინებდნენ ხოლმე ზღვისას. თუ  
შეხსიერება არ მდალატობს, ჩვენს  
საისტორიო ქრონიკებში ვერსად  
წავაწყდებით ცნობას, რომელაც  
დაგვადასტურებდა, რომ ქართვე-  
ლობას ფლოტი თუ არა, რამდენი-  
მე გვში მაინც ჰყოლოდა. სამაგიე-  
როდ ბიზანტიური გემების შესახებ  
არცოუ იშვიათად არის საუბარი  
და ვახტანგ გორგასალის ბიოგრა-  
ფია იმასაც გვამცნობს — ბიზანტი-  
ის იმპერატორმა ხუთასი ხომალ-  
დი გამოვზავნა და თითოეულ ხო-

მალღში ხუთას-ხუთასი მეტამორფიზა  
იჯდა! ეჭყობა, ზღვის ნაპირას  
გაშენებული კონსტანტინეპოლი-  
დან და ზღვას დიდად დაშორებუ-  
ლი თბილისიდან ქვეყნის მართვა-  
განმგებლობა საიმდროოდ განსხ-  
ვავებულ კონცეფციებს წარმო-  
შობდა ზღვაოსნობის განვითარე-  
ბის საკითხებზე.

მართალია, ერთი (ერთადერთი!)  
ხალხური ლექსი, თამარ მეფისად-  
მი მიძღვნილი, გვიდასტურებს, —  
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, შიგ ჩა-  
სხა ქართველთ ლაშქარიო, მარ-  
თალია, რუსთაველისთვისაც თი-  
თქოს უცხო არ ჩანს ზღვაზე მი-  
მოსვლისა და საზღვაო ბრძოლათა  
ნიუანსები, მართალია, ტრაპიზო-  
ნის სამეფოს დაარსებაც საზღვაო  
სივრცეთა დაუფლებისკენ ქართვე-  
ლთა სწრაფვის ერთგვარ გამოხა-  
ტულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ,  
შაგრამ ერთიც, მეორეც და მესა-  
მეც თამარის სახელს, მის დროს  
უკავშირდება და სხვა თითქოს აღ-  
არაფერი მოწმობს, რომ ან მანამდე,  
ან შემდგომში, ავერ ახალ დრომდე,  
ქართველობას ზღვისა და ზღვისპი-  
რეთისთვის მიეხედოს როგორც რი-  
გი და წესია.

ხოლო ახალმა დრომ, დაწყებული  
მეცხრამეტე საუკუნიდან, სხვა პრო-  
ბლემათა გვერდით ეს პრობლემაც  
მთელი სიმწვავით წამოჭრა. ამ თე-  
მაზე სიტყვის გაგრძელება აუცილ-  
ებელი აღარც არის, ისედაც კარგა-  
დაა ყველასთვის ცნობილი, როგო-  
რია აწინდელი ვითარება. ამ შემთ-  
ხვევაში ჩვენთვის მთავარი ისაა,  
გალაკტიონ ტაბიძე ერთი პირველ-


თავანი იყო ქართველ მწერალთა შორის, ზღვისა და ზღვისპირეთს რომ მაპყრო მახვილი მზერა.

ნიშანდობლივია, რომ ეს მზერა, ფოვლის უწინარეს, საქართველოს საზღვაო კარიბჭეს – ბათუმს და, საერთოდ, აჭარას მისწვდა.

ამის შედეგი იყო მომცრო ფორმატის ერთი ძვირფასი წიგნი, ამ ოცდახუთმეტი წლის წინათ ბათუმში გამოცემული, დღესდღეობითაც რომ გვხიბლავს თავისი განუმეორებელი ჩანაფიქრითაც, აღნავობითაც, ეროვნული, სახელმწიფური აზროვნების სიმაღლითაც და წმინდა პოეტური ღირსებითაც, „ოქრო აჭარის ლაშვარდში“ ერქვა ამ წიგნს. ყოველ ლექსს „ვეფხისტყაოსნის“ ესა თუ ის სტრიქონი

წერილი წამძლვარებული ეპიგრაფის საფუძვლის ფაზად, რაც აგრეთვე განუმეორებელ სურნელს ანიჭებდა საკუთრივ გალაკტიონის სტრიქონებაც და, პოეტურ განწყობილებასთან ერთად, კიდევ სხვა მრავალ, მრავალ საფიქრალსაც აღგვიძრავდა.

კარგა ხნის წინანდელია ეს ამბავი, ჩემი თაობის სიჭაბუკისდრო-ინდელი. მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა ცხოვრებაშიც, პოეზია-შიც. მაგრამ მშვენიერებისადმი ჩვენი დამოკიდებულება არ შეცლილა და ნურც შეცვალის ღმერთმა! ამიტომ არის, რომ სიამენარევი სინანულით ვიგონებთ ხოლმე იმ ძვირფას წიგნს, აწ უკვე გამქრალს, ბიბლიოთეკებშიც რომ ყველგან ვეღარ მიიკვლევა...



## „დამითმა წუთი სალაპარაკო“ ...

ჰე, ქვაომხაზე, შენ არ ბერდები,  
მიცნობ, თუ ხსოვნის მომავე ბინა,  
მე, გუშინდელი ბავშვი, ვთითრდები,  
შენ დგეხარ, როგორც იდექი წინათ.

### ხასან ჭალიშვილი

სახლვრისპირა სოფელ სარტყეს „ქვაომხაზე“. უზარმაშარი, ციკლოპური ლოდა კლდეს მოწყვეტია უზსოვარ ღროში და ზედ ნაპირან ზღვაში ჩამხნილა. მას მერე აქაურ მცხოვრებთა, ლაზთა, მრავალი ზღაპრისა თუ ლუგნიდის თემად ქცეულა იგი.

ერთ ღროს სამხერეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისაირეთში კიდით კიდემდე განცენილი ლაზიკა აწ მხოლოდ ერთი პატარა სოფლით, სარტყით, ანუ მოლენი სარტყით წარმოგვიდგება.

ორი ადამიანის სახელი უნდა ვახსენოთ ამჟერად, სახალხო საქმისათვის თავდადებული ორი კაცისა, რომელთაგან ერთი ამ ბრძოლის ვზამ მთელს პლანეტაზე სახელგასმენილი პიროვნება გახადა, მეორე კი...

პირველი ნაზიმ პიქმეთია, თურქი ხალხის დიდი შვილი, შესანიშნავი პოეტი და ერთა ძმიბის მომღერალი. მეორე ხასან პელიმიში გახლავთ, ჩვენებური, ლაზი. ნაზიმ პიქმეთის სახელი დღეს მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების საშუალებისთვისა გაიგივებული. სამაგიროდ, ხასან პელიმიში ისე-ვე უცნობია თითქმის უკელასათვის, როგორც მისი შესანიშნავი შემოქმედება, მისი პიროვნება და კაცური საქმეები, ნაზიმთან ერთად რომ უკეთებია ოციანი წლების თურქეთში.

ახალგაზრდა თურქთა მოძრაობის მონაწილე იყო ორთავე. ნაზიმს ბურხას ციხეში მსუბინეს ბნელი საკანი ხანგრძლივი ღროით. ხასან პელიმიში კი, ორთახოველი მეწალის შვილი, გამოეწევა უცველ სიკედილს და ხწორებ „ქვაომხაზეს“ მოადგა გამოენისას ნავით.

ეს ამბავი 1931 წლის გაზაფხულზე მოხდა.

მასავით მიიღეს სარტყელებმა მათი შეზობელი და მოკეთე. საბჭოური ცხოვრების წესს აზიარეს, სამოსახლოც მისცეს და სამყოფელიც.

ხასან პელიმიშის პიროვნება ჩვენთვის უბირველესად იმით არის საინტერესო, რომ აგრე, სულ აბლახან, ამ ხახელს მიღვა უაღრესად თვითმყოფადი და თავისებური მხატვარი აღმოვაჩინეთ. ცოტა უფრო ადრე კი მასში კარგა მოზრდილი, გალვივებული მარცვალიც შევინიშნეთ პოეტისა. მაგრამ ეს უკეთები ხ. პელიმიშის სიკედილის შემდეგ გამოჩნდა ასე თვალნათლივ. სიცოცხლეში სულ სხვა ცხოვრება პეტრიდა, ერთობ გაუხარელა ცხოვრება ბედისაგან ვაგლახად ნამუნნათები კაცისა.

ძნელია მიბუვე კვლევა-ძიების ნაცად ხერხებს და მეტ-ნაკლებად მაინც წარმოაჩინო ამ შემოქმედის მოღვაწეობის სურათი. მხატვრის პირად არქივში, მი-



ხი შეგობრებისა და ოქანის წევრების მონათხოვბში ფრაგმენტულად აირეკლა ხასან პელიმიშის ცხოვრების ძირითადი მომენტები. აღნათ, ეს იმის ბრალიცა, რომ ერთ ადგილას დიდხანს არ უცხოვრია, გამუდმებით კარგადა შეგობარსა და შეზობელს, უფრო სწორად, თავად ეკარგებოდა მათ და ახალ გარემოში მოქცეული, ველარ ეთვისებოდა ტომითა და ხასათით უცხო...<sup>1</sup>

ერთადერთი, ყველა მშენებელი საინტერესო საბუთი, რაც ხ. პელიმიშის ცხოვრებაზე თვალის გადევნების საშუალებას იძლევა, მისი შრომის წიგნაკი გახლავთ. გაყვითლებულ, გაცრეცილ უურცებას ათობით გერბიანი და უგერბო ბეჭედი აჩინს. უახრავი დიდი თუ პატარა ქალაქის მისამართი სწერია შეაგ. ზოგი ადგილი სავსებით უცნობია ჩვენთვის, თუმცა, მათთვის, ვანც იქ ყოფილა, ბევრისთვე მეტად და სიკეთლამდე დაუკინარის...

ხასან პელიმიში 1907 წელს დაბადებულა სოფელ ირთახოვაში, სარფიდან ორიოდე საათის სავალზე. ოქანის ერთადერთ შეკილს მამისაგან მეწალეობა უსწავლია. აბა, რას აფიქრებდა უმაწვილი ხასანი მაშინ, რომ სწორედ ეს ხელობა იქნებოდა წლების მანძილზე მისი მარჩენალი.

ქვემ იყო და ბათუმის ტუავის ქარხანაში მუშაობდა ხასაზად. მისი იმდროინდელი ყმაწვილური გატაცება მხატვრული ფოტოგრაფია ყოფილა. იმხანად აფხაზეთან ლაჯებში მოკეთები აღმოჩენია და სოხუმში გადახულა. ეს პირველი, ნებაყოფლობითი გადახვლა მეტად მნიშვნელოვანია ამბით დაგვირგვინდა. 1932 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა ლენინგრადში გაგზავნა სასწავლებლად, ეს წ. ეროვნულ უმცირესობათა ინსტიტუტში. მისი სტუდენტობის შეგობრების, პროფესორ ისტებ მეგრელიძისა და სარფელი მამია შემიზიშის შეზვეობით შემოქმედის ცხოვრების ეს პერიოდი გაცალებით ზუსტ, დაღვენილ თარიღებშია მოქცეული.

აქედან მოყოლებული, იწყება ახალი


ცხოვრება მხატვრისა, რომელსაც ძნელია უწოდო უბრალო, რამეთუ მის ბის მიზანი იგრძავაში მითიური და პოეტური ხაწყისი ისევე სპარბობს ყოფითს, როგორც მისივე ნახატებსა და ლექსებში.

პროფესორ ი. მეგრელიძეს, შავინ თავად ახალგაზრდას, შემთხვევით გოუშენია ლენინგრადის ქუჩებში ლაზური სიმღერა. ახლოს გასცნობია თანამემამულებს და მათი დანამღერი ჩაუწერია კიდეც მაშინდელ ხმის ჩამწერ აპარატზე. ლექსებიც ჩაუწერია, ხასან პელიმიშის ნათქვამი. ღვაწლობის მეცნიერების ერთ-ერთ სტატიაში მითითებულიც აქვს ფონგრამის ადგილაშეოული ლენინგრადში და ვინ იცის, ვის ერგება წილად იმ სიმღერის ხელმეორედ მოსმენა...


ვინ მიეკალება მარად თავისუფალი ლაზური სულის იმ დიად სიმღერას, რომელმაც თავისი სიღრმითა და უაღრესად დახვეწილი პოლიტონით არათუ უბრალო მსმენელები, არამედ „პუშკინის სახლის“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილების) ყოვლისმომსწრე და უოლისგამონე მეცნიერებიც მოხიბლა. პელიმიში — მხატვარი გაცილებით გვიან მოვიდა ჩვენთან. მარტებული მენებოდა გვეთქვა, ჩვენ მავედით მასთან და ისიც ძალან გვიან.

ძალზე გულალაში, კაცთმოყვარე და პრინციპიული იყოთ, ივონებენ მისი შეგობრები. მარტოობას გაუზრბოდა, გამუდმებით ეძიებდა ახალსა და საინტერესოს. ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, სავსებით უბრალო საგნებსა და მოვლენებში უთუობ იპოვიდა რაღაც ისების, რაც სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენდა ადრე ბევრჯერ ნანახასა და განცდილს. ასეთ მაძიებელ კაცად დარჩა იგი სიკეთლამდე, თუმცა ბედისწერის არაერთხელ დაუგო მისეული მახე და გარიყა ცხოვრებიდან.

პირველი, მოურჩენელი ტრავმა იქვე, ლენინგრადში მიიღო — სალხით გადატენილი ტრავაის საფეხურზე დაცურდა და ფეხი დაკარგა. მას მერე ბარე



ავტოპორტრეტი



სახლი, რომელიც იყავე ვასირვაში



ლაზი მონადირეები



ବାଟୁମିଲି ଶାଖାରୁଦ୍ଧ



ମିମିନନ୍ଦା ନାନୀରାମା



ხუთქერ გაუკეთეს ოპერაცია. მდუმარედ იტანდა ჭოჭოხეთურ ტკიფილებს და თუ ხანდახან დაიყვნესებდა, მაშინაც სიმღერას ამთაკოლებდა გულს. ეს ამბავი შემია მემიშ-შეა მიამბო, თავად დასწრებია ოპერაციას.

სწავლა აღარ დაუშთავრებია ხასანს, ლენინგრადიდან მობრუნებული, ერთხანს სოხუმში ცხოვრობდა, მერე კვლავ ბათუმში დასახლდა და ოჯახს მოეკიდა.

ზღვის შერლი იყო ს. ჰელიმიში, ყველა ლაპივით ზღვა უკვარდა მასაც უზომილ. ზღვას ხატავდა, ზღვას უმდეროდა თავის ლექსებში. მაგრამ მოხდა ისე, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი ზღვილან მოშორებით გაატარა. შორს დარჩა ვულისოვის ასე ახლობელი და სანატრელი სარფი და „ქვაომხაზე“.

სარფში შართლაც საოცარია ზღვა, წარმოუდგენლად ლურჯია და გამჭვირვალე შავი ზღვის ტალღა. იქვე, გონიოსთან, განტოტილი ჭოროხი ზღვას შეერთვება თუ არა, მაშინვე პირს ჩრდილოეთისაენ იხამს და ბათუმისაენ მიგარავს კარჩხალის მოტებში მოჩხვერილ ლამასა და ნაფოტს. ამგვარი დინება ბუნებრივ ზღვულელ აღას სარფის სანაპიროს, მდვრიე ჭოროხის მიხსალი წვეთიც კი ვერ გაუონავს ამ სისუფთავეში.

ასე რომ, გარემოს დაცვის ეს პრობლემა სარტლებს თვით ბუნებამ გადაუგრა და რაღა გასაკვირია, რომ იქაურებისათვის ზღვა მუდამ დედოფულივით წმინდა და ხელოუქმნელი ამასთან, ძირითავნევ მათი მარჩხალია, სიყვარულისა და ვაჟკაცობის სიბილოდაა ქცეული.

ხასან ჰელიმიში სწორედ ამ სიყვარულისა და ვაჟკაცობის მომღერალი მხატვარია. ვინც კი დაანტერესდება მასი პირვენებით, უთუოდ მისივე ნახატები უნდა იხილოს. მათშია გამუღავნებული შემოქმედის სულის პირველყოფილი სიკისეას და კიდევ ერთი, ურიად საგულისხმო რამ: სადაც კი უცხოვრია, იქვე ლაშური სახლიც აუგია. სწორედ ამ სახლებზე დაკვირვებით შეძლება ჩაწვდომა მხატვრის ხასიათის სიღრმეში,

მის განწყობაში. მშობლიური სახელით სადაც დავიძადე „წმინდა კოლხურია. მაღალი, ნათელფანჯრებიანი, მომხიბვლელად ახლობელი და სტუმართმოყვანე“. „სახლი, რომელიც ავაგე ვახიუგანში“ ციმბირული მორებათა ნაშენი. უშველებელი ღობით შემორაგულ ვიწროსაჩელიან შენობას საკამატურებიც დაბალი აქვთ...

დახადგენია ს. ჰელიმიშის, როგორც ძნეტვრის, შემოქმედებითი გენეზისი. მისი ოქანის წევრებმაც კი არ იცან უსტად, როდის დაიწყო მან ხატვა. თავისი ნახატებით, ისევე როგორც თავისი არსებობით, არავინ შეუწუხებია ქვეყნად. ერთხელ იყო, დიდი ცხოვრებისეული გასაკირის უამს, ყველასაგან მიღიწეუბულ, მშობელ მხარეს მოცალებულ ს. ჰელიმიშს სიყრმის მეგობარი მუხამედ ვანლიში პატრონობდა შეძლებისდაგვარად. მაშინ გაიხსენა ს. ჰელიმიშმა ნაზიმ ჰიქმეთი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. სწორედ მაშინ თქვა ნაზიმმა ყველა ურჩმუნოს გასაგონად, ხმამალლა — მე ვიცნობდი ს. ჰელიმიშს ჩვენი ერთობლავი მუშაობითო. ეს სიტუაცია დიდად დატბორის ს. ჰელიმიშს...

მხანად თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ახლადშექმნილ უაულტეტშე მიიწვიეს ხასანი. აკადემიკოსი სერგი ჭიქა იგონებს: შემთხვევით გავიგე, რომ თურქულის ბრწყინვალე მცოდნე ლაზ ცხოვრობდა სოხუმში, მაშინვე მოწვევა გაუგზავნება და თბილისში ჩამოვიყვანეო. სამწუხაროდ, ამ თრიადამიანის დიდი მეგობრობის მიუხედავად, არც სერგი ჭიქამ იცოდა რამე ს. ჰელიმიშის, როგორც მხატვრის, შესახებ.

1975 წელს, ახლო შეგობრების ინციატივით მოწყობილ პატარა ვერნისაჟის ხელნაშენ კატალოგში, რომელიც თავად ავტორს შეუდგენია, ყველაზე აღრეული სურათი 1966 წლითაა დათარიღებული. იმასაც ამბობინ, საცოცხლის ბოლო წლებში, თბილისში, სტუდენტების ერთ პატარა ოთახში მარტოდმარტო შეუფუტუ-

ლი მხატვარი კედლის ნაპრალებს ფარავდათ, ნახატებით...

უნივერსატეტში მუშაობის წლები უცვლაზე ნათლი პერიოდია შემოქმედის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ აუღია პირველად ხელში ცუნჯი. მაშინდელია ის უაშრავი ლექსიცა და ლაზური ზღაპარიც, მეგობრებს რომ უსახსოვრა მოსაგონრად. ერთმა მისმა ნამიწაფარმა ესეც გვიამბო, მეცადინეობისას გიტარს აიღებდა და შესახვავლი ენის ულერადობას სიმღერით გაღმოგვცემდათ. დიდხანს არც უნივერსიტეტში გაჩერებულა. აქაც მოეცარა ხელი. კვლავ მარტო დარჩა. სტუდენტის წინ, ერთ პატრა ჭიხურში იქდა და უეხსაცმელებს ამძრალ ლანჩებს აკერებდა...

სალამოთი კი ყავარენის კაუნით თავის სენაციში მიბრუნდებოდა, მუჟაოს წინ დაიდებდა და იწყებოდა ლაზური ნაღი და ჭინოთი თევზაობა, ზღვის აბორგებულ ტალღებთან ჭიდილი და ლაზურად გწვრთნილი მიმინოთი ნადირობა...

არც ერთ მხატვართან არ უსწავლია, არც ერთი სკოლა არ გაუვლია, თუ შეგირდი იყო, ისევ მუნებისაგან იღებდა გულუხვად გამეტებულ უერებს. სალებავებსაც თავისებურად აზავებდა. უმეტესად მუჟოზე მუშაობდა გუაშით, მერე ნახატს ლაპით დაფარავდა და ცერტერულ იერს აძლევდა. ვინ იცის, იქნებ თავისი დიდი მირზაანელი წინაპარივით ხ. პელიმიშსაც არ ჰქონდა ტილოს შესაძენი ფული. იქნებ ისიც თუნებობდა სახალხო სახლები, სადაც დაჭიომა და თანამოაზრებთან საუბარი ყველაფრის ერჩია. ვინ იცის... მთელი ნახევარი საუკუნე უდღეს ამ წარმოსახვას შუაში და მით უფრო საწყენია და სანახებელი, რომ აგრე, ჩვენს ვერდით, ცხოვრობდა უაღრესად თვითმეოფადი შემოქმედი და ასე უშმოდ გავვეპარა, უსაყველუროდ წავიდა ჩვენგარ.

ხ. პელიმიშის მთელ შემოქმედებაში, მის ერთი შეხედით გულუბრუკილო ნახატებში ძირდებოთ ქართული ყოფა ახაზული. დღეს უკვე მივიწყებული ბევრი

ხალხური წეს-ჩვეულება ცოცხლდება მშე-ორიც თში.

მაგრამ მხატვრის შთაგონების უპარველესი საზრდო ზღვაა მაინც. ყველა ნახატი სხვადასხვაგვარია იგი, ხან უაღრესად გამჭვირვალეა და აქროლადი, ხანაც ვნებამორეული ტალღებით აასისიფრად აქორილი, ნაფორტებივით ათამაშებს განწირულ მეთევზეთა ფელუკებს.

უსაზოდ მომღერალს, უიარალოს ეძახდა თავის თავს ხ. ჰელიმიში. ასამდე ნახატი დარჩა მას პატარა ოთაში. ერთი ამდენი მეგობრებისა და სტუმრებისათვის უჩიქებია. მეწალის პროფესია ჰქონდა და უზადო მზარეული იყო, უაღრესად ლირიკულ ლექსებს წერდა და პერსევტივის თეორიას უზიარებდელი, შესაშური ბუნებრიობით ქმნიდა მრავალპლანიან ტილოებს. მის სამღერებს დღესაც მღერიან ლაზები სარფის სასოფლო გუნდში. ახსოვთ და უუვართ ბედისაგან სასტიკად ნაგახილები მეზობელი და მოყვარე.

მაგრამ ეს სიუვარული გამარტვებული კაცისადმი პატივას მიგებას წააგავს მაინც. ერთადერთი მეგობრის, მემედ კაზანგის ხელში დალია სული 1976 წელს. დიდოთოვლობა იყო. გვიან დამატ გამოასვენეს სტუდენტებიდან. საბარეო ვაგონით ჩამოიტანეს მისი ნეშტი ბათუმში... სურამის ულელტებილი ჩაეტილი იყო და სხვა ვეღარაცერი იღონეს პროფესორა და მეგრელიძემ სტუდენტების მთავარი ექიმმა ტ. მეგრელიძემ და ხევებმა.

სიკვდილის წან დაბარა ხასანმა, სარუში დამშარებეთ, თანაც ისე, ზღვას უცეკერდეს ჩემი საფლავი. აუსრულეს სოფლელებმა ანდერძი. სარფის სასაფლაზე, უცელაზე ლამაზ ადგილას, ათასწლოვანი ჭყონის, ნამუხარის ძირში მიუჩინეს განსახვენებელი. აქედან კარგად მოჩანს მთელი სანაპირო და „ქვამხაზე“ — ჩვენებური ლაპების ადგილის დედა, ხ. პელიმიშის ცხოვრებისეული ზედსვლებისა და უკიდურესი გასაჭირის მოწამე, მას, როგორც ცოცხალს, ისე ემიანებოდა მხატვარი, თითქნა შურდა კიდეც „ქვამხაზეს“ უბერებლობა, უდარდელობა და უცვლელობა: „შენ ქვისა ხარ

და ვინ მოგცა დარღი, დარღი, რომელ-  
მაც შუა გამაპო, უცვლელო, შენი იმე-  
ღით გაზრდილს, დამითე წუთი სალაპა-  
რაკოდ“.

ხაფლავის მარმარილოს ქვასაც მისივე  
ლექსის სტრიქონები გასძევს: „საქიოშე  
არ ვნალვლობდა საქართვი, ჩემი კუთვნი-  
ლი წყალი შევხვი სოფლის წყაროში“.

ჩვენს თვალშინ, ჩვენს გვერდით ცხოვ-  
რობდა ხ. ჰელიმიში. ხმაური არ უკარ-  
და, იყო თავისთვის, ხან თარი ეჭირა ხე-  
ლში, ხანაც ფუნგი და კალაბი. იქნებ ბე-  
დნიერიც იყო ხანდახნ. ჩვენი წარმოსა-  
ხვა ვერ ჩაწვდება მის სულს. ესაა მხო-  
ლოდ, მისივე ნახატებით თუ შევიგრძ-  
ნობთ უდროოდ წასული შემოქმედის ნა-  
ფიქრალსა და ნააზრებს.

სიკედილამდე ცოტა ხნით აღრე დედაშ  
ინახულა, მაინც მოძებნა ერთადერთი  
შვილი, დრმად მოხუცებულმა ტურის-  
ტული საგზური აიღო, ცხრა მთა გადმო-  
იარა და ორმოც წელიწადს ნამალავი  
ცრემლებით იტირა გახარებულმა.

ახეთია მოკლედ ხასან ჰელიმიშის ცხო-  
ვრების გზა. ჩემი მონათხრობიც, ალბათ,  
აქვე დასრულდებოდა, ერთი, ფრიად  
ნიშანდობლივი ამბავი რომ არ მომხდა-  
რიყო გასულ, 1979 წელს. ნიშნდიბლი-  
ვი ის არის, რომ ხასან ჰელიმიშის, რო-  
გორც მხატვრის სახალხოდ წარმოჩენა  
მაინც ისევ მხატვრის გამოისხით მოხდა.  
ამასციც არის რაღაც სემბოლური და თა-  
ვისებურად ბევრისმთქმელი.

იმხანად ბათუმში საქართველოს დამსა-  
ხურებული მხატვრის, ლევან ცუცქირი-  
ძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ამ  
მოვლენაშ დედაქალაქიდან ხელოვნებათ-  
მცოდნები და ლ. ცუცქირიძის ტალან-  
ტის თაყვანისმცემლები ჩამოიყვანა. სტუ-  
მრები სარფში დავპატიუროთ. მერე, სარ-

ფის შემოგარენი რომ მიმოვისილება და და-  
ლაშური სტუმართმასპინძლობაც ვიგე-  
მეო, წამოსვლასას, სკოლის დირექტორ-  
ბა ზორაბ ვანლიშვი სასოფლო ბიბლიო-  
თეკის კარი გააღო და ასე ერთბაშად  
ამზოგმნდით ხ. ჰელიმიშის საოცარ სამ-  
ყაროში. პირველ აღტაცებას საქმიანი  
დაინტერესებაც მოჰყევა და საქართველოს  
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ხ.  
ჰელიმიშის გამოფენა მოეწყო.


რა დამავიწყებას იმ იღლისს. თბილისის  
პაპანაჯებას და საავალმყოფოდან გაბარ-  
ვას. ხ. ჰელიმიშის აცრემლებულ შეგობ-  
რებს. საგამოფენო დარბაზში მომწუდარ  
ზღვა ხალხს. ამ საქმის მოთავის, ხელოვ-  
ნების მუზეუმის განყოფილების გამგის  
ლია დოლაბერიძის თავდადებას. მერე კი  
უამრავ აღფრთვობანებულ ჩანაწერს შთა-  
ბეჭდილების წიგნში, ერთი თვის ნაცვ-  
ლად ორ თვეს გაგრძელებულ გამოიფენას.

გარდაცვალებადან სულ რაღაც საბიო-  
დე წლის შემდეგ აღიარა ასე ერთბაშად  
ხალხმა ჭეშმარიტი ხელვანი. დაიწყო  
ახალი, დიდი სიცოცხლე ხ. ჰელიმიშმა. საკედლი  
და საქამათოც გაუჩინა მხატვ-  
რებსა და უოლკლორისტებს, ხელოვნე-  
ბათმცოდნებსა და გამომცემლებს—  
ესეც მისი უსიტყვო ანდერძის დასტუ-  
რია.

„ქვაომხაზეს“ ყველა ლეგენდა კარგად  
შთავრდება, სიკეთო ზემობის დღენიადაგ  
ზღვასა და ხელზე. ხასან ჰელიმიშის  
ლეგენდაც კეთილად დასრულდა. თუმცა  
არა — კეთილად დააწუო ლეგენდა შეს-  
ტარჩე. რომლის ტილობრის მნიშველ-  
თაც ამიერიდან დიდი სიხარულისა და  
სიმოვნების განცდა მოელით.

ასე დაუბრუნდა ხელმეორედ თავის  
ხალხს „ქვაომხაზეს“ დამეული სტუმარი.

# ჩას მოგვითხრობენ ცოკონიავი



## ჭ რ მ ხ ი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედამიწაზე გარდა, „ჭოროხი“ ამავე მხრეში სოფლის სახელიც უნდა ყოფილიყო. იგვე სახელშოდება გამოიყოფა ერთი ჭანური (ლაზური) სოფლის სახელშიც — „ანჭოროხი“. ეს უკანასკნელი ხოფის უბანში მღებაჩეობს, ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია სოფელ გვარჩის მახლობლად. იმ მასალებში, რომლებიც ჭერერობით გაგვიჩნია, ამ სოფლის ოთხზე მოხსენიებიდან მხოლოდ ერთია განსხვავებული („ანჩიბორი“), სხვა დანარჩენი (ჭართული თუ რუსული დაწერილობა). „ანჩიროხსა“ და „ანჭოროხს“ იძლევა (ჩვენი, ჭანეთი, I, ბათუმი, 1977, გვ. 67).

სოფელი „ჭოროხი“ იხსენიება აკადემიკოს განაშიას სახელმის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთი კოლექციის (15-34:1,2) პასპორტში, რომელიც ვინმე თბილისელი ლაზარიდის ცორბას ემყარება. მას მუზეუმისათვის გადაუკია ბრინჯაოს ცულები (2), რომლებიც ამ სოფელ-

ში უცოვნიათ. რადგან ასეთი სახელშოდების სოლელი მექამაღ არ არსებობს, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ თითქოს მდინარის სახელის სოფლის სახელთან აღრევა და სხვა არაფერი (დაწერიდე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 12).

ასეთი სახელშოდების სოფელი ჭერერობით დაღასტურებული არ არის, მაგრამ ეს მანც არ იძლევა ამ საინტერესო ჩვენების ასე ხელალებით უარყოფის საფუძველს. მდინარეთა და სოფელთა მსგავსი სახელები მრავლადაც ცნობილი და, შესაძლოა, ჭოროხიც ასეთი იყო.

ეს სახელშოდება ძველ ქართულ წყაროებში ორი მცირედ განსხვავებული ფორმით იხსენიება: „ჭოროხი“ და „ჭორები“ (ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხებიშვილის მიერ, აბილისი, 1955, გვ. 42, 333, 337 და სხვ.).

თურქულში ეს ჰიდრონიმი „ჭოროხ-

კურუხადაა” სახენაცვალი. რუსულში „ქოროხი“—ა და ა. შ. თავეკიდური თანხმოვნის ასეთი შენაცვლება ამ ენებში „კ“—ს უქორობით აიხსნება.

„ქოროხის“ ეტიმოლოგიური ანალიზი ჯერ კიდევ თურქშა მოგზაურმა ევლია ჩელებიძე ს ცალა XVII საუკუნეში. ამ სახელწოდებას იგი „ჯუ-ი რუშ“—ის (ნიშნავს „სიცოცხლის მღინარეს“) დამახანგებულ ფორმად მიიჩნევდა (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გმოკვლევა დაურთო ვიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 94).

უფრო სინტერესო XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის ახსნა: „ქოროხის მღინარე იწოდა ქვაყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა“ (ვახუშტი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, თ. ლომოტონისა და ნ. ბერძნებრივის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 121).

მკვლევარი წყაროს ორ ასახელებს, მაგრამ სულხან-საბა ირგელიანის „სიტყვის კონას“ უნდა ეყრდნობოდეს, სადაც „ქოროხი“ განმარტებულია, როგორც „მდინარისაგან ქვიშა შეყრილი“.

ამ ბოლო დროს „ქოროხი“—ს ეტიმოლოგიზება სცადა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. თოფურიშვილმ, რომელმაც ამ სახელწოდების ძირეული მორფება — „ქორ“ ქართული „წყალ“ სიტყვის ზანურ შესატყვისად მიიჩნია. იგი უყრაღლებას აქცევს მეგრულ „ქოროფას“, რომელიც, როგორც აკადემიკოსი ა. ჩიქობავა ადასტურებს, ხშირი წვიმებისა და აედრიანობის აღსანიშნავად იხმარება (გ. თოფურია, „ქოროხი“—ს ეტიმოლოგიისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 23-ე სამეცნიერო სესია, 1977 წლის 1-2 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1977, გვ. 8):

„ქორ“ შედგენილი ფუძეა, რომელიც „კ“ ძირად და „ორ“ ფორმანტად იშლება. არის თუ არა აქ „კ“-ანი ქართული „წ“-ანის ორეული, ძნელი სათქმელია,—„ორ“

სუფიქსი კი ქართული „ალ“ მაწარმოვალია ბლის ზანური შესტუკვისა.

„ქორ“ ფუძე „ქარ“—ის ვარიანტული ფორმითაც გვხვდება (ა-ქარ-ა, ქარ-ნალ-ი) „ქარ“—ის ნაირსახეობა „ქალ“ ფუძეც შეღრ. „პალა“). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში ამ ფუძის პირველი ნაწილი ცალკეული დადასტურებული — „ა-ჭ-ი“.

სახელწოდებაში „ქოროხი“ ყურადღებას იქცევს „ოხ“ ფორმანტიც, რომელიც ხურიულარტულ მაწარმოებლად ითვლება. ამ სუფიქსით მრავალი საგეოგრაფიო და ეთნიკური სახელია ნაწარმოები (შდრ. დიახი, ხაბი, კოლხი, მესხი და მისტ.). იგივე ფორმანტი ძველ გვარსახელებშიც (კობახი, კომახი, ბობოხი, და მისტ.) შეინიშნება.

ამ სუფიქსს ჩვენს მავალითებში ხან „ოხ“ ხმოვანი უძლევის, ხან კიდევ „ა“, სხვა შემთხვევებშიც არ არის იშვიათი, მაგრამ ამით ვითარება არ იცვლება.

მტკვრისა და არაქსის ზემო ღინებებთან ერთად ქოროხის აუზი იყო ის გეოგრაფიული არეალი, სადაც წარმოშვა ძველაღმოსავლური ცივილიზაციის დიდი ბასტიონი კოლხეთი (აღმოსავლური წყაროებით „კულა“, ბერძნულით — „კოლხი-და“).

აქევე აღმოცენდნენ ლაზებიც — ლეგნ-არაულ კოლხთა ამაყი მეცნიერები:

ქოროხის ხეობაშივე ეზიარენ სატომოცხვრებას კანებიც.

იქევე დაირჩა მსოფლიო რეზონანსის ფეოდალური ქართული კულტურის აკვანიც.

და ყველაფერი ეს ქოროხის აუზის ქართველობამ იმ დიდი ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ძლიერებით შესძლო, რომელიც ძველაღმოსავლურივე ხანიდან მოსდგამდა ძალუმად: საოცრად დაწინაურებული ბრინჯაოსა და რეინის მეტალურგია, სოფლის მეურნეობა, სულიერი კულტურა...

ქოროხის ხეობა უძველესი დროიდან იყო ეკროპულ და აზიურ ცივილიზაციათა ცხოველი ურთიერთობის ერთ-ერთი თვალსაჩინო არტერია. ამის დასტურია

ჯერ ჩომაული „ბანაკი“ ჭოროხის შესართავში (ე. წ. „პარემბოლე აფსაროსი“), ხოლო შემდეგ — „გონია“.

ეს დიდი კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზაცია გვიანშეუასუյუნებში შეიქმნა და ასე გაგრძელდა 1878 წლამდე, ვიდრე ჭოროხის აუზი კვლავ არ დაუბრუნდა დედასაქართველოს.

არდაკარგული ტრადიციების ძალაში და

ახლის სიცოცხლისუნარიანობამ გამოიწვია დროში გამოფხიზება და დაწინაურება. სულ მაღვე ჭოროხის ხეობის გასაღები — ბათუმი — საქართველო - ამიერკავკასიის მსხვილი სამხერველო ცენტრი გახდა და თავისი პროლეტარიატიც მოწინავე რევოლუციურ პოზიციებშე გაიყვანა.

იური სიხარულიძე,  
პროფესორი.





## მამია ვარშანიძე

როგორ მოგმართო სრულადა,  
ჰია გითხრა თუ მამია?  
ტაძრიდან გამოსულა და  
დედულეთს მიდის მამია!  
შენს ლექსში სხვა ზაფხულია,  
სხვა ცეცხლია და სხვა ქურა,  
შიგ ჩვენი ერის სულია,  
ჩვენი ჩოხა და ჩაქურა.

## გიორგი სალუქვაძე

### საახალწლოდ ნათქვამი

#### იოსებ ცოცხვილი

ნუ გვენახოს ნურასოდეს  
ზისი ლექსი ბებერი,  
როგორც უთქვამს, ისე ეთქვას  
კრის სადიდებელი.  
ას წელიწადს უთენია  
არ მოვშორდეთ კიოსკებს:  
— ახალი რა უწერია  
ჩვენს საყვარელ იოსებს?  
ტაშს უუკრავდით თვე და პვირა  
უუბილარ ნონეშვილს,  
სანამ, ბოლოს, არ იყვირა:  
— კარგი, ძმებო, მომეშვით!



— ჯვარისნულ ლაშქრობაში ხომ არ  
მიღიხარ, შე კაცო?  
— არა, დამწყები პოეტის გასაკრიტი-  
კებლად მივდივარ.  
რ. სანადირაძის ნახატი.

#### ვლილონ სალვაში

ფრიდონმა თქვა:  
კა მაქვს ვიზა,  
თუნდ გავფრინდე მთვარეზეო,  
აჭარისკენ პირს არ ვიზამ  
რუსთაველის გარეშეო.  
დღე დაგიდგა მოსალხენი...  
არ მოგშლოდეს ეს სახელი!

# მოჭადრაკე იღიმება

„ამ სვლის ფინააღმდეგ  
ვარ ვთავაშობ!“

დიდად კეთილშობილი და სიმ-  
პათიური ოსტატი არჩილ ებრა-  
ლიძე თავისი სიცოცხლის ბოლო  
წლებში იშვიათად თამაშობდა  
ჭადრაკს. ამასთან, თუ ტურნირში  
საქმე კარგად ჰქონდა, ბოლომდე  
შეუპირვრად იბრძოდა, თუ არა და,  
შოველგვარ ინტერესს ჰქარგავდა.

ერთხელ საქმე ისე წავიდა, რომ  
ებრალიძე ზედიზედ მარცხდებო-  
და და დასაკარგიც არაფერი ჰქო-  
ნდა. ერთ-ერთი პარტია მაინც კუ-  
რიოზულად დამთავრდა. ებრალი-  
ძის მეტოქემ პირველი სვლა ითა-  
მაშა — მეფის პაიკი ორ უჯრაზე.  
ეს ხომ ყველაზე უფრო გავრცელ-  
ებული სვლაა. ასე თამაშობენ დი-  
დოსტატები და დამწევი მოჭად-  
რაკებიც.

დიდი იყო მეტოქის გაგვირვება,  
როდესაც პირველი სვლის პასუ-  
ხად ებრალიძემ დანებების ნიშ-  
ნად საჭადრაკო საათი გააჩერა და  
მას გამარჯვება მიუღოცა.

— რაშია საქმე, ბატონო არჩილ?  
— ყველაფერი ნათელია. ამ  
სვლის წინააღმდეგ კარგა ხანია

პასუხს ვერ ვპოულობ და რადგან  
მაინც აუცილებლად უნდა დავმა-  
რცხდე, აღრევე დანებება ვარჩია.

## ოკ, ას ცრუმოროვენა მოჭადრაკები

დიახ, მოჭადრაკები ზოგჯერ  
ფრიად ცრუმორწმუნენი არიან!  
მ. ეივესთან მატჩის დროს ა. ალი-  
ოხინს თამაშზე მიჰყავდა სიამის  
კატა.

ზოგ მოჭადრაკეს მეტისმეტად  
ეჯავრება კენჭისყრისას 13 ნომრის  
მიღება, ზოგს უყვარს პარტიის წინ  
ამა თუ იმ პიროვნების ნახვა. სწო-  
რედ ასეთი პიროვნება გამოდგა  
ცნობილი იუგოსლავიელი ოსტა-  
ტისთვის — კატარინა იოვანო-  
ვიჩისათვის ამ სტრიქონების ავ-  
ტორი.

1964 წელს სოხუმში მსოფ-  
ლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ  
ქალთა ტურნირი იწყებოდა. პირ-  
ველი ტურის წინ რედაქციასთან  
ტელეფონით დასაკავშირებლად  
მივეშურებოდი. იოვანოვიჩი და მი-  
სი მწვრთნელი საერთაშორისო  
ოსტატი პეტრა სმედერევაცი შე-  
მომხდენენ. მცირე ხნით შეეჩერ-  
დით. იოვანოვიჩს ხუმრობით ვუ-  
თხარი, თქვენ დღეს აუცილებლად



დე.

ერთ „ავადმყოფობას“ გაუძლებდა კაცი, მაგრამ მე ყოველთვის მქონდა ორი გატაცება: ჭადრაკი და ფეხბურთი. მასსოვდა თბილის „დინამის“ პირველი თუ მეორე თაობის არაერთი ტრიუმფი, ბელგრადის „პარტიზანი“ თბილისში, ბავშვობისას გატაცებით ვუსმენდი რადიოს – ვადიშ სინიარესი მოგვითხოვთდა მოსკოვის „დინამის“ ბრწყინვალუ გასტროლებზე ინგლისში.

ინგლისელები რომ ტყავის ბურთის დიდებული ოსტატები იყვნენ, ეს მე კარგა ხანია ვიცოდი, მაგრამ მათი თამაში არასოდეს მენახა. არ მენახა და ვნატრობდი კი.

და აი, 1958 წელს საბჭოთა კავშირში დაიგეგმა ცნობილი ინგლისური კლუბის „ვესტ ბრომვიჩ ალბორნის“ გასტროლები. ინგლისელებს უნდა ეთამაშათ ლენინგრადში „ზენიტის“ წინააღმდეგ შემდეგ კიევში „დინამოსთან“ და მოსკოვში არმიელებთან.

ახალი დარღი გამიჩნდა. ისედაც ხშირად ვაწუხებდი ჩემს დირექტორს, ახლა ფეხბურთის სანახავად განთავისუფლების თხოვნა მეტისმეტი იქნებოდა.

ამასობაში ინგლისელებმა უკვე ითამაშეს ლენინგრადში. რა მექნა, რა მეღიანა?!

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტიდან დამირეკეს.

– კიევში წასვლის საშუალება ხომ არ გექნება?

მოიგებთ-მეორე. იმ საღამოს იოვანოვიჩმა გამარჯვება იზეიძა.

მეორე დღეს ჩვენ კვლავ შევხვდით. კატარინამ მითხრა: „თქვენმა ნახვამ გუშინ პირველი ქულა მომიტანა. ჭეშმარიტად ბედნიერ ფეხზე გხვდებით. მითხარით, თუ შეიძლება, მე დღესაც გავიმარჯვება?“

— გაიმარჯვებთ! — დავაიმედე. იოვანოვიჩმა მეორე პარტიაც მოიგო.

მესამე დღეს იგივე გამეორდა.

მეორე დღეს სანაპიროზე ველარ გამოვედი, მოსკოვის ერთერთი რედაქცია დამიკავშირდა ტელეფონით. როდესაც მთელი საათის შეყოვნების შემდეგ დავტოვე თოახი, სასტუმროში შესავლელთან კ. იოვანოვიჩი და პ. სმელერევაცი მიცდიდნენ...

## 69 იცრუებ!

50-იანი წლების მიწურულში უამრავ ტურნირში ვმონაწილეობდი. ვთამაშობდი მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, დონის როსტოვში, რიგაში. ვთამაშობდი და ძალზე კმაყოფილიც ვიყავი.

მაგრამ ის, რაც მე ასე მიტაცებდა, ძალიან არ მოსწონდა ერთ პატივცემულ აკადემიკოსს, მუზეუმის დირექტორს, რომელთანაც მე იმ დროს ვმუშაობდი. „ეს თქვენი კონგრესები აღარ თავდებაო“ – ბრაზობდა პატივცემული დირექტორი. აქვე უნდა დავძინო, რომ „კონგრესებს“ საჭადრაკო ტურ-

ეს კაცი თითქოს ჩემს გულში იჯდა, მაგრამ ჯერ უნდა გამომერკვია, კიევს რატომ უმიზნებდა...

— დიდი არაფერი. საკავშირო პირველობაა უსინათლოთა შორის, მწვრთნელი გვჭირდება. თუ წახვალ, ძალიან დაგვავალებ.

მეც ეს მინდოდა, მაგრამ დარექტორისათვის რა მეტქვა?

— უსინათლოთა მწვრთნელად ვინ გამიშვებს, ჩემს შეჯიბრებებზე ძლივს ვთავისუფლდები. დარექტორი უკმაყოფილოა, მოთმინების ფიალა აეკსება.

— კაცო, შენც ვინ გაძალებს ყველაფერი თქვა. უთხარი, რომ საკავშირო პირველობაზე მიდიხარ, მორჩა და გათავდა. მართლაც ხოშ საკავშირო პირველობაა. ვასი? ვინ შეგეკითხება!

მეორე დღეს დარექტორთან შევდი. არაფერი მითქვამს. გავუწოდე: მიმართვა საკავშირო პირველობაზე ჩემი მივლინების შესახებ.

— რა საკავშირო პირველობაა ეს? პრესაში მე არაფერი წამიკითხავს. დიდოსტატები თამაშობენ?

დუმილი ზოგჯერ თანხმობას; ჩაშნავს. ჩემი დუმილიც (ოხ, რაოდენ გრძელი მეჩვენა ეს წამები!) ამას მოასწავებდა. დარექტორმა მიყურა, მიყურა და მომცა კიევში წასვლის ნებართვა.

მე და ჩემი უსინათლო მოჭადრაკე კიევში გადავფრინდით. მისი შეჯიბრება მოელ თვეს კრძელდებოდა. მაგრამ როდესაც ადგილზე ჩავედით და სასტუმროში მოვე-

წყვეო, კიევში ინგლისელი ფეხბურთელები არ დაგვეხდნენ. თურმე, ნუ იტყვით, მათ მარშრუტი შეუცალეს და... სათამაშოდ თბილისში გააგზავნეს!

## „ჩემი საჭადრაკო კარიერა“

ასეთი სათაურით დაწერა ჩინებული წიგნი მსოფლიოს ჩემპიონმა კაბაბლანგაშ. გავიდა დრო და რეშევსკიმ, როცა ხანში შევიდა, თავის წიგნს ასევე „ჩემი საჭადრაკო კარიერა“ უწოდა. ვინ იცის, შეიძლება შემდეგში კიდევ რომელიმე გამოჩენილმა მოჭადრაკემ იგივე სათაურს მიმართოს, ყველაფერია მოსალოდნელი.

ის კი ფაქტია, მე ეს სათაური მაინცდამაინც არაფრიად გამომადგება. საქმე ის არის, რომ დაიწყო თუ არა ჩემი საჭადრაკო კარიერა, პირდაპირ ულვისებურად, სულ რაღაც ერთი სათოს განმავლობაში დამთავრდა...

თამაში ჩემმა ტოლმა, მეზობლის ბიჭმა მასწავლა, ხშირად კხვდებოდით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ჩემს კითხვაზე პასუხი აშკარად არ შეეძლო. მე კი მაინტერესებდა, ვინ იყო საქართველოში პირველი მოჭადრაკე, გოგლიძე თუ ებრალიძე? ამაზე ვერც ჩემს ოჯახში მიპასუხეს, მეზობლები კი არცოდნის ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდნენ.

თამაში სულ უფრო და უფრო მიტაცებდა, კითხვაზე კი პასუხის გამცემი არავინ მყავდა.

ჩემი მეზობელი თბილისის პი-



ონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის წრეში დაღიოდა. ხშირად მიყვებოდა, რამდენ საინტერესო რამეს ასწავლიდა მწვრთნელი, კაცი, რომელმაც ჭადრაკში, ცხადია, ყველაფერი იცოდა. აი, ვინ მიპასუხებდა ჩემს კითხვაზე...

— არ შეიძლება, წრეში მეც ჩამწერონ?

— რატომაც არა, წამოდი.

ასე შევაღეთ მე და ჩემმა მეზობელმა ჭადრაკის კაბინეტის კარი. 1945 წელი იყო. მე, მაშინ სრულიად ყმაწვილს, მწვრთნელი, სიმპატიური სახის მელოტი კაცი, საქმაოდ ხანდაზმულად მეჩვენა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემეტოლ მცოდნოდა, რომ ამ მოჭადრაკს არაერთგზის შევხვდებოდი ტურნირებში (და საბოლოო ანგარიში ჩემთვის ფრიად საპატიო — 2:2 იქნებოდა).

— ჭუმბაძევ, ეს ყმაწვილი ვინ არის? — იკითხა მწვრთნელმა.

— ჩემი მეზობელია. წრეში ჩაწერა სურს.

— კი, მაგრამ, იცის თამაში?

— დაახლოებით ჩემნაირად თამაშობს.

— მაშინ, აშკარად სუსტი ყოფილ!

ასე უხერხულად დაწყებულმა საუბარმა, ცოტა არ იყოს, გუნება გამიფუჭა, მაგრამ შემდეგში საშიში არაფერი მომხდარა. მწვრთნელმა მაგიდასთან დამსვა და საინტერესო ამბებიც მომიყვა. ძალიან ცოტა ხანში თავი თავისუფლად ვიგრძენი კიდეც და გადა-

ვწყვიტე სწორედ ახლა მიშვეცათ ის კითხვა, ამდენ ხანს რომ მაწუხებდა.

— ბატონო, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— იქნებ ეს უბრალო ამბავიც იყოს, მაგრამ მე მოჭადრაკებს არ ვიცნობ, სამწუხაროდ, არც მამაჩემი თამაშობს და არც დედაჩემი. თქვენ კი, ცხადია, მიპასუხებთ.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ასეთი რა შეკითხვა გაქვს?

— ბატონო, მაინტერესებს, ვინ არის პირველი მოჭადრაკე საქართველოში, გოგლიძე თუ ებრალიძე?

დანარჩენი ელვის სისწრაფით მოხდა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელიც იყო. მწვრთნელმა მომკიდა ხელი, კარამდე მიმიყვანა და მიყვირა:

— აქედან დაიკარგე, აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა!

სრულიად გაოცებული და დანეული, სახლში დავბრუნდი. რა დავაშვე? რატომ დამსაჯა ასე ჟყაცრად მწვრთნელმა?

ორი საათის შემდეგ მეზობლის ბიჭმა კარზე დაკაგუნა.

— რა ვთქვი ასეთი, რატომ გამომაგდო?

— შენ რა, არ იცოდი, რომ ოსტატ ებრალიძეს ელაპარაკებოდი?

ნამდვილად არ ვიცოდი. ამის შესახებ მეზობელს ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს.

## „გამოღისარ მაღტის სახელით“

1960 წელს ლაიფციგის საჭადრაკო ოლიმპიადაზე სასტუმრო „ასტორიაში“, სადაც მონაწილეები და უურნალისტები ცხოვრობდნენ, საქმაოდ მოულოდნელ ამბავს შევესწარი. 17 წლის დადოსტატი რობერტ ფიშერი, რომელსაც იმ დროს უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული პრეტენდენტთა ასპარეზობაში, ჰოლში იჯდა, და, ბუნებრივია, გულშემატკიცრებით იყო შემორტყმული. არა, ბობი ინტერვიუს არავის აძლევდა, იყი 5-წუთიან პარტიებს კთამაშებოდა ჩემთვის უცნობ მოჭადრაკებს, შესაძლოა, რომელიმე გუნდის წევრებს ან უურნალისტებს.

ეს ის დრო იყო, როცა ფიშერი უკვე დიდ სახელს იხვეჭდა. მას ქალაქში ყველა იცნობდა, მონაწილეები ცდილობდნენ, მას დამეგობრებოდნენ. მაღლისა და არგენტინის მოჭადრაკეთა შეხვედროსას მეტად კურიოზული ამბავი მოხდა. პირველ დაფაზე თამაშის დაწყებისას მეტოქემ ჰკითხა განთქმულ არგენტინელ დიდოსტატ მიგელ ნაიდორფს, რა გვარი ხართო.

ნაიდორფი შეტად განრისხდა და მეტოქეს მკვახედ უთხრა, რა გვარიც იყო, მაგრამ მოულოდნელი პასუხი მიიღო.

— რა მოხდა მერე, ბოლოსდაბოლოს ფიშერი ხომ არა ხართო! და აი, სწორედ ეს ფიშერი და-

ფასთან იჯდა და სხვადასხვა მეცნიერებების ხვდებოდა. ზოგჯერ ჭაბუკი ამერიკელი მათ გვარს ეკითხებოდა, ზოგსაც არაფერს ეუბნებოდა. ყველა პარტია, ცხადია, ერთი შედეგით მთავრდებოდა — ფიშერი იგებდა.

უპირველეს ყოვლისა, ის გავაკეთე, რომ მაგიდასთან ახლოს დავჯექი: აქედან უკვე კარგად შემებლო პარტიებისთვის თვალის დევნება. ფიშერი თამაშობდა, როგორც ავტომატი, სწრაფად, მკვეთრად, ენერგიულად, შემტევი სტილით. მე იმ მომენტში უკვე მქონდა ნათამაშევი ორიოდე პარტია დიდოსტატებთან (1960 წელს პიარნუში თვით პაულ კერესსაც კი შევხვდი). დავასკვენი, რომ ზოგიერთი მეტოქე არ იყო მაინცდამაინც ძლიერი — ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის შალით თამაშობდა. ასეთ მოჭადრაკებს ფიშერი, ცხადია, იოლად უსწორდებოდა, მაგრამ გამარჯვებისას იღიმებოდა, მეტად თავაზიანად იქცეოდა, დამარცხებული კი ახალ პარტიიორს უთმობდა ადგილს. ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

სად იყო და სად არა, დიდოსტატი სალო ფლორი გამოჩნდა.

— გინდა ფიშერს ეთამაშო?

— ინტე, ინტე უხერხულობას ვგრძნობ.

— რის გრცხვენია, წააგებ, სხვა ხომ არაფერი იქნება.

— გვარი რომ მკითხოს, იგი ხომ კარგად იცნობს ყველა საბჭოთა მოჭადრაკეს?

— შენც ნუ ეტყვი, უთხარი, რომ მალტის წარმომადგენელი ხარ.

ჩემი რიგი რომ მოვიდა, უსიტყვოდ დავჯექი. შავებით სიცილიურ დაცვას მივმართე. ფიშერმა მისი საყვარელი სოზინის იერიში აირჩია და ცოტა ხანში კულაფერი დამთავრებული იყო. საბედნიეროდ, ფიშერმა არაფერი მკითხა.

ასე იყო თუ ისე, ერთადერთი ქართველი მოჭადრაკე ვარ, ვინც ფიშერს შექვდა. ამაში ხომ ვერავინ შემეცილება, რადგან ამერიკელმა თავი დაანება ჭადრაკს და, ამბობენ, არც არასოდეს დაუბრუნდებაო.

## როცა წოდება დოობითია

ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატის წოდება დროებითი გახდავთ. თუ მოჭადრაკე სათანადო შედეგებით არ დაამტკიცებს მას, ჭადრაკის მესვეურებს შეუძლიაონ იგი უფრო დაბალ, პირველ თანრიგში გადაიყვანონ. ზოგჯერ კი კულაფერი ამ მესვეურების განწყობილებაზეა დამოკიდებული.

1967 წელს ოსტატები სოროკინი, ლომაია და მე ვმონაწილეობდით სოჭის ძლიერ ტურნირში. როცა წილისყრა მიმდინარეობდა, მსაჯებმა ოსტატების კანდიდატ გორდიენკოს შეჯიბრებაში წარმატება უსურვეს, ისე კი მოაგონეს, შეა ტურნირში ოსტატობის კანდიდატობის ვადა გაგიღისო. გორდიენკო ბალიან ნერვიულობდა, რაც დაეტყო კიდეც მის თამაშს.

ტურნირი რომ დამთავრდა დამოუცხადეს — ამიერიდან პირველი თანრიგის მოჭადრაკე ხართო.

1972 წელს ერევნის ჭადრაკის სახლში ვნახეთ კედელზე გაკრული ოსტატობის კანდიდატების სია. თითოეულის გვარის გასწვრივ ნათლად ეწერა, რომელ წელს, რომელ თვესა და დღეს უმთავრდებოდათ მათ ოსტატობის კანდიდატობის ვადა. ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ზოგი მათგანი შეიძლებოდა ოსტატიც გამხდარიყო, მაგრამ ზოგი, რა წოდებაც ჰქონდა, იმასაც დაპარგავდა. ერთი სიტყვით, ზოგის გზა ზევით შიდიოდა და ზოგის ქვევით.

ჩვენთან, საქართველოში, ჭადრაკის მესვეურები გაცილებით უფრო ღმობიერები არიან, მაგრამ დროგამოშვებით ისინიც დაერევიან ხოლმე სუსტ ისტატობის კანდიდატებს.

თბილისის პირველმა ჩემპიონმა ჭადრაკში, უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა, სიმპატიურმა ვართან აღამალიანმა მწუხარებით შეიტყო, რომ რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციამ მას ოსტატობის კანდიდატის წოდება მოუხსნა.

— რა შეწოდება მე ამჟამად?  
— პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

— დიახ, მაგრამ თუ ამ წოდებასაც ვერ დავამტკიცებ?

— მაშინ მეორეთანრიგოსანი გახდებით.

— თუ აქაც მარცხი შემემ-  
თხვევა?

— მესამე თანრიგში გადაგიყ-  
ვანენ.

— შემდეგ?

— შემდეგ მეოთხე თანრიგია.  
აი, ამას კი ვერავინ შეგეცილე-  
ბათ. ამაზე დაბალი თანრიგი  
აღარ არსებობს.

— თბილისის პირველი ჩემპი-  
ონი და მეოთხეთანრიგოსანი?!

— რას იზამთ, მიწიერი დიდება  
ხომ წარმავალია.

ასეთი გულახდილი საუბარი  
გაიძართა ჩემსა და ხანდაზმულ  
მოჭადრაკეს შორის, მაგრამ მე  
თუ შეუბრალებელი ვიყავი, საქა-  
რთველოს ჭადრაკის ფედერაცია  
უფრო დიდსულოვანი აღმოჩნდა  
— პირველ თანრიგზე უკან აღამა-  
ლიანი აღარ დაუხევია.

## არცოდნა არცოდვააო

ვინ ატარებს ერთდროული თა-  
მაშის სეანსე? ეს რა კითხვაა?  
იტყვის მკითხველი. — რა თქმა  
უნდა, ძლიერი, მაღალი კვალი-  
ფიკაციის მქონე მოჭადრაკე. ვინ  
თამაშის მის წინააღმდეგ? თა-  
ვისთავად ცხადია, გაცილებით  
უფრო სუსტი მოჭადრაკე, მოყვა-  
რული, რომელსაც ძალიან ხში-  
რად თანრიგიც არა აქვს. ეს ყვე-  
ლაფერი ნათელია და გასაგები,  
მაგრამ ზოგჯერ კურიოზებიც  
ხდება.

სპორტის დამსახურებული ოს-  
ტატი თეოდორ დუბ-ხოტიმი-  
რსკი მხიარული, იუმორის მო-

ყვარული კაცი იყო. რომ არ ეც-  
ნოთ, განზრახ ცუდაღ იცვამ-  
და, თავზე ქუდს ჩამოიფხატავდა  
და ისე ბონაწილეობდა ერთ-  
დროული თამაშის სეანსებში  
უამრავ მოყვარულთან ერთად...  
თავისზე გაცილებით უფრო სუს-  
ტი ოსტატების წინააღმდეგ. ასე-  
თი ხუმრობა ძალზე მაღლე მჟღავ-  
ნდებოდა. ჯერ ერთი, დუბ-ხო-  
ტიმირსკის, რომელსაც ლასკე-  
რის დაუმარცხებია და კაპაბ-  
ლანგაც, სახეზე ბევრი ოსტატი  
იცნობდა. მეორეც, თუმცა დუბი  
დებიუტში განზრახ სუსტ სვლებს  
აკეთებდა, რათა მეტოქისათვის  
კვალი დაებნია, შემდეგ ჩვეული  
ძალით იწყებდა თამაშს, რაც სე-  
ანსის ჩამტარებელს საგონე-  
ბელში აგდებდა და რაღაც თვა-  
ლომაქცობაზე მიანიშნებდა. ცნო-  
ბილი ოსტატი გრიგორიევი ერთ-  
ხელ მხიარულად იგონებდა, რომ  
მოსკოვში გამართული სეანსის  
დროს ყურადღება არ მიაქცია ვი-  
ღლაც ხნიერ კაცს, რომელიც  
20 სხვა მოყვარულთან ერთად  
ეთამაშებოდა მან. ამ კაცს ქუდი  
ჰქონდა ჩამოფხატული, ასე რომ,  
გრიგორიევმა სახეზე ვერ შეხედა.  
ამის გარდა, დუბმა გაიძეორა  
თავისი ძეველი ილეთი, დებიუტში  
რამდენჯერმე უხეიროდ ითამა-  
შა, მაგრამ შემდეგ ისეთ ვირტუ-  
ოზულ მანევრს მიაგნო, დიდოს-  
ტატებსაც რომ შეშურდებოდათ.  
გრიგორიევი მყისვე მიხვდა,  
მას აშკარად ვიღაცა ეხუმრებო-  
და. იგი დაკვირდა მეტოქეს და,

ბოლოსდაბოლოს, სიცილი ვეღარ შეიკავა.

— გამარჯობა, თეოდორ ივანეს ძე!

— გაგიმარჯოთ!

— აქ რამ ძოგიფვანათ?

— როგორ გითხრათ, თამაში მომინდა.

უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ბოლოს დუბ-ხოტიმირსკიმ გაიცინა, ფიგურები აურია და დარბაზი დასტოვა.

ეს ამბავი მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ, გამოგიტყდებით, მსგავსი ცოდვა მეც მიმიძლვის.

ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირს ვესწრებოდი. საერთაშორისო ოსტატმა ვლადიმიროვმა შავებით სიცილიურ დაცვაში დაამუშავა ერთი თავისებური ვარიანტი, რომელიც დაკავშირებული იყო მეფის ფრთის კუს ადრე განვითარებასთან ცე-5 უჯრაზე. ტურნირის შონაწილეებმა ამ ვარიანტს ვერაფერი მოუხერხეს (მისი ანალიზი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა, თეორეტიკოსებმა ვერ მოასწრეს შესწავლა) და ვლადიმიროვმა რაბდენიმე გამარჯება იზეიმა. ეს ვარიანტი, რამდენადაც შემეძლო, მეც გავარჩიე და მომეწონა.

და აი, ლენინგრადის შემდევ ძალზე მალე ევპატიორიაში აღმოვჩნდი. ქალაქს არ ვიცნობდი და არც ვიცოდი, დრო როგორ მომეკლა. ბოლოს პარკთან განცხადება წავიკითხე, ვიღაც ადგილობრივი პირველთანრიგოსანი

ერთდღოული თამაშის შეგნისა ატარებდა. რა თქმა უნდა, უფრო მაღალი კვალიფიკაციის მოჭა-დრაკემ პირველთანრიგოსნის სეანსში არ უნდა ითამაშოს, ეს უხეირო ოინს ჰგავს. მაგრამ მე-მხიარულ ხასიათზე ვიყავი. ამ ქალაქში ვინ მიცნობს-მეთქიდა 24 სხვა მოყვარულთან ერთად პირველთანრიგოსნის წინააღმდეგ ერთდღოული თამაშის სეანსში ჩავეწერე.

სეანსიორი, როგორც წესი, თეორი ფიგურებით თამაშობს. მე შავებით სიცილიური დაცვის იმ ვარიანტს მივმართე, ვლადიმიროვმა რომ დაამუშავა. პირველთანრიგოსანი ვერ გაერკვა შექმნილ პოზიციაში, ძალიან მალე შეცდა და დამარცხდა. დანარჩენი 24 პარტია მან მოიგო. გულშემატკივრებმა ყურადღება მომაქციეს, მყითხეს, ვინ ვიყავი. თბილისელი მოყვარული ვარ-მეთქი, ვუპასუხე.

ბოლოს პირველთანრიგოსანი მომიახლოვდა.

— თქვენ საკმაოდ კარგად თამაშობთ, — მითხრა ძან, — მაგრამ ერთი ნაკლი გაქვთ.

### — რა ნაკლი?

— არ იცით თეორია. აი, სიცილიურ დაცვაში რომ გუცე-5 უჯრაზე გამოიყვანეთ, ეს აშკარა შეცდომაა, ასე არავინ თამაშობს და თქვენც ამ სელაზე ხელი უნდა აიღოთ (ძან, რა თქმა

უნდა, არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ლენინგრადში, როგორი წარმატებით იყენებდა ვლადიმიროვი ამ ვარიანტს).

გამეცინა, ხვალ შეგხვდებით- მეთქი.

მეორე დღეს მართლაც შევხვდით ევპატორიის პლაჟზე, პირ-

ველთანრიგოსანს კველაფერი იცია  
კუამბე, ჩემი საქციელისთვის  
ბოდიში მოვუხადე და „კომპენ-  
საციის სახით“ ის ვარიანტი  
კარგად ვასწავლე, მას რომ  
სრულ გაუგებრობად და საჭადრა-  
კო თეორიის უცოდინარობად  
მიაჩნდა.



უსიტყვოდ.

პ. შევერდიაევის ნახატი.



— ხმა არ ამოიღო, თორემ ქვეყანას  
შევყრი!

რ. სანადირაძის ნახატი.



## ბათუმის „დინამის“ პრობლემები, ამოცანები

ბათუმის „დინამის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველმამაზე „ა“ კლასის მეორე ლიგის მეოთხე ზონაში მონაწილეობდა, მაღაზი სუსტად გამოიდა გასულ სეზონში. ჩამ განაპირობა ღინდოელთა ეგზომ დაბალი მაჩვენებელი?

მოლი, ძეირფასო შეითხველო, ეს წერილი დავყოთ რამდენიმე ქვესათურად, იმ საკითხების მიხედვით, რომლებიც ყველა ერთად ჩენი გუნდის მთლიან სახეს წარმოგვიღების.

### ცოტა რამ ჯარსულიდან

თქმა არ უნდა, ტრადიცია ძალიან ბევრს ნიშნავს.

ბათუმის „დინამი“ 1923 წელს შეიქმნა. უკვე 1939-1940 წლებში საკუთრო ჩემპიონატში მონაწილეობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. მომდევნო წლებში რესაუბლიერი პირველმამაზის ფავორიტი იყო და 1960 წელს, როცა კვლავ შეიქმნა საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ კლასი, ბათუმის დინამოელებმა დამსახურებულად მოიპოვეს მიხი საგზური და ბევრჯერ წარმატებითაც იასპარებეს. 1966 წლიდან გუნდი „ა“ კლასის მეორე ლიგის მუდმივი ბინადარია. 1973 წელს თავის ზონაში მეორე აღვალზეც კი გამოიდა და უფლება მოიპოვა

მონაწილეობა მიეღო „ა“ კლასის პირველ ლიგაში გადასასვლელ ტურნირში, მაგრამ ვერ შეძლო ამ ამოცნის გადაწყვეტა.

ბათუმის „დინამოში“ სხვადასხვა ღრის ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი აღიზარდა, მათ შორის ბ. ფროლოვი, ა. ელიაშვილი, ი. საჩივალაძე, კ. ფეხლევანიძე, გ. მენაბდე, ი. დათვანშვილი, ა. კაპაძე, ა. კავაზაშვილი, რ. კვასევაძე, გ. ქიქავა, რ. ჩელებაძე, ნ. ხიზანშვილი, ვ. ქორიძე, სამი უკანასკნელი ახლაც წარმატებით იცავს რესპუბლიკის პირველი გუნდის — თბილისის „დინამის“ ლირსებას.

ყველაზე ზემოთქმული გუნდის შესანიშნავ ტრადიციებზე მეტყველებს. და მაინც, ღინდოელები სუსტად გამოვიდნენ წლევანდელ ჩემპიონატში — მხოლოდ მე-13 ადგილი დაკავეს.

### სეზონი-79

შარშან ბათუმელი ფეხბურთელება საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის მეორე ლიგის მეოთხე ზონაში გამოდიოდნენ — ლანჩხუთის „გურიასთან“, სამცხე-ჯილდის „ლოკომოტივთან“, ზუგდიდის „დინამოსთან“, გორის „დილასთან“, ფოთის „კოლხეთთან“ და სოხუმის „დინამოსთან“ ერთად. რესპუბლიკის შვიდ

კოლექტივს შორის ბათუმელებმა ბოლო ადგილი დაიყვეს და დებულებით უწდა დაეტოვებინათ „ა“ კლასის მეორე ლიკა, მაგრამ საჯავშირო ფეხბურთის ფერაციამ სწორედ ამ გუნდის მდიდარი ტრადიციები გათვალისწინა, მისი დამსახურება მაღალი კლასის ფეხბურთელთა აღნაზე და „დინამო“ ისევ დატოვა აღნაშენულ ლიგაში.

გასული სეზონის პირველი საში მატჩი ღია ღია მოელებმა საკუთარ მოედანზე გამართეს. მართალია, სამივეჭრ გაიმარჯვეს მინიმალური ანგარიშით, მაგრამ გუნდა მაინც სუსტად გამოიყურებოდა. პირველსავე გასელით მატჩში სამტრედიის „ლოკომოტივთან“ ბათუმელებმა მარტი იწყნება. ეს იყო პირველი ფსიქოლოგიური დარტყმა, მოელი ჩემპიონატის მანძილზე რომ გაჰყვა გუნდს. მაგრამ მარტო ეს არ იყო ჩავარლის მიზნი, ჩემპიონატის დაცვანაზა, რომ გუნდი ერთობ სუსტად იყო ფიზიკურად მომზადებული. პირველ წრეში დინამოელებმა 26 ქულა მოაგროვეს, მეორეში კი მხოლოდ 17. მნელი გასავლელია საფეხბურთო მართონი, და თუ ფიზიკურად სუსტი ხარ, წარმატებას ვერ მიაღწევ.

ფიზიკური მომზადების გარდა კოლექტივს ტაქტიკური მომზადებაც აკლდა. მისა თთქმის ყოველი მატჩი ერთფეროვანი იყო და ცალკეული გამარჯვების მეტწილად ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური თავდადების შედეგს წარმოადგინდა.

თავდამსხმელებიდან განსაკუთრებით გამოვიყოფილი თ. ბერანიძეს — ძალზე მონიმებულ, ენერგიულ, მაგრამ ტაქტიკურად არასწორად მოთამაშე ფეხბურთელს.

უნდა განსაკუთრებულად აღნიშნოს ერთი გარემოებაც. ლიგის დატოვების საშიშროება დინამოელებს 8-9 ტურით ადრე შეექმნათ. ნაცვლად იმია, რომ ფეხბურთელებსაც და გუნდის ხელმძღვანელებსაც უფრო მეტი მონდომება გამოეჩინათ, პირიქით, მეცადინებას უკლეს, ირლევოდა დისკიპლინა, რეფიში.

შედეგი: ბოლო 9 მატჩში „დინამო“ მხოლოდ ორი ქულა აიღო...

## საკუთარი პედელი

იცით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მას. გადახედულოთ საფეხბურთო სტატისტიკას: გუნდებს მოპოვებული ქულების 70-80 პროცენტი საკუთარ მოედაზე, გულშემატკიცრების ენტეგული მხარდაჭერით აქვთ მოპოვებული.

ბათუმის „დინამოს“ სტადიონი 18 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი მხოლოდ ერთხელ გაიკარი — 1977 წელს, როცა თბილისის „ლინაშო“ იაპონიის ნაკრებს ეთამაშებოდა. ბათუმის „დინამოს“ მატჩებს კი საშუალოდ 2-3 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ყველაზე ბევრი მაყურებელი — 8 ათასი კაცი მოვიდა მატჩზე ყაზანის „რუბინთან“. და დინამოელებმა ეს შეხედრა მოიგეს, საერთოდ, მაყურებელი მაშინ მოღის სტადიონზე, როცა გუნდი კარგად თამაშობს, მაგრამ როცა კოლექტივს უჭირს, მხარდაჭერა საჭირო. ბათუმის „დინამოს“ თამაში ზოგჯერ ემთხვეოდა თბილისის „დინამოს“ მატჩს, რომელსაც ტელევიზიით გადამსცმდნენ, და კულშემატკიცარა უმრავლესობა უკანასკნელის ნახვას ამჯობინებდა.

## სად ითამაშონ გავჟვევჩია?

დღეს „დინამო“ ძირითადად ბათუმის ბავშვთა საფეხბურთო სკოლისა და „ნორჩი დინამოელის“ ჯგუფებში აღმოჩინდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ბევრმა მათგანმა გასულ სეზონში ითამაშა კიდეც მის შეხადების მიხედვით გამოდგა, ამში მწერითნებებს მოუძრევთ ბრალი. საჭიროა უფრო მეტი ურადება ექცევოდეს მომავალი სტატის, როგორც სპორტსმენისა და მოქალაქის წრობას, მის ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი ასპარეზისათვის.

როცა ბავშვთა ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, წარმოვიდგენთ ხოლმე ნორჩებით სავსე საფეხბურთო მოედნებს. ამწუხაროდ, ბათუმი სპორტული ბაზებით დაიჩინა, ხოლო ჩაც არის, კეთილმოუწყობელია, მაგალითად, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღსაზღველების საშუალება არა აქვთ ვარჯიშის შემდეგ მიღონ შხაპი. რაიც შხაპი არ არის, არც გაოფლიანება ყოფილა საჭირო, იტყვის მოზარდი და ამის შემდეგ სრულყოფილ ვარჯიშზე ლაპარაკი, ბუნებრივია, ზედმეტი იქნება.

ყველას გვახსოვს, რა საინტერესო ტურნირები ტარდებოდა ჩვენს ქალაქში ეზოს გუნდების მონაწილეობით. სამწუხაროდ, ასეთი შეჯიბრებები ახლა იშვიათად ეწყობა, ან კი როგორ შეიქმნას ეზოს გუნდები, როცა ბავშვებს ეზოები აღარ შემორჩიათ სათამაშოდ და არც საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების ხელმძღვანელები და პედაგოგორგანიზატორები იწუხებენ ლიდად თავს.

ბათუმის „დინამო“ და, საერთოდ, ქართული ფეხბურთი ჩვენი ქალაქიდან ნორჩი ტალანტებს მოელის.

## სეზონი-80.

როცა უურნალის თხოვნით ამ შერილს ვამზადებდი, რადენიმე მოქლე ინტერვიუ ავილე ფეხბურთის სპეციალისტათაგან.

— რა გამოიწვია ბათუმის „დინამოს“ წარუმატებლობა? როგორ გებაზებათ ჩვენი გუნდი ახალ სეზონში?

— ამ კითხვებზე გვიპასუხებენ:

ზ. მამუკაძე (აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე): გუნდი სუსტად იყო მომზადებული.

ვფიქრობ, გუნდის ახალი უფროსი

მწვრთნელი ლ. ვერულიძე და ფეხბურთელები ყოველ ღიას იმარებს რათა შელახული პრესუი აღიღებინონ, რა თქმა უნდა, მაყურებელთა ფარიო მხარდაჭერით.

ე. ნაკარიძე (აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თავმჯდომარე): გუნდის გასულ სეზონში ჩავარდნას, უპირველესად მის ხელმძღვანელობას მივაწერ. მათ მოსამზადებელი პრეზიდენტი ნაყოფიერად ვერ გამოიყენეს, გულახდილად თუ ვიტყვით, ვერც ფეხბურთის ფედერაცია დაეხმარა დიდად გუნდს განვირების დროს.

„დინამო“ გასულ სეზონში, ვფიქრობ, არ იყო სწორად დაკომპლექტებული, ვერ გაამართლა ზოგიერთმა მოწვეულმა ფეხბურთობამ.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ჩემის აზრით, 1980 წლის ჩემპიონატი ჩვენი გუნდისათვის იქნება ძიების, ძალისა და რწმენის ჩამოყალიბების პრიონი და ეპიზო არ არის, უკეთ გამოვა, ვიღრე გასულ სეზონში.

ლ. ვერულიძე (ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი): პირველ კითხვაზე თავს შევვავებ, გარევაული მოსაზრებით, რა თქმა უნდა.

რაც შეეხება „დინამო-80“-ს, ვეტყვით, რომ ძირითადად აქციენტს ახალგაზრდებზე, აქარაში აღსრული მოზარდ ფეხბურთელებზე გადავიტან. პროგნოზები ნაადრევია, მაგრამ ერთის თქმა მინც შეიძლება: შევეცდებით, უკეთ ვითამაშოთ.

გვინდა ვიზუალოთ, რომ ღიამოელება — მწვრთნელები, ფეხბურთელები, ყველა, ვისზეც დამოკიდებულია გუნდის ბეჭ-ილბალი, სათანადოდ გაანალიზებენ გასული სეზონის შედეგებს და საჭირო დასკენებსაც გააკეთებენ.

გამარჯვებით გვვლოთ, ბათუმის ღინა-გოლებო!

ლევან ჩავშარაპე,  
სსრ კავშირის სპორტის მხარეზე,



# გამოცემის თეჯები

სამხრეთ ოსეთის დღეები

აპარაში

ხალხთა მეგობრობის კეშმარიტ ჰემიად  
იქცა სამხრეთ ისეთის დღეები აჭარაში.

სტუმართა დელეგაციას ხელმძღვანელ-  
ობდა საქართველოს კომისარების ცენტ-  
რალური კომიტეტის ბიუროს წევრობის  
კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ისეთის  
საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი  
ფ. სანაკოევი. დელეგაციაში იყვნენ ხამხ-  
რეთ ისეთის საბჭოთა და საზოგადოებ-  
რივი მრგვანიზაციების, მუშათა კულასი-  
სა და კოლმეტურნე გლეხობის წარმომად-  
გენლები, მწერლები, მეცნიერები, კულ-  
ტურის მომავალში გაიმართება სამხ-  
რეთ ისეთში.

ქალაქის საზოგადოებრიობასთან შეხვე-  
დრის შემდეგ სტუმრებმა ვირვენით  
შეამცეს მსოფლიო პროლეტარიატის დი-  
დი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. ქალა-  
ქის ცენტრალური მოედნიდან გაემართენ  
ბარცხანაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა  
მეგობრობის სკვერს. გაიმართა სახელდა-  
ხელო მიტინგი.

ოსი მეგობრები ეწვივნენ მახინჯაურის  
საბჭოთა მეურნეობას, დაათვალიერეს  
ციტრუსების პლანტაციები. შემდეგ ნა-  
ხეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, ეწვი-  
ონენ აკვარიუმს, დაესწრნენ ატრაქციონს  
დელფინარიუმში.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში  
მოეწუო მიღება.

საქართველოს კომისარების ცენტრალუ-  
რი კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდი-  
დატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომი-  
ტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ  
ოს მეგობრებს მოუთხრო აჭარის ასსრ

მშრომელთა წარმატებებზე სახალხო მეუ-  
რნეობისა და კულტურის განვითარებაში.

საქართველოს კომისარების ცენტრა-  
ლური კომიტეტის ბიუროს წევრობის  
კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ისეთის  
საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა  
ფ. სანაკოევმა გულთბილი მაღლობა გა-  
დაისადა მეგობრული შეხვედრისათვის  
და გამოთქვა რწმენა, რომ ასეთივე დღე-  
ები ახლო მომავალში გაიმართება სამხ-  
რეთ ისეთში.

სამხრეთ ისეთის დღეების მონაწილეობა  
მიღება მოეწყო აგრეთვე პარტიის ბათუ-  
მის საქალაქო კომიტეტში, პროცეკაშირ-  
თა აჭარის საბჭოში, კომკავში-  
რის აჭარის საოლქო კომიტეტში.

ოსი მშრომელების წარმომადგენლეთა  
ცალკეული გაცულები ეწვივნენ ქალაქის  
საწარმო-დაწესებულებებს, იყვნენ შ. რუ-  
სთაველის სახელობის პედაგოგიურ ინს-  
ტიტუტში, დაესწრნენ სამხრეთ ისეთის  
მხატვართა გამოფენის გახსნას აჭარის  
მხატვართა კავშირის საგამოფენო დარ-  
ბაზში.

გაიმართა საინტერესო შეხვედრები —  
შემოქმედებითი ახალგაზრდობისა —  
კაფე „სიჭაბუქეში“, მწერლებისა — სა-  
ქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის  
განყოფილებაში.

სალამოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბა-  
თუმის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა  
მეგობრობის დიდი სალამო.

მეორე დღეს ისე სტუმრები იყვნენ სა-  
ქართველოს საზღვაო სააონსნოში, აჭარის  
რაიონებში. გაეცნენ ავტონომიური რებ-  
აუბლივის სახალხო მეურნეობისა და  
კულტურის მიღწევებს.



### მარტინ საქავალო თამბირი

ბოძოყვათში, პანსიონატ „მშენებლის“ დარბაზში გაიმართა მწერალთა საკავშირო თათბირი თემაზე „ქართული ისტორიული პროცესი თანამედროვე ძიებანი“. იგი მოაწყვეს საქართველოს მწერალთა კაშირთან არხებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავრი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარებო ნიღილი, კანონმდებლის მოვლენას. საქმე ისაა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველი მწერლები ფრიად ნაყოფიერად მუშაობდნენ და საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს. ცხადია, თუ დროულად არ ვიზრუნეთ მათ პოპულარული ბიბლიისათვის, იგი ლოკალური მნიშვნელობის ფაქტად დარჩება. ჩვენი სარედაქციო კოლეგია, უურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“ ბევრს აკეთებს, რათა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნოს და დროულად მიაწოდოს არაქართველ მკითხველებს.

ხუთი დღის განმავლობაში, თათბირში მონაწილეობის პარლელურად, ჩვენი სტუმრები ინტერესით ეცნობოდნენ ქობულეთს, აგარის ზღვისპირების ლირს-შესანიშნაობებს, იუვნენ ალმებარსა და ციხისძირში, ეჭვივნენ ბათუმს, გონიოსა და სარფს.

\* \* \*

**სურათზე:** გულატ იაშვილი და ჰებულა ამირევჭიბიძე.

### უილმი აპარაზე

დეკემბრის მიწურულში საქართველოს სამეცნიერო-კომუნიკაციული და დოკუმენტური ფილმების გადამდებმა ჯგუფმა აჭარაში დამთავრა გადადება ფერადი, ფართოფორმატიანი სრულმეტრაჟინი ფილმისა „აჭარა დღეს“ (სცენარის აგრძილებული ფ. ხალვაში, დამდგმელი რეჟისორი ჭ. ჭიჭინაძე, დამდგმელი ოპერატორი ს. შენგელია, კომბინირებულ გადაღებათა მპერატორი მ. ბრეგვაძე, მეორე მპერატორი ვ. პარშევავი, კომპოზიტორი ჭ. კახიძე, ფილმის დირექტორები ვ. კაჭაძიძე და თ. ლასურიძე).

ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე სრულ-

უფროის სურათი ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობაზე, მის შესანიშნავ ადამიანებზე.

გადამდები ჭავჭა ესტუმრა აჭარის უცელა რაიონს, ფირზე აღმდებდლილი შეხვედრები მეჩაიერებთან, მეციტრუსებრთან, მეცხოველებთან, მრეწველობისა და ხოფლის ქურნეობას წარჩინებულებთან.

ახალ ფილმს მაყურებელი ეკრანზე წელს იხილავ.

### მიკოლა გაქანის ლეპეშა

გამოჩენილ საპორთა პოეტს, უკრაინელი ხალხის სახიქადულო შვილსა და ქართველი ხალხის გულთად მეგობარს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მიკოლა ბაჟანს შარ-შან დაბადების 75 წლისთვის შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ბათუმში გაიმართა ლიტერატურული საღამო. ეს საღამო იყო იმ დღიდა სიყვარულის საჭარო დემონსტრაცია, რომელსაც მაღლიერი ქართველი ხალხი, მათ შორის აჭარის მშრომელები მიაგებენ უკრაინელ პოეტს ჩვენი ხალხის გულწრფელა სიყვარულისა და ჩვენი ლიტერატურების მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუცხრომელი ზრუნვის წილ.

ამ დღეებში აჭარის მშერალთა ორგანიზაციაში მოვიდა მიკოლა ბაჟანის სამადლობელი დეპეშა:

დეპეშაში ნათქვამია:

„გულითადი მაღლობა რესპუბლიკის პარტიის თა საბჭოთა ხელმძღვანელობას. შეკობრებს, მწერლებს, მკითხველებს იმ აატვირთვის, რაც ჩემი დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთვისადმი მიძღვნილი ხალამოს გამართვით მომავავს. არ ვიცი, კიდევ რამდენ დროსა და ძალას მარგნებს ბედი, მაგრამ ვისწრავი, იხილი მოვახმარო ჩვენს დიდ საერთო პარტიულ საქმეს, ჩვენი ხალხების ძმობის განმტკიცებას, ჩვენი ლიტერატურების

მეგობრობას. თავს ვიღრევ ჩემი საცხოველობრივი ხალხისა და ქართველი მეგობრების წინაშე.

თქვენი მიკოლა ბაჟანი“.

### შურალ „ლიკისათვის“

აჭარას ეწვია ბულგარეთ-საბჭოთა კაციორის მეგობრობის საზოგადოების გამგების წევრი, ურნალ „ლიკის“ მთავარი რედაქტორი ემილია გერგოვა.

„ლიკი“ ბულგარეთ-საბჭოთა კაციორის მეგობრობის საზოგადოების კოველთვიური უურნალია და, ჩვენი ქვეყნის გარდა, მსოფლიოს ხევა სახელმწიფოებრიცე ვრცელდება.

ცონილი უურნალისტი ქალი, ხაბჭოთა კაციორის დეპეშათა სააგენტოს — საკლესის უფროს რედაქტორთან ირნა პავლოვასთან ერთად აგროვებდა მასალებს ნარკვევებისა და რეპორტაჟებისათვის, რომლებიც „ლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნდება ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის მშრომელთა მეგობრული ურთიერთობის 18 წლისთვის აღსანიშვად.

ემილია გერგოვა მიიღო საქართველოს კომპარტიის აჭარის ხალქო კომიტეტის მდივანში 6. გუგუნავამ და ესაუბრა საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებზე.

სტუმარი იყო ტუავ-ფეხსაცმლის ხაწარმო გაერთიანებაში, ქობულეთასა და ხელაგანაურის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბათუმის მუზეუმებსა და პარკებში, დელფინარიუმსა და აკვარიუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ნახა სპექტაკლი „შთამომავლობა“.

### შეხვედრა „ომის“ ავტორთან

ბათუმის საზღვაოსნო ხასუავლებელში შეხვედრა მოუწევეს ცონილ საბჭოთა მწერალს, ა. ფადევევის ხახელობის ლი-

ტერატურული პრემიისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პრემიის ლაურეატის, მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის მდივანს ივანე სტადიოებს.

შეხვედრა შესავალი ხიტვით გახსნა სასწავლებლის უფროსმა ვ. ჭარტურიამა.

მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს ბათუმის საჭღაო ნაერადურის დოკურმექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა გ. კახიძემ, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შარაშიძემ, უურნალისტმა ნ. ჯაფარიძემ.

ი. სტადნიუკმა სასწავლებლის კურს-ანტებსა და მასწავლებლებს გააცნო თავისი საბრძოლო და შემოქმედებითი ცხოვრების გზა.

საჭღაოსნო სასწავლებლის უფროსის მოადგილემ პოლიტმუშაობის დარგში მ. მიხაილოვმა მწერალს გადასცა სასწავლებლის საპატიო სიგელი.



პრემიერა გათუმის თეატრში

ბავშვის საერთაშორისო წელს მუსიკა სეზონის მორიგი პრემიერა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო

თეატრში. მაყურებელმა ნახა გ. ნახუციშვილის „ორმოქედებანი ზღაპარი-კომედია „ნაცარექებია“.

სექტემბრი დაღგა რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ, მხატვრულად გაიღორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, მუსიკის აკტორია თ. შამლაძე.

როლებს ასრულებენ; საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. წერეთელი და მ. შერვაშიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. მესხიძე, მახაიობები ც. აბზიანიძე, თ. მერგილი, ლ. ზაქარიაძე, ნ. თავართექილაძე, ს. ახალაძე, ს. ბაზარშვილი, თ. ფირცხალაიშვილი, ბ. მუავანაძე, ჭ. ველიაძე, ჭ. შილაკაძე, ვ. ბიბილეშვილი, ვ. გაგინეიშვილი, თ. კეჭერაძე, ი. ჭელიძე.

\* \* \*

სურათე: სცენა სექტემბრიდან ცირკ აბზიანიძისა და მანუჩარ შერვაშიძის მონაწილეობათ.

### „საბაზოთა აპარაზ“ გამოსცა

ა. ახვლეიანი, ე. დავითაძე — ჩამოთვე, ჩემო ჩინგურო... ტირაუ 3.000, ფასი 1 მან. 70 კაპ.

შ. მგელაძე — სასრულო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხები აჭარის მთიან ზონაში. ტირაუ 1.000, ფასი 70 კაპ.

ჯ. ნაბაშიძე — შრომითი მილწევების მძლავრი ბერკეტი, ტირაუ 1.000, ფასი 90 კაპ.

ი. სიხარულიძე — ნათელი დაუბამებელი. ტირაუ 3.000, ფასი 24 კაპ.

ა. ჯანაშვილი, გ. ხელაძე, გ. მესხიძე, რ. ურიდანის, გ. ბაბრაძე, გ. ანდლულაძე, თ. ბავლიაშვილი, თ. გოგარაშვილი — აჭარის ფაუნა, ხერხემლინები, ტირაუ 2.000, ფასი 1 მან.

ი. სიხარულიძე — ქანეთი, II ნაწილი, ტირაუ 2.000, ფასი 71 კაპ.

ი. გაბაშიძე — საბჭოთა კანონმდებლობა თვეთნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ტირაუ 1.000, ფასი 40 კაპ.



ՅՈՒՆՍՊԱՐՈՅ ՏԱԲԱՑՈՒԹՅՈՒՆ.

Литературно-художественный  
и общественно-политический журнал  
„Ч О Р О Х И“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
индекс 76118



რედაციის მისამართია:  
ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 3-33-71.

უზრნალი გააფორმეს შოთა როსთა ხოლუაზეილება, ზურაბ ხაჩაძემ და  
ავთანდილ ლომაძემ.

ნომერში დაბეჭდილია ნ. ანასტასიევის, ვ. ბაბაიანის, ვ. დუბინინას,  
რ. ლომაძის, ვ. მითაიშვილის, რ. ტოფაძისა და ა. ჩანტლაძის ფოტოები.

სელმოწერილია დასახელდათ 17.12.79, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,  
შეკვეთის № 5033, ემ 01226, ქალალდის ზომა 60×90<sub>1</sub>/<sub>16</sub>, ტირაჟი 4.000.  
ფასი 40 კაპ.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის  
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული  
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.



КОНТРОЛЬНАЯ  
СКАЗКА ВЪДѢВЪ

26. XII 1993  
24

73-29-26



93 - 29 - 26

